

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

7/2022

შეღარეზიტი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



1/2022

შვედარეზიტი სარეტილი

ღარტივი-ბარმანვილი ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2022

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022

© ავტორები, 2022

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუბფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი
გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქაეშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში <i>გიორგი ხუბუა / ლადო სირდაძე</i>	7
საზიარო საგნის მართვა და განკარგვა <i>თამარ ზარანდია</i>	12
ჩუქების უკუქცევა <i>ზურაბ ძლიერიშვილი</i>	28
ფიზიკური პირების გადახდისუნარობის საკანონმდებლო რეგულაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი <i>რაჟდენ კუპრაშვილი</i>	51

რეცენზია

გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი 2019; წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბილისი 2020 <i>თემურ ცქიტიშვილი</i>	58
---	----

სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში

პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა

შტაინბაისის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, KnowledgeTools International GmbH-ის სამართლის ინჟინერი

I. შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ დიგიტალიზაციის ხანაში. დღევანდელი ციფრული პროგრესი თავისი მნიშვნელობით, ტემპებითა და გამონვევებით ჰგავს ინდუსტრიულ რევოლუციას. თანამედროვე ტექნოლოგიურ უპირატესობებს თან ახლავს ასევე შესაბამისი რისკები. ვინ არის პასუხისმგებელი საავტომობილო შემთხვევებისათვის, როდესაც ავტომობილი ავტონომიურად იმართება? რა თანაფარდობაა სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის, რომელიც დღეს ფართოდ არის გავრცელებული ინტერნეტ სივრცეში? როგორი რისკების შემცველია უდიდესი ინტერნეტ კონცერნები თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, მათ შორის ხელისუფლების ლეგიტიმაციის თვალსაზრისით? ამ და სხვა გამონვევების წინაშე დგას თანამედროვე დიგიტალიზაციის ეპოქაში იურიდიული პროფესიები, პოლიტიკა და სამართლის მეცნიერება.¹ შესაბამისად, ტექნოლოგიების სამართლის აქტუალობა დღითიდღე იზრდება.

გარდა ტექნოლოგიების სამართლისა, იურიდიულ პროფესიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლის ტექნოლოგიები (ლი-

გალტექი). ციფრული ვიზუალიზაცია² და ავტომატიზაცია გვთავაზობს კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის მარტივ გზას. ლიგალტექი იძლევა შესაძლებლობას, იურისტმა სამართლებრივი პროდუქტები რამდენიმე კვირის ნაცვლად რამდენიმე წამში მოამზადოს. სისწრაფესთან ერთად ლიგალტექით ასევე ხდება ხარისხის კონტროლი. გამართულად ფუნქციონირებადი პროგრამა დაცულია ადამიანური შეცდომისგან. პროგრამაში იურისტის ცოდნის „ჩაშენება“ ხდება ერთხელ და შემდეგ პროგრამა უზრუნველყოფს ამ ცოდნის რეპლიკაციას შეუზღუდავი რაოდენობის პროდუქტის მოსამზადებლად.

ლიგალტექის ერთ-ერთ სერიოზულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ის გარემოება, რომ დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია გვეხმარება კომპლექსური სისტემების გამართვაში. სამართლის სტრუქტურა სულ უფრო რთულდება, იმიტომ, რომ რთულდება მის მიერ მოწვესრებიერი საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურა. ეს ურთიერთობები ხდება უფრო კომპლექსური, მაგრამ სწორედ ავტომატიზირებული სისტემები ეხმარება იურისტს, გაამარტივოს და უფრო მარტივად აღსაქმელი გახადოს ისინი, მოახერხოს ნორმის სტ-

¹ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUHM> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

² ხუბუა, სამართლის ნორმის ვიზუალიზაცია <https://youtu.be/Yfh34DfKnsY> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

რუქტურის ვიზუალიზაცია და განსახილველი შემთხვევების სტრუქტურაც მაქსიმალურად გამარტივებულად წარმოადგინოს.³

II. ლიგალტექის შესაძლებლობები

ავტომატიზაციის მეშვეობით იურისტის წინაშე არსებული ბევრი ამოცანის გაცილებით უფრო სწრაფად და მარტივად შესრულება შესაძლებელი, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.⁴ სამართლის დარგში ბევრ ფუნქციას თავის თავზე იღებს ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზირებული სისტემები, რომლებიც ალგორითმზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას იღებენ. ცხადია, იურიდიულ პროფესიებში მუდმივად დარჩება ისეთი პროფესიები, როგორებიცაა ადვოკატი, მოსამართლე, მაგრამ აშკარაა, რომ სამართლის ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღე იზრდება.⁵

ავტომატიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას დგება საკითხი, რა არის ეთიკურად დასაშვები და რა არა. ცხადია, ავტომატიზირებული სისტემები ვერასოდეს ვერ შეძლებენ და ვერც მოვთხოვთ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, რადგანაც სამართლიანობა, როგორც ასეთი, ეს არ არის ხელოვნური ინტელექტისათვის დამახასიათებელი თვისება. ავტომატიზირებული სისტემები ვერ მიიღებენ ემოციებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. ამ რაციონალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ცხადია, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ წმინდა ადამიანურ ფაქტორებს, მათ შორის სამართლიანობის გრძნობას, რომელიც მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.⁶

მაგრამ დიგიტალიზაციის პროცესი იძლევა ქსელებში მაქსიმალურად ჩართვის შესაძლებლობას. ეს გულისხმობს სხვადასხვა პროდუქტისა და სერვისის სხვა სისტემებთან ერთად შეთავაზებას. დღეს წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ ის ინსტიტუტი, რომელიც მაქსიმალურად არის ჩართული ასეთ ქსელებში და ასევე ის იურისტი, რომელიც არა მხოლოდ წმინდა იურიდიული მიდგომებით გამოირჩევა, არამედ მას შეუძლია საზოგადოების სხვა სექტორებთან ერთად ქსელური მიდგომებით გადწყვეტოს არსებული პრობლემები.⁷

ლიგალტექის მეშვეობით შექმნილი პროდუქტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამართლებრივი დოკუმენტი, მაგალითად, სარჩელი, შესაგებელი, კონსულტაცია, საჩივარი, ადმინისტრაციული აქტი და ა. შ. შესაძლებელია ასევე ლიგალტექის მეშვეობით პროცესების მენეჯმენტი. ნებისმიერი პროცესი, რომელიც უნდა წარიმართოს კანონმდებლობით დადგენილი წესების ან კომპანიის შიდა რეგულაციების შესაბამისად, შესაძლებელია გარდაიქმნას კოდად (წესების მომავალი კოდი⁸), პროგრამა კი ახდენს ამ პროცესის იმგვარ ავტომატიზაციას, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი შესაბამისობა. საბოლოოდ, ლიგალტექის მეშვეობით მომხმარებელს სამართლებრივი სერვისები მიეწოდება სწრაფად, თანაც ისე, რომ ხდება ხარისხის შენარჩუნება.

III. ლიგალტექის პროდუქტების შექმნა

ლიგალტექის პროდუქტების შექმნის პროცესი განსხვავდება, ერთი მხრივ, გამოსაყენებელი პროგრამისა და, მეორე მხრივ, თავად იმ პროდუქტის ტიპის მიხედვით, რომლის შექმნასაც ისახავს მიზნად იურისტი.

³ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUhm?t=182> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

⁴ ბრაიდენბახი, გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 1.

⁵ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUhm?t=90> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

⁶ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUhm?t=129> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

⁷ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUhm?t=327> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

⁸ ბრაიდენბახი, გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 1.

1. ლიგალტექის პირველი და მეორე თაობის პროგრამები

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ტექნოლოგიებს განვითარების არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს, მაინც შესაძლებელია ლიგალტექის პროგრამების, პირობითად, ორ თაობად დაყოფა. ნებისმიერი პროგრამა, რომელიც კონკრეტული პროდუქტის შესაქმნელად საჭიროებს კოდირებას, შესაძლოა მოძველებულად მივიჩნიოთ. ასეთ პროგრამებს სხვადასხვა უარყოფით მხარე აქვს. პირველ რიგში, კონკრეტული პროდუქტის შესაქმნელად საჭიროა საკმაოდ დიდი დრო. ასეთი პროგრამები იქმნება ერთი კონკრეტული დავალების შესასრულებლად და სხვა პროდუქტისთვის თავიდანაა საჭირო ახალი პროგრამის შექმნა/ახალი კოდის დანერგვა. ცვლილებების შეტანა კი მოითხოვს კოდის განახლებას, რაც პროცესს მოუქნელს ხდის.

მეორე მხრივ, პრაქტიკაში ყოველთვის რთულია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და იურისტების სინერჯის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ხდება წესებზე დაფუძნებული პროდუქტის შექმნა,⁹ ამ ორი პროფესიის წარმომადგენლებს სრულიად განსხვავებული ენა აქვთ, რაც ართულებს მათ შორის კომუნიკაციას და იურისტის ცოდნისა და ნოუ-ჰაუს სრულ ციფრულ გარდაქმნას. ამის საპირისპიროდ, მეორე თაობის ლიგალტექ-გადაწყვეტა ითვალისწინებს **no-code** ან **low-code** აპლიკაციებს, სადაც იურისტებს დამოუკიდებლად შეუძლიათ შექმნან პროდუქტები, ისე რომ არ დასჭირდეთ ტექნიკოსების დახმარება. შედეგად წარმოიქმნა იურისტის ახალი პროფესია - სამართლის ინჟინერია. სამართლის ინჟინერი არის იურისტი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის ისეთ სამართლებრივ პროდუქტებს, რომელთა გამოყენებაც არ არის შეზღუდული ერთ კლიენტზე და დინამიურად ხდება ინდივიდუალურ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგება.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც ლიგალტექის პროგრამებს შეეხოთ, იყო მათი თავსებადობა კლიენტების უკვე არსებულ პროგრამებ-

თან და მონაცემთა ბაზებთან. პრაქტიკაში (განსაკუთრებით საჯარო სექტორში) ახალი პროგრამის ინსტალაციის იდეა ყოველთვის სირთულეებს აწყდებოდა. აღნიშნული პრობლემა მარტივად გადაჭრა ღრუბელზე დაფუძნებულმა (**cloud-based**) ახალი თაობის პლატფორმებმა.

2. ტექნიკური დავალებიდან პროდუქტად

2.1. ტექნიკური დავალება

ლიგალტექის გამოყენების მიზანია კომპლექსური ამოცანისათვის მარტივი პროგრამული გადაწყვეტის მონახვა. იმისდა მიხედვით, თუ რა პროდუქტის შექმნა სურს იურისტს, განსხვავდება ის ტექნიკური დავალება, რომელიც მას აქვს. მიუხედავად ამისა, სამართლის ინჟინრის საქმიანობა სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად ყოველთვის ერთგვაროვანია.

2.2. პროდუქტის სტრუქტურული ელემენტები

ლიგალტექის პროდუქტის შექმნისას, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ამ პროდუქტის სტრუქტურულ ელემენტებად დაყოფა. დოკუმენტის შემთხვევაში ესაა უმცირესი ტექსტობრივი ელემენტები,¹⁰ პროცესების შემთხვევაში კი - პროცესის სხვადასხვა საფეხური.¹¹ აქ გამონევაა ის, რომ ხშირად, რაც იურისტისთვის იმპლიციტურია, პროგრამაში მაინც უნდა აისახოს ექსპლიციტურად. ამიტომ მნიშვნელოვანია პროდუქტის დეტალური დაყოფა სტრუქტურულ ერთეულებად. სწორედ ეს წარმოადგენს მომზადებული პროდუქტის ინდივიდუალიზაციის წინაპირობას. ხელშეკრულების გენერატორებში ხშირად ვხვდებით ტექსტების ვრცელ ბლოკებს, რომლებიც მოიცავს, მაგალითად,

⁹ შდრ. *Lessig, Code: And Other Laws of Cyberspace, Version 2.0, Basic Books, New York, 2006, 5.*

¹⁰ *ბრაიდენბახი, გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 3.*

¹¹ *ბრაიდენბახი/გლატცი, სამართლის დიგიტალიზაცია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 3.*

ხელშეკრულების მთლიან მუხლს. ლიგალტექის ასეთი პროდუქტები ვერ ახდენენ საჭირო ინდივიდუალიზაციას და ემსგავსებიან ხელშეკრულების შაბლონებს, რომლებიც იურისტებს ისედაც აქვთ. შედარებით დახვეწილი პროგრამები იძლევა მაღალი დონის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. აქ ცალკე კოდი შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ კონკრეტულ წინადადებას, არამედ კონკრეტულ სიტყვას, სიტყვის ნაწილს ან თუნდაც წერტილს. რაც უფრო მაღალი დონისაა ლიგალტექის პროგრამა, მით უფრო მაღალია პროდუქტის სტრუქტურული ელემენტების დეტალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის ხარისხი.

2.3. წესების გარდაქმნა კოდად

მომდევნო ეტაპია იმ წესების გაციფრულება და კოდად გარდაქმნა, რომლებიც უნდა დაედოს საფუძვლად სამართლებრივი პროდუქტის მომზადებას. ყველა წესი შეიძლება გადაიქცეს კოდად. სამართლის ინჟინერმა, როგორც იურისტმა, პროდუქტის სტრუქტურული ელემენტები უნდა შეუსაბამოს სამართლებრივ წესებს. რა შემთხვევაში რა ტექსტი უნდა აისახოს სამართლებრივ დოკუმენტში, დამოკიდებულია კანონზე. პროცესის რომელ ეტაპს რომელი უნდა მოსდევდეს, განპირობებულია შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებით. წესებიდან გამომდინარე ლოგიკა განაპირობებს მიმართებას ელემენტებს შორისაც - ზოგი მათგანი უნდა დაჯგუფდეს კუმულატიურად, ზოგი კი ალტერნატიულად (ექსკლუზიურად ან ინკლუზიურად).

2.4. მონაცემთა დაკავშირება წესებთან

შემდეგი ეტაპია მონაცემების დაკავშირება წესებთან. პროგრამამ უნდა შეძლოს კონკრეტულ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოების მისადაგება შესაბამის წესთან. ეს ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენენ არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ასევე ტექნიკურ წინაპირობებს პროდუქტის მოსამზადებლად.

3. ლიგალტექის პროდუქტის გამოყენება

ლიგალტექის პროდუქტის გამოყენებაც, თავის მხრივ, რამდენიმე საფეხურს მოიცავს. პირველია მონაცემთა შეყვანა (Input), რომელსაც მოსდევს მონაცემთა პროგრამული ანალიზი და ბოლოს პროდუქტის შექმნა (Output).¹² ამ სამ საფეხურს თან სდევს რეპორტიინგი¹³ - მომხმარებლის ინფორმირება არსებული მონაცემების, განხორციელებული პროგრამული გარდაქმნებისა და შექმნილი პროდუქტების შესახებ.

მონაცემთა შეყვანა შესაძლოა როგორც ავტომატურად, ისე მანუალურ რეჟიმში. ნებისმიერ შემთხვევაში ლიგალტექის გამოყენების წინაპირობაა მონაცემთა ციფრული სახით არსებობა. მომხმარებელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეიყვანოს მონაცემები კონკრეტული პროდუქტის მოსამზადებლად. მანუალურ რეჟიმში მონაცემთა შეყვანისას მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი იყოს მომხმარებელზე მორგებული. ერთი და იგივე მონაცემი არ უნდა იქნეს მოთხოვნილი რამდენჯერმე. გარდა ამისა, მომხმარებელმა უნდა მიიღოს შეკითხვები მხოლოდ იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც რელევანტურია კონკრეტული პროდუქტისთვის. ასეთ დროს ყველაზე ეფექტიანია ბოტის ფუნქცია, როდესაც მომხმარებლის მიერ შეყვანილი მონაცემების გაანალიზება ხდება დინამიურ რეჟიმში. ერთ შეკითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით ხდება კონტექსტის შესაბამისი შეკითხვის დასმა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს წინა პასუხიდან. შედეგად, ბოტის მეშვეობით მონაცემთა შეყვანა ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე ფიქსირებული შეკითხვების მქონე სტატიკური ფორმულარის გამოყენება.

რაც შეეხება მონაცემთა ავტომატურ შეყვანას, ასეთ დროს პროგრამა დამოუკიდებლად კრებს საჭირო ინფორმაციას. წყარო შეიძლება

¹² Wend, Legal Tech für Massenklaen – eine digitale Fertigungsstraße, in Breidenbach/Glatz (Hrsg.), Rechtshandbuch Legal Tech, 2. Auflage, München 2020, Kap. 2.4.

¹³ Wend, Legal Tech für Massenklaen – eine digitale Fertigungsstraße, in Breidenbach/Glatz (Hrsg.), Rechtshandbuch Legal Tech, 2. Auflage, München 2020, Kap. 2.4.

იყოს ნებისმიერი მონაცემთა ბაზა, დოკუმენტი, მეილის ტექსტი და ა.შ. მაგალითად, სარჩელი წარმადგენს მონაცემთა წყაროს შესაგებლისთვის. შესაბამისად, სარჩელის პროგრამულად ნაკითხვის შემთხვევაში შესაგებლისთვის საჭირო მონაცემების დიდი ნაწილი უკვე მზადაა გამოსაყენებლად.

ერთი კონკრეტული მონაცემის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით - სხვადასხვა პროდუქტში ან ერთი პროდუქტის სხვადასხვა ელემენტში. მაგალითად, დავის საგნისა და სხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე განსჯადი სასამართლო შესაძლოა დადგინდეს მოსარჩელის ან მოპასუხის მისამართის მიხედვით. მთავარია, პროგრამაში ჩაშენდეს წესი, რა შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული მოსარჩელის და რა შემთხვევაში - მოპასუხის მისამართი.

მომზადებულ პროდუქტში, მაგალითად, დოკუმენტში, უნდა შეიძლებოდეს ცვლილების შეტანა. ასევე, ლიგალტექის მეშვეობით შესაძლებელია იმ ფუნქციების განერა, თუ რა ბედი უნდა ენიოს ამ დოკუმენტს - მაგალითად, ავტომატურ რეჟიმში გაიგზავნოს კლიენტთან, მოხდეს ესკალაცია მენეჯმენტთან¹⁴ და ა. შ.

ნებისმიერი მომზადებული პროდუქტი და მომზადების პროცესში განხორციელებული პროგრამული ცვლილება უნდა არქივდებოდეს. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, წარმოადგენს მონაცემს ახალი პროდუქტისთვის. ასევე, ეს უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტული ქეისის მენეჯმენტისთვის.

IV. ლიგალტექის გამოყენება კერძო კომპანიებში

ლიგალტექის პროდუქტების მრავალფეროვნებას განაპირობებს იურისტის ფანტაზია.¹⁵ შესაბამისად, კონკრეტულ კომპანიაზე დამოკიდებული, თუ რა პროდუქტის ავტომატიზაციას

მოახდენს. ამ მხრივ სამართლის ტექნოლოგიების შესაძლებლობები თითქმის შეუზღუდავია.

1. კონსულტაცია ბოტის მეშვეობით

ლიგალტექი იძლევა ბოტის მეშვეობით ავტომატურ რეჟიმში სამართლებრივი კონსულტაციის განხორციელების შესაძლებლობას. შეკითხვების დასმა, ანალიზი და კონსულტაციის დოკუმენტის შექმნა ხდება რობოტის მეშვეობით. თუმცა ამ პროდუქტის უკან დგას იურისტი, რომელიც განსაზღვრავს, რა შეკითხვები უნდა დასვას ბოტმა და რა თანმიმდევრობით, როგორ შეუსაბამოს მიღებული მონაცემები სამართლებრივ ნორმებს და როგორ შექმნას დოკუმენტი, როგორც პროდუქტი. ამ მხრივ, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური და მასშტაბურია საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამართლის ტექნოლოგიების გამოყენებას მოქალაქეთათვის სრულყოფილი სამართლებრივი კონსულტაციის უსასყიდლოდ გასაწევად.¹⁶ მაგალითის სახით შეიძლება აღინიშნოს ასევე knowledgeTools-ის ბოტი, რომელიც გერმანიაში უკრაინელ ლტოლვილებს ეხმარება ბინადრობის ნებართვისა და სოციალური დახმარების მიღებაში.¹⁷ ბოტი არა მხოლოდ ამომეებს, აქვს თუ არა პირს ბინადრობის ნებართვისა და სოციალური დახმარების მიღების უფლება, არამედ ასევე უვსებს მას საჭირო ფორმულარს. მონაცემთა შეყვანა შესაძლოა სხვადასხვა ენაზე (მათ შორის, უკრაინულად), დახმარების მისაღებად წარსადგენი ოფიციალური ფორმულარი კი ივსება გერმანულად.

ასეთი ბოტების მეშვეობით სამართლებრივი სერვისის მიწოდება ხდება იურისტთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე. მონაცემთა შეყვანა ხდება მომხმარებლის მიერ, პროცესის დანარჩენი ნაწილი კი სრულად ავტომატიზირებულია. იურისტი დროსა და ინტელექტუალურ რესურსს ხარჯავს პროდუქტის ერთხელ შექმნაზე, თუმცა შემდეგ თითოეული პროდუქტის

¹⁴ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUHM?t=258> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

¹⁵ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUHM?t=414> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

¹⁶ <https://www.youtube.com/watch?v=J6G3rwJNx9U>.

¹⁷ <https://www.bots.legal/aufenthaltsstatus>.

შექმნისას მისი დრო სრულად, 100%-ით, იზოგება.

2. დოკუმენტების ავტომატური გენერირება

საადვოკატო ბიუროებისთვის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია დოკუმენტების შედგენა. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, სარჩელი, ადმინისტრაციული საჩივარი, განცხადება და ა. შ. ერთი და იმავე ტიპის დოკუმენტის მომზადება საჭიროა განუსაზღვრელი რაოდენობით, მაგრამ რადგანაც ყველა შემთხვევა ერთმანეთისაგან განსხვავდება, საჭიროა დოკუმენტების ინდივიდუალიზაცია კონკრეტული კლიენტისა და საქმის მიხედვით. შაბლონების გამოყენება მხოლოდ მცირედით ამცირებს დოკუმენტის მომზადებისთვის საჭირო დროს და შეიცავს შეცდომის რისკს. ამისგან განსხვავებით, ლიგალტექის გამოყენებით ხდება მაღალი ინდივიდუალიზაციის მქონე დოკუმენტების პროგრამული გენერირება ავტომატურ რეჟიმში. პროგრამას შეუძლია რამდენიმე წამში მოამზადოს როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად კომპლექსური დოკუმენტები.¹⁸

ხელშეკრულების გენერატორები ლიგალტექის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პროდუქტს წარმოადგენს. აქ პროგრამის დავალებაა, შეძლოს მომხმარებლის სურვილისა და საჭიროებების ანალიზი და მოამზადოს ხელშეკრულება შესაბამისი დებულებებით. ხშირად არასწორად უთითებენ იმაზე, რომ თითქოს კონტრაქტების გენერატორის შესაქმნელად მოხდა ლიგალტექის გამოყენება. მაშინ, როცა რეალურად ეს პროცესი უბრალოდ ხელშეკრულების აბზაცების ამორჩევამდე და კოპირებამდე დაყვანილი. ამას კი არაფერი არ აქვს საერთო ლიგალტექთან. ამ პროცესის უკან არ დგას არავითარი კანონი ან სხვა რაიმე წესი, რომელსაც გამოიყენებდა პროგრამა ფაქტობრივი გარემოებების შესაფასებლად და ლიგალტექის პრო-

დუქტის მოსამზადებლად. სინამდვილეში, ლიგალტექის როლი კონტრაქტების შედგენისას გაცილებით დიდია. სწორად ფუნქციონირებად პროგრამას უნდა შეეძლოს ყველა იმ ფაქტობრივი კონსტელაციის გათვლა, რომელიც შეიძლება იყოს სახეზე და მომხმარებელს შესაბამისი დებულებები უნდა შესთავაზოს. ლიგალტექი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე სმარტ-კონტრაქტებში. აქ ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ხელშეკრულების შედგენის ეტაპზე, არამედ მისი კონტროლისა და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი ქმედებების ავტომატურად შესასრულებლად. თუ ხელშეკრულება შედგენილია პროგრამის მეშვეობით, მისი პირობები უკვე ჩაშენებულია პროგრამაში და დარღვევისას სარჩელის გენერირება გაცილებით უფრო მარტივადაა შესაძლებელი. მაგალითად, თუ თანხის გადარიცხვა არ მოხდება კონკრეტულ თარიღამდე, პროგრამას შეუძლია ავტომატურად დაუნესოს მოვალეს დამატებითი ვადა და საჭიროებისას მოამზადოს შესაბამისი სარჩელი.

3. პროცესებისა და ქვის-მენეჯმენტი

ლიგალტექის გამოყენება შესაძლებელია საადვოკატო ბიუროებში პროცესების წარსამართად. დაწყებული კლიენტთან პირველი კომუნიკაციიდან, მასთან ურთიერთობის დასრულებამდე ყველა პროცესი შეიძლება წარმართოს პროგრამამ ავტომატურ რეჟიმში და ადამიანი მხოლოდ იქ ჩაერთოს, სადაც ამის საჭიროება ან სურვილია. დღეს უკვე შესაძლებელია, რომ კლიენტის მიერ გაგზავნილი მეილი წაიკითხოს პროგრამამ, მიხვდეს რას ეხება საქმე, გამოჰკითხოს მას დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები, მოუმზადოს დოკუმენტი და წარადგინოს დანიშნულების ადგილას. ადვოკატს, სურვილის შემთხვევაში შეუძლია, თვალი ადევნოს პროცესს. გართულებების შემთხვევაში პროგრამა თავად ახდენს საქმის ესკალაციას და რთავს საქმეში ადამიანს. ამ გზით, უზრუნველყოფილია, რომ ადამიანური რესურსი დაიხარჯოს ისეთ შინაარსობრივ საკითხებზე, რომლის შესრულებაც პროგრამას არ შეუძლია.

¹⁸ მაგალითად, ალიმენტთან და რამდენიმე სხვა საოჯახოსამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილად შევსებული სარჩელის მომზადება შესაძლებელია 6 წამში.

ამას ემატება კონკრეტული ქეისის ვადებისა და ანაზღაურების მენეჯმენტი. პროგრამა უზრუნველყოფს ვადების დაცვას, პასუხისმგებელ პირებთან შესხენებების ავტომატურად გაგზავნასა და ასევე განუული სამუშაოსთვის ხარჯ-თაღრიცხვის ავტომატურ გენერირებას.

ლიგალტექის გამოყენება შესაძლებელია ასევე საქმეების განაწილებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

4. ლიგალტექი არაიურიდიულ ფირმებში

სამართლის ტექნოლოგიები პროგრამულ გადანყვეტას სთავაზობს არა მხოლოდ საადვოკატო ბიუროებს, არამედ არაიურიდიულ ფირმებსაც. ნაცვლად იურიდიული დეპარტამენტის შექმნისა ან იურიდიული მომსახურების აუთსორსინგის გზით მიღებისა, კომპანიამ შესაძლოა გამოიყენოს ლიგალტექის პროდუქტები, რათა უზრუნველყოს სამართლებრივი შესაბამისობა, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და პროცესების მართვა. ეს ყველაფერი კი საგრძნობლად ზოგავს დროსა და ხარჯებს.

V. ლიგალტექის გამოყენება საჯარო უწყებებში

საჯარო უწყებების დიგიტალიზაციის მხრივ საქართველო საკმაოდ წარმატებულია. გაციფრულებულია როგორც სერვისები, ისე დოკუმენტბრუნვა. თუმცა ლიგალტექის გამოყენება იშვიათად ხდება. მოქალაქეთათვის სერვისების მიწოდებისას, როგორც წესი, არსებობს ციფრული პლატფორმა, სადაც დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს უწყებას განცხადებით. მაგრამ მონაცემთა ავტომატური დამუშავება და პროდუქტის ავტომატური გენერირება სამართლის ტექნოლოგიების გამოყენებით არ ხდება. რაც შეეხება დოკუმენტბრუნვას, აქ ხდება მხოლოდ საქმისწარმოების და არა სამართალწარმოების გაციფრულება. ლიგალტექი კი აქცენტს სწორედ სამართალწარმოების ავტომატიზაციაზე აკეთებს.

1. სამართლის ტექნოლოგიების დანერგვა საკანონმდებლო ორგანოში

ა) ლიგალტექის როლი ლეგისტიკაში

საკანონმდებლო პროცესი თავისი ბუნებით არ არის რაციონალური პროცესი. აქ მონაწილეობს არა მარტო წმინდა რაციო და გონება, როგორც ასეთი, არამედ ჩართულია ბევრი სხვა ირაციონალური ელემენტი, პოლიტიკური ინტერესები. საკანონმდებლო გადანყვეტილებები აგებულია კონსენსუსზე, რომელიც შეუძლებელია რაციონალურად ბოლომდე აიხსნას. ძალიან რთული და კომპლექსურია ის ურთიერთობები, რომლებსაც კანონმდებელი ესწრაფვის, რომ მოაწესრიგოს ნომრის მეშვეობით. კომპლექსურია ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საკანონმდებლო გადანყვეტილებების მისაღებად. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საკანონმდებლო გადანყვეტილებები ყოველთვის მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ ალტერნატივას, რომელთა შორის არჩევანის გაკეთებაც არ არის მარტივი. თავისთავად მხოლოდ იმ ინფორმაციის გადამუშავებაც, რომელიც აუცილებელია საკანონმდებლო გადანყვეტილების მიღებისათვის, ხშირად სცილდება ადამიანური შემეცნების შესაძლებლობებს. ამ პროცესში აუცილებელია ჩართულ იქნეს ხელოვნური ინტელექტი იმისათვის, რომ ჩვენ მოვახერხოთ შესაძლო გადანყვეტილებების მოდელირება, გავაკეთოთ პროგნოზი, რა სავარაუდო შედეგამდე მიგვიყვანს ესა თუ ის გადანყვეტილება, რა დანახარჯებთან, მათ შორის რა ფინანსურ დანახარჯებთანაა, დაკავშირებული ამა თუ იმ კანონის მიღება.¹⁹

ამ პროცესში ასევე ძლიან მნიშვნელოვანია თვითონ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ორგანიზაცია. კანონის მიღების პროცესში ჩართულია ბევრი სტრუქტურული ერთეული. მათ შორის კოორდინაცია, ინფორმაციის გაცვლა ან ამ ინფორმაციაზე ერთდროულად, დროის ნებისმიერ მომენტში ხელმისაწვდომობა

¹⁹ ხუბუა, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაცია, https://youtu.be/Jbh_GrgiLhc (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც თავისთავად სერიოზულ გავლენას ახდენს თვითონ კანონის ხარისხზე.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პარლამენტში სამართლის ტექნოლოგიების დანერგვა საკანონმდებლო პროცესის ყველა ეტაპზე შესაძლებელი, დანყებული კანონის პროექტის მომზადებით და დასრულებული მიღებული კანონის პრეზიდენტისთვის ხელმოსაწერად გაგზავნით.²¹

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ლიგალტექს ლევისტიკაში, ცხადია, მხოლოდ დამხმარე ფუნქცია შეუძლია შეასრულოს, მაგრამ ეს დამხმარე ფუნქცია შეიძლება იყოს როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი. დამხმარე ფუნქციის ოპტიმალური განხორციელებით გამოთავისუფლება ადამიანური რესურსი, რომელიც საკანონმდებლო პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიმართულებით - იქ, სადაც ხელოვნური ინტელექტი ვერ ჩაანაცვლებს ადამიანის შემეცნებით-კოგნიტურ შესაძლებლობებს.²²

ბ) ლიგალტექსის გამოყენება საკანონმდებლო პროცესის ცალკეულ ეტაპებზე

საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებისას სამართლის ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლოა ნორმის ვიზუალიზაციისთვის.²³ კანონპროექტის ტექსტის შედგენამდე ნორმის ვიზუალიზაცია იძლევა შესაძლებლობას, პოლიტიკური ნება უკეთ დაკონკრეტდეს სამართლებრივ ნორმად. ტექსტში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ციფრულ სქემაში, სადაც კანონპროექტის მთლიანი სტრუქტურისა და ლოგიკის შეცვლა რამდენიმე ნაშეკვა კია შესაძლებელი. შედეგად, კანონშემოქმედების პროცესი არის უფრო მოქნილი, შესაძლებელია სხვადასხვა ალტერნატივის ვიზუალიზაცია, შედარება და საუკეთესოს შერჩევა.²⁴

პარლამენტის დეპარტამენტებისა და კომიტეტების მუშაობაში ლიგალტექსა შესაძლოა განსაკუთრებული როლი იმით ითამაშოს, რომ მოხდეს ყველა ამ უწყების ერთმანეთთან დაკავშირება. უფრო სწორად, ერთ-ერთი მათგანის მიერ პროგრამაში მონაცემთა შეყვანის შემთხვევაში ეს მონაცემები გადავა ერთიან ბაზაში, საიდანაც შეიძლება მოხდეს ავტომატური ექსპორტი სხვა დეპარტამენტის ან კომიტეტის მიერ ამავე კანონპროექტთან დაკავშირებით დოკუმენტის მომზადებისას. მაგალითად, ბიუროს გადაწყვეტილება შეიცავს მონაცემებს (Input) კომიტეტის დასკვნისთვის (Output).²⁵ ამ გზით საგრძნობლად შეიძლება შრომითი ეფექტიანობის გაზრდა, რაც საჯარო უწყებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.²⁶ ერთი და იმავე მონაცემის შეყვანა პარლამენტის სხვადასხვა თანამშრომელს ჯამში შეიძლება რამდენიმე ათეულჯერ დასჭირდეს და ასეთი განმეორებადი მონაცემი ერთი კანონპროექტის ფარგლებში, თავის მხრივ, ათეულობითაა. ლიგალტექსის გამოყენებით ეს მონაცემები კონტექსტის მიხედვით ავტომატურად შეიძლება გამოისახოს საჭირო ადგილას, რასაც ერთი ნაშეკვა კი არ დასჭირდება.

ლიგალტექსი პარლამენტში იძლევა ასევე პროცესის მენეჯმენტის შესაძლებლობას. მთლიანი რეგლამენტი შესაძლოა გამოისახოს კოდის მეშვეობით²⁷, რომელიც ეხმარება პარლამენტის მთლიანი სტრუქტურისა და ლოგიკის შეცვლა რამდენიმე ნაშეკვა კია შესაძლებელი. შედეგად, კანონშემოქმედების პროცესი არის უფრო მოქნილი, შესაძლებელია სხვადასხვა ალტერნატივის ვიზუალიზაცია, შედარება და საუკეთესოს შერჩევა.²⁴

პარლამენტის დეპარტამენტებისა და კომიტეტების მუშაობაში ლიგალტექსა შესაძლოა განსაკუთრებული როლი იმით ითამაშოს, რომ მოხდეს ყველა ამ უწყების ერთმანეთთან დაკავშირება. უფრო სწორად, ერთ-ერთი მათგანის მიერ პროგრამაში მონაცემთა შეყვანის შემთხვევაში ეს მონაცემები გადავა ერთიან ბაზაში, საიდანაც შეიძლება მოხდეს ავტომატური ექსპორტი სხვა დეპარტამენტის ან კომიტეტის მიერ ამავე კანონპროექტთან დაკავშირებით დოკუმენტის მომზადებისას. მაგალითად, ბიუროს გადაწყვეტილება შეიცავს მონაცემებს (Input) კომიტეტის დასკვნისთვის (Output).²⁵ ამ გზით საგრძნობლად შეიძლება შრომითი ეფექტიანობის გაზრდა, რაც საჯარო უწყებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.²⁶ ერთი და იმავე მონაცემის შეყვანა პარლამენტის სხვადასხვა თანამშრომელს ჯამში შეიძლება რამდენიმე ათეულჯერ დასჭირდეს და ასეთი განმეორებადი მონაცემი ერთი კანონპროექტის ფარგლებში, თავის მხრივ, ათეულობითაა. ლიგალტექსის გამოყენებით ეს მონაცემები კონტექსტის მიხედვით ავტომატურად შეიძლება გამოისახოს საჭირო ადგილას, რასაც ერთი ნაშეკვა კი არ დასჭირდება.

²⁰ ხუბუა, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაცია, https://youtu.be/Jbh_GrgiLhc?t=99 (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).
²¹ სირდაძე/ჟორჟოლიანი, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2020, 9.
²² ხუბუა, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაცია, https://youtu.be/Jbh_GrgiLhc?t=134 (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).
²³ ხუბუა, სამართლის ნორმის ვიზუალიზაცია <https://youtu.be/Yfh34DfKnsY> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

²⁴ <https://vimeo.com/507490510/308fd210a7>.
²⁵ სირდაძე/ჟორჟოლიანი, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2020, 24.
²⁶ ხუბუა, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაცია, https://youtu.be/Jbh_GrgiLhc?t=164 (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).
²⁷ სირდაძე/ჟორჟოლიანი, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2020, 12.

მენტის თანამშრომლებს პროცესის წარმართვაში.

საკანონმდებლო ორგანოში სამართლის ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ლიგალტექს იყენებს როგორც პროცესის მენეჯმენტში, ისე დოკუმენტების გენერირებისას. გარდა ამისა, კომიტეტში დანერგილია ნორმათა ვიზუალიზაციის პროგრამა, რომელიც რულმეფინგის²⁸ გამოყენებით არა მხოლოდ კანონპროექტების მომზადებასა და განხილვაში ეხმარება სპეციალისტებს, არამედ ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობისას. ნორმის ციფრულ სქემად გარდაქმნით შესაძლებელია მისი ყველა სტრუქტურული ელემენტის დამოუკიდებლად გამოსახვა და სხვა ნორმებთან მიმართების დადგენა. ეს ეხმარება სპეციალისტს ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით დასაბუთების შემუშავებაში.

კანონპროექტების შემუშავებისას ნორმის ვიზუალიზაციის იმავე პროგრამას იყენებს გერმანიის ფედერალური იუსტიციის სამინისტრო, რასაც საქართველოს პარლამენტი.²⁹

2. სამართლის ტექნოლოგიების დანერგვა ადმინისტრაციულ ორგანოებში

ადმინისტრაციულ ორგანოს ლიგალტექსი შეიძლება დაეხმაროს ადმინისტრაციულ წარმოებაში. მოქალაქეს შეუძლია გამოიყენოს სამართლის ტექნოლოგიები, რათა მარტივად მოამზადოს ინდივიდუალური განცხადება, რომელიც იქნება კომპლექსური და მის ყველა საჭიროებაზე მორგებული. მოქალაქის მიერ შეყვანილი მონაცემების დამუშავება მოხდება პროგრამულად და გადაწყვეტილება (მაგალითად, ინდაქტი) შესაძლოა მომზადდეს ავტომატურად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის სრული ავტომატიზაცია ხშირად შეუძლებელია. სამართლებრივი ანალიზის ეტაპზე აუცილებელია ჩაერთოს მოხელე და მან გადან-

ყვეტილება ადამიანური (და არა მანქანური) განსჯის შედეგად მიიღოს³⁰. თუმცა ამ გადაწყვეტილების გაფორმება და მის საფუძველზე ინდაქტის ტექსტის შედგენა მარტივი ტექნიკური საკითხია, რომელიც პროგრამულად რამდენიმე წამში შეიძლება მოხდეს.

3. სამართლის ტექნოლოგიების დანერგვა სასამართლოში

თანამედროვე დიგიტალიზაციის ხანაში, ცხადია, სასამართლო ვერ იქნება ისეთი, როგორც ადრე იყო.³¹ სასამართლოში ლიგალტექსი, პირველ რიგში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ნორმის ვიზუალიზაციისათვის.³² კომპლექსური საკანონმდებლო რეგულაციები შეიძლება გარდაიქმნას ერთიან ციფრულ სქემად. ამავე სქემაში შეიძლება სასამართლო პრაქტიკის ჩაშენება. შედეგად, იქმნება საკანონმდებლო მონესრიგების ერთიანი დეტალური სტრუქტურა, რომელიც არა მხოლოდ თავად მოსამართლეებმა, არამედ ნებისმიერმა მოქალაქემ შეიძლება გამოიყენოს. ეს ხელს შეუწყობს სასამართლოს პრაქტიკის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობას და სასამართლოს გამჭვირვალობას.

მაგალითად, ქვემოთ მოცემული ციფრული სქემა ახდენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის დეტალურ ვიზუალიზაციას. ის შეიცავს 50-მდე საფეხურს და მისი მეშვეობით შესაძლებელია შემონმდეს, სახეზეა თუ არა სსსკ-ის 268-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა. სქემა ინტერაქციული - მომხმარებლის მიერ დინამიურ რეჟიმში შესაძლებელი სხვადასხვა წინაპირობის არსებულად (მწვანედ) ან არარსებულად (წითლად) მონიშვნა. პროგრამა კი ავტომატურ რეჟიმში აჩვენებს, შესაძლებელია თუ არა ამ კონკრეტულ საქმეში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.


³⁰ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUHM?t=140> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

³¹ ხუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUHM?t=113> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

³² ხუბუა, სამართლის ნორმის ვიზუალიზაცია <https://youtu.be/Yfh34DfKnsY> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

²⁸ Breidenbach, Rulemapping, in Breidenbach/Glatz (Hrsg.), Rechtshandbuch Legal Tech, 2. Auflage, München 2020, Kap. 9.2.

²⁹ <https://bmjv.pubstage.com/products/mit-methode-zum-entwurf>



ლიგალტექის მეშვეობით შესაძლოა ასევე სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური ციტირების პროგრამის შექმნა. მომხმარებელს შეჰყავს მონაცემები, თუ რასთან დაკავშირებით სჭირდება ამონარიდი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, და პროგრამა ავტომატურად ამზადებს ასეთ ამონარიდს. თუმცა ამის წინაპირობაა პროგრამის ისე კოდირება, რომ გადაწყვეტილების სხვადასხვა პასაჟი დაკავშირებული იყოს შესაბამის თემატიკასთან.

VI. შეჯამება

ლიგალტექი ეხმარება იურისტს არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ ასევე შინაარსობრივი სამუშაოს შესრულებაში. ხელოვნური ინტელექტის მიერ იურისტის ჩანაცვლება შეუძლებელია. სამართლის ტექნოლოგიებს მხოლოდ იურისტის მხარდაჭერა შეუძლია, რათა გაიზარდოს მისი ეფექტიანობა. დროისა და ხარჯების დაზოგვით გამოთავისუფლებული რესურ-

სი იურისტს შეუძლია სხვა დავალებების შესასრულებლად გამოყენოს. გარდა ამისა, ლიგალტექი იძლევა პროგრამულად შესრულებული სამუშაოს შეცდომისგან დაცულობისა და ხარისხის გარანტიას.³³

ლიგალტექის პროდუქტის შექმნა დამოკიდებულია იურისტის ფანტაზიაზე. სამართლის ტექნოლოგიები მზადაა, თავის თავზე აილოს თითქმის ნებისმიერი სირთულის დავალება.

დიგიტალიზაცია არის ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც ეხება სოციალური ცხოვრების ყველა მხარეს, დაწყებული ყოფითი ურთიერთობებიდან, დამთავრებული ჩვენი პროფესიული საქმიანობის, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სამომავლო განვითარების პერსპექტივებით. შესაბამისად, დიგიტალიზაციას უნდა შევხედოთ, როგორც გამონვევას, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიცავს

³³ ბრაიდენბახი/გლატცი, სამართლის დიგიტალიზაცია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 3.

ბევრ რისკს, მაგრამ ასევე იძლევა ბევრ შესაძლებლობას. თუ როგორ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობებს, ეს არის დამოკიდებული ჩვენი, როგორც იურისტების, პროფესიული ჯგუფის მონდომებაზე, ტემპებსა და იმ გამოწვევების რეალისტურად აღქმაზე, რომელთა წინაშეც

ჩვენ მიმდინარე პროცესების დროს დინამიურად ვხვდებით. შესაბამისად, სამართლის ტექნოლოგიებს უნდა შევხედოთ, როგორც გამონვევას და მაქსიმალურად უნდა მოვახდინოთ ამ გამონვევის ინტეგრირება ჩვენი იურიდიული საქმიანობის პროცესში.³⁴

³⁴ ბუბუა, სამართლის დიგიტალიზაცია, <https://youtu.be/k9PtUOglUhM?t=380> (უკანასკნელად ნანახია: 20.07.2022).

საზიარო საგნის მართვა და განკარგვა

ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

I. ზოგადი დებულებები

საზიარო საგნის მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს ანესრიგებს სსკ-ის 956-ე და შემდგომი მუხლები, რომელთა მიხედვითაც, მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში საქმე გვაქვს მონილეთა კოლექტიური გადაწყვეტილების უფლებამოსილებასთან.¹ განსახილველ ნორმათა ძირითად სულისკვეთებას წარმოადგენს საზიარო უფლების ერთობლივი მართვის პრინციპებისა და წესების განსაზღვრა.² ერთ-ერთ ასეთ პრინციპად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი, რომელიც ეხება საზიარო საგნის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას ხმათა უმრავლესობით. უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საზიარო საგნის კოლექტიურ მართვასთან დაკავშირებული წესები, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობით, უკან იხვეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს, ცალკეული მონილის მიერ ისეთ ინდივიდუალურ უფლებათა განხორციელებას, როგორცაა ნაყოფზე უფლება (სსკ-ის 955-ე მუხლი), საკუთარი წილის განკარგვა (სსკ-ის 959-ე მუხლი) და ა. შ.³

სსკ-ის 956-ე და 957-ე მუხლების სიტყვასიტყვითი განმარტებაც კი საკმარისია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კანონმდებელი ერთმანე-

თისაგან განასხვავებს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების და მართვის ღონისძიებების გატარების უფლებასა თუ შესაძლებლობას. გარდა ამისა, კანონმდებელი სსკ-ის 958-ე მუხლის მე-2 ნაწილით ასევე ითვალისწინებს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის ვალდებულებას. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების ზოგადი მოვალეობა კანონით ცალსახად არ არის განსაზღვრული.⁴ სწორედ ამ ფაქტში შესაძლოა დავინახოთ წილადი საზიარო უფლების თანამემკვიდრეობის ინსტიტუტისაგან განმასხვავებელი გარემოება. კანონმდებელი, ამ შემთხვევაში პირდაპირ და ცალსახად არ განსაზღვრავს მონილის ვალდებულებას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზიარო უფლების მართვაში. თუმცა მსგავსი ვალდებულება შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით, დამატებითი ვალდებულების ფორმით, მონილეთა შორის განსაკუთრებული ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს. ასევე შესაძლებელია, რომ სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელების უფლებაც იქცეს მოვალეობად.

II. მართვა და სარგებლობა

ცნებები „მართვა“ და „სარგებლობა“ სსკ-ის 956-ე და 957-ე მუხლებში ერთგვაროვნად არ არის გამოყენებული. თუმცა, აღნიშნული განს-

¹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 1.

² შეად. Gehrlein in BeckOK BGB, Hau/Poseck, 58. Edition, Rn. 1.

³ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 1.

⁴ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 2.

ხვავების საფუძელი არ მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ სსკ-ის 956-ე მუხლი ეხება ერთობლივი მართვის, ხოლო სსკ-ის 957-ე მუხლი მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით მიღების შესაძლებლობას. საზიარო უფლების მართვასა და სარგებლობას შორის არსებული განსხვავების იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების საგანი ან შინაარსი. სსკ-ის 956-ე მუხლში კანონმდებელი საუბრობს საგნის მართვასა (პირველი ნაწილი) და საგნის შენახვაზე (მეორე ნაწილი), რაც საგნის მოვლა პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას გულისხმობს. აღნიშნული საგან განსხვავებით, სსკ-ის 957-ე მუხლი ეხება, როგორც საზიარო საგნის მართვას, ასევე საზიარო საგნით სარგებლობას. შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 957-ე მუხლში ნახსენებ მართვასა და სარგებლობაში იგულისხმება მხოლოდ მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საგანი თუ შინაარსი და არა საკუთრივ გადაწყვეტილება. შესაბამისად, მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შინაარსი მოიცავს, საზიარო საგნის, როგორც მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ასევე ამ საგნით სარგებლობას.

საზიარო საგნის მართვა გამოყენება და სარგებლობა წარმოადგენს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საგანს.⁵ მართვას, ამ გაგებით, განეკუთვნება ღონისძიებები, რომლებიც ეხება ყველა მონილის ერთობლივ ინტერესს საზიარო უფლებაში, განსაკუთრებით, საზიარო საგნის მოვლა-პატრონობას ან შეცვლას ან მის გამოყენებას; აღნიშნულის საპირისპიროდ, („ნაყოფის“) გამოყენება და სარგებლობა სსკ-ის 955-ე მუხლის გაგებით, ემსახურება ინდივიდუალური მონილის ინტერესებს. მართვის კოლექტიური გადაწყვეტილება ქმნის ინდივიდუალური გამოყენების წინაპირობებს.⁶ თუ რა ექცევა აღნიშნულში, განისაზღვრება საზიარო საგნის სახეობის, თვისებების

და არსებულ ვითარებასთან კავშირით. მართვას განეკუთვნება ყველა გადაწყვეტილება და ღონისძიება, რომელიც მოიცავს საქმის ვითარების დადგენას (დარეგულირებას) სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით და რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ყველა მონილის ინტერესების სასარგებლოდ და ამიტომ ერთობლივად უნდა იქნეს გადაწყვეტილი. სსკ-ის 955-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სარგებლობისგან მართვა იმით განსხვავდება, რომ იგი სარგებლობის წინაპირობების, კერძოდ, პერსონალური გამოყენების თაობაზე იღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, როდესაც საკითხი ეხება მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, მართვასა და განკარგვას შორის მკაცრი განსხვავება არ არის აღიარებული. განკარგვები, თუ დასახელებული ფარგლები დაცულია, შეიძლება წარმოადგენდეს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების საგანს.⁷ აქედან გამომდინარე, საზიარო საგნის გასხვისების საკითხის გადაწყვეტაც ექცევა სსკ-ის 956-ე და 967-ე მუხლების მოქმედების ფარგლებში.⁸ მონილეს შეუძლია საგნის გამოყენება, რომელიც ზრდის ღირებულებას, მხოლოდ სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად და მხოლოდ სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად შეუძლია მას ამის სხვებისგან მოთხოვნა. თუ ეს წინაპირობები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ მონილე ვერც მართვის ან სარგებლობის ნებს დაეყრდნობა, ამიტომ მას არც ობიექტურად ღირებულების გამზრდელი ცვლილების მოთხოვნა შეუძლია.

მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საგნის მაგალითებს განეკუთვნება: გამოყენების და სარგებლობის ტიპის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება, ფულადი სახსრების დაბანდება და ხარჯების დაფარვა, მმართველის დანიშვნა ან მისი დათხოვნა, მართვის განხორციელება მონილის მიერ, საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადება, გაქირავება ან იჯარით გაცემა, ქირის განსაზღვრა, ქირის მომატება, ისევე, როგორც იჯარის ან ქირავნობის ურთიერთობის მოშლა ან მისი გაგრ-

⁵ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 4.

⁶ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 744, Rn. 2.

⁷ შეად. Eickelberg, in Staudinger BGB, 2015, § 744 Rn. 9.

⁸ შეად. BGH NZG 10, 938; NJW 11, 61, 63.

ძელება;⁹ ასევე, პრინციპულად, არ არის გამო-
რიცხული, რომ განკარგებიც წარმოადგენდეს
მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილე-
ბის საგანს.¹⁰ მართვას წარმოადგენს თავად სა-
გნის ფაქტობრივი ცვლილება, მაგალითად, სა-
მშენებლო ღონისძიებების შედეგად, მოვლა-პა-
ტრონობის ღონისძიებები 956-ე მუხლის მეორე
ნაწილის შესაბამისად შეიძლება წარმოადგენ-
დეს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტი-
ლებების საგანს. ასე მაგალითად, შეკეთებას-
თან დაკავშირებული ხარჯები ან ვალის დაფა-
რვა იძულებითი აღსრულების თავიდან არიდე-
ბის მიზნით. აღნიშნულს ასევე განეკუთვნება
მოდერნიზაცია, რომლის საშუალებითაც ხდება
საზიარო ნივთის ტექნიკური განვითარების
ღონესთან მისადაგება. საზიარო საგნის მართ-
ვასთან დაკავშირებული უფლებამოსილების
ფარგლებში, მოწილეებს ასევე აქვთ შესაძლებ-
ლობა, მიიღონ გადაწყვეტილება საზიარო საგ-
ნის მართვის კომპეტენციის მესამე პირისთვის
მინიჭებასთან დაკავშირებით.¹¹ სსკ-ის 956-ე
მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა ნების-
მიერი ისეთი გადაწყვეტილების მიღება თუ ღო-
ნისძიების გატარება, რომელიც შეესაბამება
საზიარო უფლებით წარმოშობილი პირთა ერ-
თობის საერთო ინტერესებს და აუცილებელია
საზიარო საგნის, როგორც სუბსტანციისა და
ეკონომიკური ღირებულების მატარებელი სი-
კეთის შენარჩუნებისათვის.¹²

მართვას არ წარმოადგენს: საორგანიზაციო
აქტები, რომელთა საშუალებითაც მოწილეები
თავიანთი საზიარო უფლების მოწყობას აწეს-
რიგებენ,¹³ მაგალითად, საზიარო უფლების გა-
უქმება, საზიარო საგნის გაყიდვა, წილებთან
დაკავშირებით განკარგვის აკრძალვა.¹⁴ საზიარ-
ო საგანთან დაკავშირებულ განკარგვებს (მა-

გალითად, იპოთეკით დატვირთვა) ჩვეულებრივ
განასხვავებენ მართვის ღონისძიებებისგან, მა-
გრამ ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ მართ-
ვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების
საგანს.

III. მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საერთო კონსენსუსის საფუძველზე

1. ძირითადი პრინციპი

სსკ-ის 956-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-
ნახმად მართვის ყოველი ღონისძიება შეიძლება
მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე
ერთობლივად განხორციელდეს. მართვის ან
გამოყენების წესი შეიძლება, როგორც ეს არა-
პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის 957-ე მუხ-
ლის მეორე ნაწილიდან, იყოს შეთანხმებული ან
ერთხმად მიღებული. მართვა შესაძლოა განხო-
რციელდეს დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრე-
ბული პრაქტიკის ან კონკლუდენტური თანხმო-
ბის საფუძველზე, თუმცა უნდა დადასტურდეს
სსკ-ის 957-ე მუხლით გათვალისწინებული წი-
ნაპირობების შესაბამისად.¹⁵ სსკ-ის 957-ე მუხ-
ლის მეორე ნაწილის ზღვარი აქ არ მოქმედებს.
არც ერთ მოწილეს არ შეუძლია იმის მტკიცება,
რომ პირადად მის მიერ მოწონებული წესი არ
შეესაბამება მის ინტერესებს. ფაქტობრივი ურ-
თიერთობების მხოლოდ ერთმა ცვლილებამ შე-
იძლება წარმოშვას ამ ნორმით გათვალისწინე-
ბული მოთხოვნის უფლება.

მართვა შეიძლება გადაეცეს ერთ მოწილეს,
ან სულაც მესამე პირს.¹⁶ ჩვეულებრივ ეს, იმავე
დროულად, მიჩნეულ უნდა იქნეს უფლებამოსი-
ლების მინიჭებად მოქმედების სფეროს ამ ფარ-
გლებში. შიდა ურთიერთობაში ამ მოწილეს უჩ-
ნდება რწმუნებული პირის (მინდობილი მესა-
კუთრის) მოვალეობები. შეიძლება ასევე ჩამო-
ყალიბდეს მართვის ჩვეულებრივი სისტემა,
რომელიც საზიარო უფლების კანონით გათვა-

⁹ OLG Düsseldorf NJW-RR 1998, 11; BGHZ 56, 47, 50.

¹⁰ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 5.

¹¹ Saenger in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, Rn. 3; BGH NJW 1983, 449.

¹² შეად. Saenger in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, Rn. 4; Staudinger/v. Proff, 2015, § 744 Rn. 7; zust. Erman/Aderhold § 744 Rn. 2; missverständlich Soergel/Hadding § 744 Rn. 2.

¹³ შეად. JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 745, Rn. 2.

¹⁴ შეად. BGHZ 101, 24 = NJW 1987, 3177; BGHZ 140, 63 (68 f.) = NJW 1999, 781 (783)

¹⁵ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 742, Rn. 3.

¹⁶ Saenger in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, Rn. 3; Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 742, Rn. 3; BGH NJW 1983, 449.

ლისნინებული ტიპისთვის, როგორც ასეთი, უცხოა. ცალკეულ მონილებებს შეიძლება მიენიჭოს სპეციალური უფლებები.¹⁷

2. შეთანხმება და გადაწყვეტილება

შეთანხმებებსა და გადაწყვეტილებებს შორის განსხვავება მათი ერთხმად მიღების შემთხვევაში, საკმაოდ თეორიულ საკითხს წარმოადგენს. სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილი მხოლოდ ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას უპირისპირებს შეთანხმებას. თუ მიღებულია ერთხმად მიღების უფლება, მაშინ გადამწყვეტი არ არის მონვევა და შეკრება (გადაწყვეტილება) მანამდე განხორციელდა თუ არა (შეთანხმება). სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილებები ექვემდებარება ხმათა უმრავლესობის პრინციპს. ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება შეთანხმებებისგან განსხვავებით, ლეგიტიმაციისთვის საჭიროებს გადაწყვეტილების მიღების პროცედურის დაცვას.¹⁸ მაგრამ გადაწყვეტილებების წინაპირობას, ისევე როგორც შეთანხმებებისას, არ წარმოადგენს კრების მონვევა. პირიქით, პრაქტიკულად მნიშვნელოვანია, მონილეთა ნების მიხედვით უნდა შენარჩუნდეს თუ არა ერთხმად მიღებული მართვის წესი, როგორც უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ ერთ-ერთი მონილის ნების გამოვლენა ბათილია ან წარმატებით იქნა შეცვლილი. თუ სახეზეა მონილის ასეთი ნების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაშინ ერთხმად მიღებული მართვის წესის იურიდიული ძალა დამოკიდებულია იმაზე, რომ ყოველმხრივი კონსენსუსი იყოს ნამდვილი (იურიდიული ძალის მქონე).

3. სიტყვიერი ან კონკლუდენტური შეთანხმება

სიტყვიერად ან კონკლუდენტურად შეიძლება მიღებულ იქნეს შეთანხმებები და ერთხმად

მისაღები გადაწყვეტილებები. თუ ორი თანამესაკუთრიდან ერთ-ერთი ქირაობს საზიარო ნივთს, მაშინ ეს იმავდროულად წარმოადგენს სარგებლობის შესახებ შეთანხმებას.¹⁹ ფაქტობრივი თანხმობა ცალმხრივად გამოყენებაზე და ტვირთის დაკისრებაზე შეიძლება მიუთითებდეს კონკლუდენტურ რეგულირებაზე, სავარაუდოდ ასევე ქორწინების შემდგომ სარჩოს გადახდის შემთხვევაშიც. თუ ხდება გარაჟის ან მისასვლელი ადგილის ხანგრძლივად გამოყენება ან შესაბამისად, არ გამოყენება გარკვეული მიზნით, მაშინ ესეც წარმოადგენს შეთანხმებას სარგებლობის თაობაზე. ამდენად, ზოგ შემთხვევაში გადაწყვეტილებები „დუმით“ შეიძლება მიიღებოდეს, მაგრამ ასეთი „გადაწყვეტილება“ მათთვის ვალდებულებას არ წარმოშობს. პრაქტიკული დასკვნა მდგომარეობს არა მხოლოდ უმრავლესობის ცვალებადი გადაწყვეტილებების თავისთავად ცხად შესაძლებლობაში. მეტიც, სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილის წინაპირობების მიხედვით, ცვლილება ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს მოთხოვნილი ისე, რომ ამისთვის არ არის საჭირო ფაქტობრივი ურთიერთობების ცვლილება. რაიმე გარემოების ან პრაქტიკის უბრალოდ თმენა არ წარმოადგენს 957-ე მუხლის მეორე ნაწილის გამომრიცხველ კონსენსუსს.²⁰ თუ შეთანხმება ხარვეზებს შეიცავს, მაშინ ამ ხარვეზების გამოსწორება რეგულირდება სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილით.

4. ცვლილება

ყველასთან შეთანხმებული ან შესაბამისად, ერთხმად მიღებული მართვის რეგულაციების შეცვლა გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას მოითხოვს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება, ცალკეულ შემთხვევებში, მონილეთა ნებას.²¹ ასეთი ნება ივარაუდება, როდესაც მონილებს სურდათ საბოლოო, ყველას თანხმობით ან სხვა შემთხვევაში, უმრავლესობის ნებიდან გამომდინარე გარანტირებული წესის მიღება. თუ ნე-

¹⁷ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 14.

¹⁸ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 15.

¹⁹ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 744, Rn. 3.

²⁰ BGH NJW 1974, 364.

²¹ BGH NJW-RR 2010, 1312, 1313; Palandt/Sprau § 744 Rn. 2; unklar noch RGZ 160, 122, 128.

სი ხმათა უმრავლესობით მიღებული არ არის, მაშინ ცვლილება არა მარტო შეთანხმებული, არამედ უმრავლესობის კომპეტენციის ფარგლებში სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც შეიძლება იქნეს მიღებული.

IV. ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები (სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილი)

ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება საზიარო საგნის შესაბამისი სათანადო მართვისა და ამ საგნით სარგებლობის შესახებ, წარმოადგენს მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების საგანს არ წარმოადგენს საორგანიზაციო აქტები, რომელთა საშუალებითაც საზიარო უფლება შიდა ურთიერთობაში მონაწილის საკითხებს აწესრიგებს. ამ ნორმით საშუალება იქმნება მოხდეს შიდაორგანიზაციული საკითხების მონესრიგება მოწილეთა ხმების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, იმ გამონაკლისით, რომ ადრე იგივე საკითხთან დაკავშირებით ერთხმად არ იყო მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით მიღება, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით დასაშვებია მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში.²²

საყურადღებოა, რომ წილადი საზიარო უფლება არ წარმოადგენს წესდებით შექმნილ იურიდიულ პირს. საზიარო უფლების მონილევებს შიდა ურთიერთობაში შეუძლიათ ე. წ. კვაზი-კორპორატიული შიდა ორგანიზაციის ჩამოყალიბება კავშირის წესდებაზე დაყრდნობით.²³ ამგვარად, საზიარო უფლებას შეიძლება გააჩნდეს კრების, გამგეობის და ა. შ. „ორგანოები“ (953-ე მუხლი). ამით იგი „შიდა კორპორაციას“ ემსგავსება, რომელსაც საგარეო ურთიერთობაში უფლებაუნარიანობა არ გააჩნია.²⁴ შეთანხმების საშუალებით, მონილევებს შეუძლიათ უმრავლესობის კომპეტენციის გაფართოება

სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებს გარეთ.

1. პროცედურა

გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, დიდწილად მონილეთა ერთობლიობის სურვილზეა დამოკიდებული. პროცედურასთან დაკავშირებული დებულებები არ არსებობს და სამართლის ზოგადი იდეიდან უნდა განვითარდეს. დასაშვებია გადაწყვეტილების მიღება როგორც ზეპირი (ასევე სატელეფონო), ისე წერილობითი (ასევე ელექტრონული) ფორმით. გადაწყვეტილებები შეიძლება ეხებოდეს სათანადო გამოყენების საკითხებს. ამასთან, უმრავლესობის გადაწყვეტილებამ არ შეიძლება მიგვიყვანოს არსებით ცვლილებებამდე, ვინაიდან მას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს სხვა მენილევების ეკონომიკურ თუ სხვა სახის პირობებზე.²⁵

2. ფარგლები

ხმათა უმრავლესობის ძალაუფლების ფარგლები გამომდინარეობს ერთი მხრივ, გადაწყვეტილების საგნის შეზღუდვიდან, მეორე მხრივ კი, მატერიალური უმცირესობების დაცვიდან. თუმცა, გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის ზოგადი კონტროლი არ ხდება.²⁶ ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისი, თუკი ნივთის მიზანი ან ფორმა არსებითად იცვლება.²⁷

უმრავლესობის კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება სსკ-ის 957-ე მუხლის მესამე ნაწილით. ამ წესის მიხედვით, უმრავლესობის გადაწყვეტილება მაშინაც შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო, როდესაც მიღებულ იქნა, თავის მხრივ, მართებული გადაწყვეტილება მართვის ღონისძიების შესახებ.

²² შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 745, Rn. 1.
²³ BGHZ 25, 311, 313; NJW 1957, 1800.
²⁴ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 18.

²⁵ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 744, Rn. 2.
²⁶ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 22.
²⁷ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 744, Rn. 3.

3. ნილი სარგებლობაში

ცალკეული მონილის ნილი სარგებლობაში სსკ-ის 957-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, დამოკიდებულია შესაბამისი მონილის თანხმობაზე. დაცულია არა მხოლოდ ნაყოფზე ნილობრივი უფლება (განსაკუთრებით გაქირავებიდან და იჯარიდან მიღებული შემოსავალი), არამედ ასევე სარგებლობით მიღებული სხვა სახის უპირატესობები.²⁸ მაგრამ სსკ-ის 957-ე მუხლის მესამე ნაწილი არ იძლევა სსკ-ის 955-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების გარანტიას. იგი არსებობს მხოლოდ მანამ, სანამ მონილეებს შორის არსებობს უსასყიდლო პირადი მოხმარების პრინციპი. აღნიშნულიდან გადახვევა შესაძლებელია მართვასთან დაკავშირებული წესის საშუალებით. მართვასთან დაკავშირებული წესი შეიძლება მდგომარეობდეს მესამე პირების ან მონილისთვის ანაზღაურების სანაცვლოდ დათმობაში.²⁹ სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების შემზღუდველი გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონე ვერ გახდება მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება უფრო ეკონომიური იქნებოდა. თუმცა, შესაძლებელია, რომ საზიარო საგანი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მონილეს გადაეცეს. სსკ-ის 957-ე მუხლის მესამე ნაწილის დარღვევას შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც უმცირესობის ხმების სანაალმდეგოდ ხდება რეზერვების შენარჩუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.³⁰

4. არსებითი ცვლილებები

არსებითი ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით არ არის შესაძლებელი. ასეთი ცვლილება სახეზეა, როდესაც ხდება საზიარო საგნების მიზნობრიობის ან ფორმის არსებითი ცვლილება. აღნიშ-

ნულს, ქონების დანაწილების მიზნის მქონე თანამემკვიდრეობისგან განსხვავებით, ასევე განეკუთვნება გადაწყვეტილება მთლიანად გასხვისების შესახებ, თუნდაც გონივრული ფასის სანაცვლოდ.³¹ ნიშნენლოვანი ცვლილება მხოლოდ ამ მნიშვნელობის გამო ვერ იქცევა „არსებითად“. საგნის თვისებების შენარჩუნება (სსკ-ის 957-ე მუხლის პირველი ნაწილი) უმრავლესობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მხოლოდ ამავე მუხლის მესამე ნაწილით არ არის უზრუნველყოფილი. ცვლილების არსებითობა უბრალოდ ბრუნვაში არსებული შეხედულების მიხედვით არ განისაზღვრება, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იგი საზიარო უფლებაზე. განსაკუთრებულ როლს ამ თვალსაზრისით ასრულებს, მაგალითად, საზიარო საგნის მოვლა-პატრონობის ხარჯები (960-ე მუხლი). მნიშვნელოვანი გაუარესებები ყოველთვის უნდა იქნეს მიჩნეული არსებით ცვლილებად. მე-3 ნაწილის დისპოზიცია თავიდან მხოლოდ საზიარო საგნით შემოიფარგლება, მაშინ, როდესაც თანამემკვიდრეობის მიმართ გამოყენებისას იგი მთლიანად სამკვიდროს ეხება.³¹ არსებითი ცვლილებაა, მაგალითად, მისასვლელი გზის ფილებით დაფარვა, ნაგავსაყრელი სისტემის ან ლიფტის, ან მანქანის დასაყენებელ ადგილას გარაჟის მშენებლობა და სხვა მსგავსი.³² ამის საპირწონედ, მაგალითად ქონების იჯარა/ქირავნობა არ იწვევს ნივთში არსებით ცვლილებას და ასეთ გადაწყვეტილებას არ მიეკუთვნება.

5. სამართლიანობის კონტროლი (სსკ-ის 957 II)

უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობის კონტროლი, ზოგადად, აღიარებულ ფარგლებს მიღმა არის შესაძლებელი, სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით. მთავალსაზრისით, ამ ნორმიდან გამომდინარე სარჩელი ნაწილობრივ საერთო კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ სა-

²⁸ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 24.

²⁹ OLG Köln NZM 2001, 994; Staudinger/Eickelberg, 2015, § 745 Rn. 14.

³⁰ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 24.

³¹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 25.

³² შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 744, Rn. 3.

რჩელის ფუნქციას ითავსებს. 957-ე მუხლის მეორე ნაწილი მხოლოდ მაშინ კი არ გამოიყენება, როდესაც არ არსებობს გადაწყვეტილება, არამედ მაშინაც, როდესაც სამართლიანი შეფასების მიხედვით, არ არსებობს ყველა მონაწილის ინტერესის შესაბამისი წესი. 957-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პროცედურა იძლევა უსამართლო წესების *ex nunc* შეცვლის შესაძლებლობას. 957-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, შესაძლებელია ასევე თანასწორი მოპყრობის პრინციპის დარღვევების გამოწვევა.³³ სამართლიანობის შესაბამისი წესის მიღების მოთხოვნა წარმოადგენს საჭირო კომპრომის შინაარსის კონტროლსა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის. თუმცა, მიზანშეწონილობის ზოგადი კონტროლი არც ამით არის აღიარებული.

6. სამართლებრივი შედეგები

ა) შიდა ეფექტი

უმრავლესობის მიერ მიღებული ნამდვილი გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები სადავოა. ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების შიდა მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მონილე - მათ შორის წინააღმდეგ - ვალდებულია, რომ მონაწილეობა მიიღოს მის შესრულებაში.³⁴ ეს მოვალეობა გასაჩივრებადია; გარკვეულ გარიგებაზე თანხმობის მიცემის მოთხოვნის უფლების (და არა ზოგადად ხმათა უმრავლესობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებებისთვის თანხმობის მიცემის მოთხოვნის უფლების) დათმობა (უფრო სწორია: განსახორციელებლად დათმობა) შესაძლებელია ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების ბენეფიციარის მიერაც.

ბ) გარე ეფექტი

სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს

ასევე ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებების სულ უფრო მეტად აღიარებული გარე ეფექტი.³⁵ ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება იძლევა განკარგვის ძალაუფლებას და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.³⁶ ვისაც შიდა ურთიერთობაში მინიჭებული აქვს გადაწყვეტილების აღსრულების უფლებამოსილება, მას შეუძლია საკუთარი, ისევე როგორც ყველა მონილის სახელით დადოს ამისათვის საჭირო გარიგებები მესამე პირებთან. თუ ხელშეკრულების პარტნიორი ამაზე მიდის, მაშინ ჩაითვლება, რომ მოქმედების განმხორციელებელი პირი ყველა მონილის სახელით მოქმედებს.³⁷ ხმათა უმრავლესობით მი-

³⁵ შეად. Eickelberg, in Staudinger BGB, 2015, § 745, Rn. 40.

³⁶ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 745, Rn. 2, Eickelberg, in Staudinger BGB, 2015, § 745 Rn. 44, Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 31.

³⁷ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით, თავიდან ბუნდოვანი იყო: თუმცა, BGHZ 49, 183 (192 f.) = NJW 1968, 743 (745) (თანამემკვიდრეობა), ყოველ შემთხვევაში, გადაუდებელი და სასწრაფო შემთხვევებისას ასეთი უფლებამოსილების სასარგებლოდ გამოდის. BGHZ 56, 47 (50) = NJW 1971, 1265 (1266)-ის მიხედვით ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება, როდესაც იგი მოქმედებს თანამემკვიდრეობის სასარგებლოდ ან მათ წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც იგი არ ეხება განკარგვებს. BGHZ 183, 131=NJW 2010, 765-ის (თანამემკვიდრეობა) შემდეგ და აქ წინა რედაქციებში გამოთქმული მოსაზრებებთან შესაბამისობაში, ასეთ შეზღუდვებზე უკვე აღარ არის საუბარი. BGH NJW 2011, 61-ის მიხედვით, თანამესაკუთრეთა უმრავლესობას, როგორც გამჭირავებულს, შეუძლია ყველა თანამესაკუთრის სახელით, შეწყვიტოს ქირავნობის ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის გზით. იგივე წესი მოქმედებს, მაგალითად, საზიარო ანგარიშის შემთხვევაში. წინაპირობას წარმოადგენს გადაწყვეტილების ნამდვილობა (ა.ნ. 32). მისი ბათილობის შემთხვევაში კანონიერი ნდობის პრინციპით გათვალისწინებული დაცვა გამოირიცხება. საგარეო ეფექტის წინააღმდეგ არსებული სამართლიანი ძირითადი საწინააღმდეგო არგუმენტი მიმართულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისკენ და მასში ყველა მონილის, სოლიდარული მოვალეების სახით გარე პასუხისმგებლობის შედეგისკენ (§427), ნაცვლად შიგა ნილობრივი ვალდებულებებისა (§ 748). ამიტომ, ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით წარმოშობილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ზღვარი გადის იქ, სადაც სახეზეა ფულადი ვალდებულების შესრულების ვალდებულებით-სამართლებრივი პირველადი ვალდებულება (მაგალითად, ნასყიდობა). მონილეს არ შეუძლია ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უშუალოდ დაავალდებულოს სხვები თავიანთი კერძო ქონებიდან შეს-

³³ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 29.

³⁴ შეად. Soergel/Hadding, Verlag W.Kohlhammer, 2012, § 745, Rn. 8; Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 30.

ღებულის გადაწყვეტილების საფუძველზე განკარგვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების ფარგლები მდგომარეობს გადაწყვეტილების ნამდვილობაში, აგრეთვე განსაზღვრულობის პრინციპში.³⁸ მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც თავიანთი ტიპის და შინაარსის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებში ექცევა, შეიძლება დაიდოს ისე, რომ საწინააღმდეგო აზრის მქონე მონილეთა მონაწილეობის გარეშე და მათი ნების წინააღმდეგაც კი, მათ საგარეო ეფექტი ჰქონდეთ ყველას სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. მაგალითად, საზიარო მიწის ნაკვეთის გაქირავება უნდა განხორციელდეს განსაზღვრული ან სულ მცირე, განსაზღვრადი ქირის საწინააღმდეგოდ; მხოლოდ მიწის ნაკვეთის გაქირავების გადაწყვეტილება არ არის საკმარისი. ამასთან, არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს ის ფაქტი, პირდაპირ ითვალისწინებდა თუ არა უფლებამოსილების მინიჭებას ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება.³⁹ თუ გადაწყვეტილება აკმაყოფილებს განსაზღვრულობის მოთხოვნას, მაშინ დებულებას უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, მხოლოდ დაზუსტების მნიშვნელობა აქვს. თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მაშინ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ დებულებასაც არავითარი აზრი არ ექნება. პრაქტიკაში რეკომენდებულია, რომ ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინებით, როგორც განკარგვების, ისე ვალდებულებების შემთხვევაში, ჩართულ იქნეს ყველა მონილე, შესაძლოა განკარგვის უფლებამოსილების ან წარმომადგენლობითი უფლე-

რულებასთან დაკავშირებით. სხვა გარიგებების შემთხვევაში (გაყიდვა, გაქირავება, იჯარით გაცემა) გარეგანი მოქმედება შენარჩუნებულია. როდესაც მოქმედება ყველა მონილის სახელით ხორციელდება, მაშინ უმცირესი ნილის ბელიც იქცევა გამყიდველად, გამქირავებლად, მეიჯარედ და ა. შ. და იგი არ არის ვალდებული, რომ შიდა ურთიერთობაში ითმინოს ხელშეკრულების შესრულება. საზოგადოებაში საზიარო ნილიდან ხმის უფლების ერთიანად განხორციელებაც, უპრობლემოდ ხდება მონილეთა ხმების უმრავლესობით. შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 31.

³⁸ შეად. ზარანდია, სანივთო სამართალი, გვ. 69 და შემდგ.

³⁹ Staudinger/Vogel, 11. Aufl. 1975, § 745, Rn. 10, მითითებულია: Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 32.

ბამოსილების ინდივიდუალურად გაცემის გზით. საეჭვო სამართლებრივი ვითარებიდან გამომდინარე, უმრავლესობას შეუძლია მოითხოვოს უმცირესობისგან ასეთი უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტი ან შესაბამისად, მინდობილობა. მონაწილეებს შეუძლიათ თავად იზრუნონ სამართლებრივ უსაფრთხოებაზე, აუცილებლობის შემთხვევაში - ნამდვილობის აღიარების შესახებ სარჩელით, დამხმარე სახით - გარიგების მონონების შესახებ სარჩელით. ეს სარჩელი არ იქნებოდა, მაგალითად, სამართლებრივი დაცვის ინტერესის არარსებობის ან გარიგების პრევენციული დადასტურების მოთხოვნის უფლების არსებობის გამო დაუშვებელი. თუმცა პირიქითაც, ასევე ნაკლებად არის დასაშვები ამ ყველაზე უსაფრთხო, მაგრამ რთული გზის ასარჩევად მონაწილეების იძულება. გარეგანი ნამდვილობის შიდა პროცესების საშუალებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა ხელს არ უშლის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებების უშუალო გარეგან ეფექტს.

7. მცდარი გადაწყვეტილებები

მცდარი გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს ბათილი ან შესაბამისად, ძალადაკარგული.⁴⁰ აღნიშნულის საპირისპიროდ, საზიარო უფლებაში შეცილებადი გადაწყვეტილებები არ არსებობს. აღნიშნულისგან უნდა განვასხვავოთ ხმის მიცემის შეცილება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ზოგადი დებულებების მიხედვით, რომლებიც ასეთის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებასაც აუქმებს.⁴¹ პროცედურის დარღვევები ძალადაკარგულად, ან შესაბამისად, ბათილად აქცევს გადაწყვეტილებას, თუ ისინი გადაწყვეტილების შედეგისთვის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ბათილობის საფუძველზე წარმომადგენს შინაარსთან დაკავშირებული ყველა დარღვევა, განსაკუთრებით, დარღვევა სსკ-ის 957-ე მუხლის მესამე ნაწილთან მიმართებით. თუ დარღვეული ნორმა მხოლოდ

⁴⁰ შეად. Eickelberg, in Staudinger BGB, 2015, § 749 Rn. 47.

⁴¹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 33.

ცალკეული პირის დაცვას ემსახურება, მაშინ გადანყვეტილება შეიძლება პრეტენზიაზე უარის ან პრეტენზიის უფლების დაკარგვის გზით ანუ არაფორმალური „თანხმობით“ ან პრეტენზიის უფლების პრეკლუზიით გამოსწორდეს. ასეთ გამოსწორებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მონილე მისთვის ცნობილ დანაწესს შედავების გარეშე იღებს (უშვებს). მხოლოდ შემდგომი ინფორმირება, როგორც „სასამართლო მოსმენა“ (§ 242-ის გამოკლებით) ასეთი თანხმობის გარეშე საკმარისი არ უნდა იყოს.¹⁸⁰ გნორირებულ მონილესაც სასამართლო მოსმენის დარღვევის გასაჩივრება მხოლოდ გონივრული ვადის ფარგლებში შეუძლია. ძალადაკარგულობის (ბათილობის) თაობაზე პრეტენზიის წარდგენისთვის სპეციალური წესები არ არსებობს. ნებისმიერ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით გამოიყენოს გადანყვეტილების ძალადაკარგულობა (ბათილობა).

V. მართვის და სარგებლობის სამართლიან წესზე მოთხოვნის უფლება (სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილი)

თითოეულ მონილეს, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, გააჩნია უფლება, ყველა მონილის ინტერესის შესაბამისი მართვის და სარგებლობის წესის განსაზღვრაზე. აღნიშნული პირდაპირ არის მითითებული სსკ-ის 957-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელიც თითოეულ მონილეს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს საზიარო საგნით ყველა მონილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუკი ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადანყვეტილებით არ არის მოწესრიგებული.

სსკ-ის 957-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ყველა მონილის ინტერესის შესაბამის მართვასა და სარგებლობას, არსებობს, თუ სახეზე არ არის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიღებული წესი მართვის შესახებ. კერძოდ, ამ ნორმის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს იმ ფორმისა და შინაარსის მართვისა და სარგებლობის განხორციელების უფლება, რომელიც შეესაბამება ყველა მონილის ინტერესს. ამასთან, კანონმდე-

ბელი ასევე განსაზღვრავს დამატებით წინაპირობას, რომელიც გულისხმობს, რომ მართვისა და სარგებლობის ფორმისა თუ შინაარსის განსაზღვრელ არც გადანყვეტილებას და არც შეთანხმებას არ უნდა ქონდეს ადგილი. თუმცა კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა გარკვეულ ბუნდოვანებებს ქმნის იმ კუთხით, რომ სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილი მოთხოვნის უფლებას იმაზე დამოკიდებულს ხდის, რომ საერთოდ არ უნდა არსებობდეს არც შეთანხმება და არც გადანყვეტილება. თუმცა აღნიშნული ფორმულირების ქვეშ აუცილებელია ასევე მოაზრებულ იქნეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მართალია მხარეებს შორის არსებობს ამ კუთხით გარკვეული შეთანხმება, თუმცა იგი გარკვეულ ასპექტებში ხარვეზებს შეიცავს და შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში ვერ ხერხდება კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება.⁴² ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსგავსი ხარვეზიანი შეთანხმებისა თუ გადანყვეტილების შინაარსის ცვლილება მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს.⁴³ განსაკუთრებით, როდესაც მეუღლეები განქორწინების პროცესში არიან, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ახალი წესი მათ თანასაკუთრებაში არსებული და აქამდე საზიაროდ გამოყენებული საერთო ბინის მართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებით.⁴⁴ ცვლილებას ექვემდებარება ასევე გადანყვეტილების ფორმით მიღებული წესები. თუმცა, ხმათა უმრავლესობით მიღებული გადანყვეტილებების შეცვლის მოთხოვნა შეიძლება არა მხოლოდ ურთიერთობების შემდგომი ცვლილების შემთხვევაში. ვისაც გადანყვეტილებით მიღებულ წესთან დაკავშირებით თანხმობა არ გამოუცხადებია მას შეუძლია სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე სარჩელით გაასაჩივროს გადანყვეტილება ისე, რომ არ იქნება საჭირო ფაქტობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენა. მართალია, სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილი არ იძლევა მიზანშეწონილი წესის მიღე-

⁴² BGH NJW 1974, 364.

⁴³ BGHZ 34, 367, 370; NJW 1961, 1299, 1301; BGH NJW 1982, 1753; NJW 1984, 45, 46; 1993, 3326, 3327.

⁴⁴ BGHZ 87, 265; BGH NJW 1982, 1753; NJW 1986, 1340; NJW 1996, 2153, 2154; NJW-RR 1989, 1483; NJW 2000, 1425.

ბაზე ზოგადი მოთხოვნის უფლებას, მაგრამ ცვლილების განხორციელების მოთხოვნის უფლება არსებობს ყოველთვის მაშინ, როდესაც კანონისმიერი (მაგალითად 955-ე მუხლის მეორე ნაწილით) ან გადაწყვეტილების გზით მიღებული წესი, სამართლიანი შეფასების თანახმად, არ შეესაბამება ყველა მოწილის ინტერესს. სასამართლო გზით მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ სასურველი წესის მიღება შეთანხმებით ან გადაწყვეტილებით არ არის მიღწევადი.⁴⁵

მოთხოვნის საგანს წარმოადგენს არა სამართლიანობა, როგორც ასეთი, არამედ ყოველთვის მხოლოდ მოწილის მიერ მოთხოვნილი, მართვასა თუ სარგებლობასთან დაკავშირებული გარკვეული წესი. ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ მოწილეს საქმის რთული გარემოებების შემთხვევაში, მრავალი გამოსავლიდან, სამართლიანობის გათვალისწინებით, გარკვეული არჩევანის უფლება გააჩნია. მოთხოვნა მიმართულია გონივრული შეფასების საფუძველზე მოწილის ინტერესების შესაბამისი მართვის და სარგებლობის წესისკენ *ex nunc*.⁴⁶

წესის შინაარსი გამომდინარეობს, ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებიდან. პირველ წინაპირობას წარმოადგენს, რომ სასურველი მოწესრიგების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოწილების მიერაც უნდა იყოს შესაძლებელი. მეორე წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ სასურველი წესი, გონივრული შეფასების მიხედვით, უნდა შეესაბამებოდეს ყველა მოწილის ინტერესს. მესამეც, საბოლოოდ, დაცული უნდა იქნეს მესამე ნაწილის ზღვარი და თავიდან უნდა იქნეს აცილებული მოთხოვნის მოწინააღმდეგე მხარის გადაჭარბებული ფინანსური დატვირთვა.⁴⁷ შინაარსის კონტროლი (მეორე წინაპირობა) არ არის ისეთივე, როგორც ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში. უმრავლესობის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ არ განახორციელონ გარკვეული

ლონისძიება, შეიძლება შეესაბამებოდეს ყველა მოწილის ინტერესსა და სამართლიანობას, მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილება, ღონისძიების განხორციელების თაობაზე სავსებით შესაბამისი შეიძლებოდა ყოფილიყო ინტერესსა და სამართლიანობასთან.

VI. შენახვის ღონისძიებების განხორციელების ინდივიდუალური უფლება (სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილი)

სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილის მიზანს წარმოადგენს ყოველი მოწილის ღირებულების შენარჩუნებასთან დაკავშირებული უფლების უზრუნველყოფა. სსკ-ის 957-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან განსხვავებით, სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილი იძლევა ღონისძიებათა განხორციელების უფლებას და არა მხოლოდ თანხმობაზე მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, აქ წინაპირობებიც უფრო მკაცრია. ინდივიდუალური უფლების გამორიცხვა არც გადაწყვეტილებით და არც შეთანხმებით შეიძლება იქნეს წინასწარ გამორიცხული.⁴⁸ თუმცა, საორგანიზაციო შეთანხმების გზით შეიძლება იმის მოგვარება, რომ 956-ე მუხლის მეორე ნაწილის კონფლიქტური შემთხვევა არ დადგეს. ეს წარმოადგენს არა ინდივიდუალური სამართლის დაუშვებელ გამორიცხვას, არამედ პრევენციულ წესს. ამიტომ, აუცილებლობის შემთხვევაში, თითოეულ მოწილეს ყოველთვის შეუძლია ისარგებლოს ასევე ამ უფლებით. სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილთან ერთად, არ არის გამორიცხული მოწილის მიერ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება სხვა პირისთვის. სხვისი საქმის შესრულება გამართლებული შეიძლება იყოს, განსაკუთრებით, იმ ღონისძიებების შემთხვევაში, რომლებიც არ ემსახურება შენარჩუნებას, მაგრამ სავალდებულო და გადაუდებელია. თუმცა, ეს წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას, რადგან დაუშვებელია, რომ საქმის წარმოება ეწინააღმდეგებოდეს კოლექტიური მართვის უფლებამოსილებას. 956-ე მუხლის მეორე ნაწილი არ საუბრობს შენარჩუნების ღონისძიებების განხორციელების მოვალე-

⁴⁵ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 35.

⁴⁶ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 36.

⁴⁷ შეად. BGHZ 101, 24; BGH NJW 1953, 1427.

⁴⁸ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 41.

ობაზე. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ის შეიძლება გამომდინარეობდეს მონილეთა შორის განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობიდან.

სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილის წინაპირობები უნდა შემონმდეს ცალკეული მდგომარეობის გათვალისწინებით, გონივრულად და ეკონომიკურად მოაზროვნე დამკვირვებლის პოზიციიდან.⁴⁹ სახეზე უნდა იყოს შენარჩუნების ღონისძიება. ეს არის ღონისძიება, რომელიც ემსახურება საზიარო საგნის შენარჩუნებას არსებითად ან მისი გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი შინაარსობრივად მონილის უფლებასთან ერთად ასევე აწესრიგებს მის ვალდებულებას, აუცილებლობისას იმოქმედოს სხვა თანამესაკუთრეთა ინტერესებშიც და განახორციელოს იმგვარი მოქმედებები, რომელიც საზიარო უფლების საგნის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად შენარჩუნებას უზრუნველყოფს.⁵⁰ ღონისძიება შეიძლება წარმოადგენდეს მოქმედებას, მაგრამ ასევე გარიგებას. გამონაკლისის სახით, შეიძლება განკარგვის გარიგებებიც კი იქნეს განხილული. მოდერნიზება ან ნაწილების გამოცვლა შეიძლება წარმოადგენდეს შენარჩუნების ღონისძიებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, გამოირიცხებულია წმინდა შეცვლის ღონისძიებები; მაგალითად, როგორც წესი, რეკონსტრუქცია. მისი მოთხოვნა შეიძლება 957-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მაგრამ შეუძლებელია 956-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მისი ცალმხრივად განხორციელება. მით უმეტეს, გამოირიცხებულია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საზიარო საგნის აღდგენისკენ.⁵¹

VII. საზიარო საგნის მოვლის ხარჯები

საზიარო უფლების მქონე პირთა მიერ საზიარო საგნის მოვლის ხარჯების განაწილების სა-

კითხს განსაზღვრავს სსკ-ის 960-ე მუხლი. ხარჯების განაწილება ხდება წილების შესაბამისი ოდენობით, რაც ობიექტთან დაკავშირებული გაუყოფადი სამართლებრივი პასუხისმგებლობისა შედეგს წარმოადგენს.⁵² ვინაიდან წილადი საზიარო უფლება, როგორც ასეთი საზიარო უფლების ერთობლივად ფლობით ამოიწურება, ამიტომ ხარჯების განაწილებისთვის იგი დამატებით წესს საჭიროებს. სსკ-ის 960-ე მუხლი ემსახურება სსკ-ის 973-ე და 976-ე მუხლების გამოყენების საჭიროების გამორიცხვას. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯები საზიარო საგნის ყოველ წილს აწვება ტვირთად, ისევე როგორ გაუყოფილი უფლებრივი კომპეტენციის შემთხვევაში, როდესაც ის მთლიანად საგანს აწვება ტვირთად.

სსკ-ის 960-ე მუხლი აწესრიგებს მონილებს შორის მხოლოდ შიდა ურთიერთობას.⁵³ ეს რეგულაცია წარმოადგენს წილადი საზიარო უფლების მქონე პირებს შორის არსებული სპეციალური სამართალურთიერთობის გამოხატულებას და შემადგენელ ნაწილს. საგარეო ურთიერთობაში გარიგებების დადებისას გადამწყვეტია მონილეთა ერთობლივი მოქმედება. თუ რამდენიმე პირი კისრულობს ვალდებულებას, მაშინ საეჭვოობისას ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.⁵⁴

არსებობს საერთო ობიექტის ტვირთის ტარების ვალდებულება.⁵⁵ დებულება მოქმედებს უშუალოდ მხოლოდ წილადი საზიარო უფლებებისთვის; თანამემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ან უბრალო ინტერესთა გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება რეკომენდებული იყოს ანალოგიით გამოყენება.⁵⁶

საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსირების ურთიერთობის კრედიტორებს და მოვალეებს წარმოადგენენ მხოლოდ მონილები, და არა მესამე პირები, რომლებიც

⁴⁹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 42.
⁵⁰ სუსგ საქმე №ას-600-2019, 14/11/2019, 1.3.1.
⁵¹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 744, 745 Rn. 42.

⁵² JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 748, Rn. 1; BGH NJW-RR 2015, 1473 Rn. 36.
⁵³ შეად. Stürner in Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021, Rn. 1.
⁵⁴ BGHZ 67, 232, 235; BGH NJW 1977, 1686.
⁵⁵ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 748, Rn. 3.
⁵⁶ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 748, Rn. 3.

მონილებთან განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან.

საზიარო უფლების მქონე პირთა ინდივიდუალურ შეთანხმებებს აქვთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ასეთის არსებობისას, ნორმის გამოყენება არ ხდება.⁵⁷ ამდენად, ეს წესი დისპოზიციურია, ანუ შესაძლებელია განსხვავებულზე შეთანხმება.⁵⁸

ყოველ მონილეს, რომელიც თავისი წილის შესაბამის ფარგლებს გარეთ რაიმე ვალდებულებით არის დატვირთული, შეუძლია მოითხოვოს გათავისუფლება.⁵⁹ გადახდის შემდეგ მას შეუძლია მიიღოს ანაზღაურება რეგრესის წესით.⁶⁰ დანარჩენი მონილები მის მიმართ პასუხს აგებენ როგორც მოვალეები, რომლებსაც ვალდებულების მხოლოდ ნაწილის შესრულება ეკისრებათ და არა როგორც სოლიდარული მოვალეები.⁶¹ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა კანონის ძალით ამ მოთხოვნის გადასვლას (*cessio legis*) არ ენიჭება. სანამ მესამე კრედიტორი ჯერ დაკმაყოფილებული არ არის, მონილის მოთხოვნის დაკმაყოფილება მის მიმართ შესრულებითაც არის შესაძლებელი. შესრულების მოთხოვნა მას არ შეუძლია. თუ საგარეო ურთიერთობაშიც მხოლოდ ნაწილობრივად შესასრულებელი ვალდებულებები არსებობს, რომლებიც შეესაბამება შიდა განაწილების პრინციპს, მაშინ გათავისუფლების მოთხოვნა გამოირიცხება, მაგრამ არა რეგრესის მოთხოვნა.⁶² გათავისუფლების ან შესაბამისად, რეგრესის მოთხოვნა, სსკ-ის 960-ე მუხლის მიხედვით ერთობლივად გასაწევ ხარჯთან დაკავშირებით, ყოველი პირისთვის ცალ-ცალკე დაანგარიშდება. გამოქვითვისა და დაკავების უფლება, სანამ ვალდებულები მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას, პრინციპში, უნდა შემონმდეს თითოეულ მონილესთან მიმართებაში.

აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობას შეიძლება სსკ-ის 394-ე მუხლის საფუძ-

ველზე მოჰყვეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ამ შემთხვევაში არ მოქმედებს სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. თუმცა მუდმივმა შეუსრულებლობამ შეიძლება სსკ-ის 961-ე მუხლის საფუძველზე საზიარო უფლების გაუქმების საფუძველი შექმნას.

1. ხარჯები

კანონი საუბრობს შესრულებაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს დატვირთული საგნიდან და რომლებიც ამცირებს მისი სარგებლობის ღირებულებას. აღნიშნულს შეიძლება განეკუთვნებოდეს სახელმწიფო მოსაკრებლები,⁶³ აგრეთვე შენობის დაზღვევის სადაზღვევო პრემიები და სხვა. სანივთო უფლება, რომლითაც „დატვირთულია“ მიწის ნაკვეთი ან მოძრავი ნივთი, არ წარმოადგენს ხარჯს, ან ტვირთს ამ მუხლის მნიშვნელობით. ამასთან, ნივთის შენარჩუნების ხარჯები, მართვის და საზიარო სარგებლობის ხარჯები წარმოადგენენ საგნის შენარჩუნების მიზნით განეულ დანახარჯებს, გამოყენებისა და სხვაგვარ დანახარჯებს,⁶⁴ რომლებიც სსკ-ის 956-ე და 957-ე მუხლებით გამართლებულია. აღნიშნულს არ განეკუთვნება ხარჯები, რომლებიც გამონეულია ნივთის ცვლილების შეტანის ინტერესით, მაგრამ, მაგალითად დანგრეული საზიარო სახლის აღდგენის ხარჯები - კი. ასევე, საპროცესო ხარჯები, მაგალითად ნეგატორული სარჩელებიდან,⁶⁵ შეიძლება განეკუთვნებოდეს ასეთ ხარჯებს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ რაიმე სახის „საკანონმდებლო მოთხოვნა“ ამ მნიშვნელობით „ტვირთად“ განხილული ვერ იქნება, თუმცა ასეთად შესაძლოა ჩათვალოს მასთან დაკავშირებული ხარჯი.⁶⁶ სსკ-ის 960-ე მუხლის გაგებით ხარჯად ასევე მიჩნეულ უნდა იქნეს სადაზღვევო პრემიების გადახდის ვალდებუ-

⁵⁷ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 748, Rn. 3.

⁵⁸ BGH NJW 1979, 80.

⁵⁹ BGH NJW 1992, 114; Schulze-Osterloh, Das Prinzip der gesamthänderischen Bindung, 1972, 56.

⁶⁰ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 748, Rn. 9.

⁶¹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 748, Rn. 11.

⁶² შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 748, Rn. 11.

⁶³ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 748, Rn. 3.

⁶⁴ Stürmer in Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021, Rn. 8; Saenger in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, Rn. 1.

⁶⁵ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 748, Rn. 7.

⁶⁶ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 748, Rn. 3.

ბა, რომელიც ემსახურება საზიარო საგნის დაზღვევას.⁶⁷

2. გამონაკლისები

სსკ-ის 960-ე მუხლის მიხედვით ასანაზღაურებელ ხარჯებს არ განეკუთვნება ხარჯები, რომელთა შედეგადაც, წარმოიშობა, მაგალითად, საზიარო საგნის ღირებულების ზრდის გამომწვევი ცვლილებები და აქამდე არსებული გამოყენების სფეროს ფარგლებს მიღმა სარგებლობის შესაძლებლობა. თუ მონილე ასეთ ხარჯებს გასწევს სხვების თანხმობით, მაშინ საექსპოზიციას, უნდა ვივარაუდოთ შინაარსის ლოგიკურად მიღწეული (გამოვლენილი) შეთანხმება იმის თაობაზე, რომ წინასწარ შემსრულებელ პირს შესაბამისი წილობრივი მოთხოვნის უფლება გააჩნია ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, ისევე როგორც სსკ-ის 960-ე მუხლის შემთხვევაში.⁶⁸ ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი არ იქნება ის, თუ რამდენად იყო დაცული სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები.

სსკ-ის 960-ე მუხლი არ ანიჭებს მონილეს საკუთარი საქმიანობისთვის შესაფერისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. დახარჯული დრო და სამუშაო ძალა არ წარმოადგენენ ხარჯებს.⁶⁹ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირების ანაზღაურებადი გამოყენება მიღებულია და მონილეთა ურთიერთობიდან გამომდინარე მოსალოდნელი იქნებოდა, მაშინ შეიძლება, ასეთი მოთხოვნის უფლება სსკ-ის 973-ე მუხლიდან იქნეს მიღებული, როდესაც მონილე თავად ახორციელებს რაღაც ღონისძიებას. რეგულარული მომსახურებებისთვის, მაშინაც კი, თუ მონილეებს შორის ამხანაგობის ურთიერთობა არსებობდა, ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ სპეციალური შეთანხმების საფუძველზე არის დასაშვები, რომელიც შეიძლება დუმილითაც იქნეს დადებული.⁷⁰

VIII. საზიარო საგნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე

სკ-ის 958-ე მუხლის მიხედვით, თუ მონილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ ეს წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც. საზიარო უფლების ფარგლებში საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესები, თავისთავად, რელატიური მოქმედებისაა, ანუ ისინი მოქმედებს შესაბამის მონილეებს შორის. თუმცა, მათი არსი და მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ საზიარო უფლება, როგორც ასეთი, წარმოადგენს მონილეებს შორის არსებული შიდა ურთიერთობის გამოვლინებას. სსკ-ის 958-ე მუხლი კი იმის გარანტიას, რომ უნივერსალური თუ სპეციალური სამართალმემკვიდრეები ასევე არიან შებოჭილები საზიარო უფლებების მქონე პირთა შეთანხმებებით.⁷¹ აღნიშნული მიიღწევა სამართალმემკვიდრეებისთვის შესაბამისი ვალდებულებების დაკისრებისა თუ მათთვის ამ ვალდებულებების განსაზღვრის გზით. უნივერსალურ სამართალმემკვიდრეებს სსკ-ის 958-ე მუხლისაგან დამოუკიდებლადაც აკისრიათ ეს ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონილეებს თავად ჰქონდათ გამორიცხული თავიანთი მართვის ან სარგებლობის წესებისას ასეთი ვალდებულების გადაცემა. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 958-ე მუხლი მეტწილად აწესრიგებს სინგულარული სამართალმემკვიდრეების ვალდებულებას.

სსკ-ის 958-ე მუხლი გამოიყენება საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ნებისმიერი ერთობლიობის მიმართ. საგნობრივი გამოყენების სფერო მოიცავს საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ყოველ ერთობლიობას, თუ ამას არ უპირისპირდება სპეციალური წესი. საერთო საკუთრების შემთხვევებში თუ მართვის ან სარგებლობის წესი უფლებამონაცვლეთა მიმართ უნდა მოქმედებდეს, მაშინ იგი წილის დატვირთვის სახით რეესტრში უნდა იქნეს გაფორმებული, ხოლო თუ აღნიშნულთან არ გვაქვს საქმე, მაშინ ეს წესი სამართალმემკვიდრეზე უშუალოდ არ ვრცელ-

⁶⁷ BGH NJW 1997, 731, 733.

⁶⁸ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 748, Rn. 8.

⁶⁹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 748, Rn. 9.

⁷⁰ BGHZ 17, 299, 301; BGH WM 1962, 1086.

⁷¹ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 747, Rn. 1.

დება. ამასთან, ეს წესი არ ვრცელდება მონილეების ვალდებულებით-სამართლებრივ ვალდებულებაზე, რომელიც ითვალისწინებს მიღებული წესის შენარჩუნებისთვის ზრუნვას.⁷² სსკ-ის 958-ე მუხლით გათვალისწინებული წესი უპირობოდ მოქმედებს ერთხმად მიღებული წესების მიმართ, მაგრამ ასევე იმოქმედებს ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც.

ნორმა, გამონაკლისის გარეშე, მოიცავს მართვის და სარგებლობის ყველა გადაწყვეტილებას სსკ-ის 956-ე და 957-ე მუხლების გაგებით, მიუხედავად იმისა, ეს წესები მიღებულია ერთობლივად (956-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხმათა უმრავლესობით (957-ე მუხლის პირველი ნაწილი) თუ 957-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესების მიმართაც.

გამოყენების სფერო მოიცავს ყველა სამართალმემკვიდრეს. ასეთებს, პირველ რიგში მიეკუთვნება უფლების შექმნა, რომელიც წილის გარიგებითი განკარგვის გზით, სსკ-ის 959-ე მუხლის პირველი წინადადების საფუძველზე ხორციელდება. სინგულარული სამართალმემკვიდრე არის საერთო საკუთრების წილის ან საერთო საკუთრების წილის ნაწილის ყოველი შემძენი. ამდენად, სამართალმემკვიდრეობა დგება უფლების ნებისმიერი შექმნისას, რომელიც მოსდევს საზიარო უფლებაში წილის გასხვისებას. საზიარო უფლებაში არასრული წილის შექმნა, ასევე წარმოადგენს სპეციალურ სამართალმემკვიდრეობას.⁷³ წილში საყურადღებოა, რომ თუ საერთო საკუთრების ნაწილი გასხვისების გზით რამდენიმე პირზე ან ნაწილობრივი გასხვისების გზით კიდევ უფრო დანაწილდება, მაშინ იქმნება არა ქვემდგომი საზიარო უფლება, არამედ ყოველი ნაწილობრივი შემძენი წარმოადგენს სინგულარულ სამართალმემკვიდრეს საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა თავდაპირველ ერთობლიობაში.⁷⁴ სინგულარული სამართალმემკვიდრე, გარდა საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე

პირთა ერთობლიობის წილის შემძენისა, ასევე წარმოადგენს შეზღუდული სანივთო უფლების შემძენს, მაგალითად, საერთო საკუთრების ნაწილზე უზუფრუქტის ან გირავნობის.

სსკ-ის 958-ე მუხლის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მართვისა და სარგებლობის წესების მოქმედება სამართალმემკვიდრეების სასარგებლოდ და მათ წინააღმდეგ. კეთილსინდისიერებას ან არაკეთილსინდისიერებას, ამ შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება,⁷⁵ რამეთუ დაუშვებელია საზიარო უფლების წილის მიღება ამ ტვირთის გარეშე.

IX. საზიარო საგნის განკარგვა

საზიარო საგნის განკარგვის წესს განსაზღვრავს სსკ-ის 959-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, თითოეულ მონილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. სსკ-ის 959-ე მუხლი მოქმედებს მხოლოდ იმ საგნებისთვის, რომლებზეც არსებობს საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობა. იგი არ მოქმედებს საერთო თანაზიარო ქონების მიმართ და იმ ნივთების მიმართ, რომელთა დაკავშირებითაც არსებული უფლებებები არ არის სხვადასხვა პირს შორის განაწილებული. ერთადერთ მესაკუთრეს, როგორც წესი, თავისუფლად შეუძლია მთელი საგნის განკარგვა. წილების განკარგვა, კი შესაძლებელია მხოლოდ საერთო ქონებაზე წილად საკუთრების შემთხვევაში. ამდენად, სსკ-ის 956-ე მუხლის საფუძველზე, ყოველ მონილეს როგორც უფლებამოსილ პირს, შეუძლია განკარგოს თავისი წილი; საზიარო საგანთან დაკავშირებული სამართლებრივი კომპეტენცია და შესაბამისი განკარგვის უფლებამოსილება, გამომდინარეობს საერთო საკუთრების ნაწილების ჯამიდან.

თითოეულ მონილეს შეუძლია საკუთარი წილის თავისუფალი განკარგვა.⁷⁶ განკარგვის ცნების დასაზუსტებლად უნდა ითქვას, რომ განკარგვებს, განსაკუთრებით, წარმოადგენს წილის ან შესაბამისად, საზიარო საგნის გასხ-

⁷² შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 746, Rn. 2.

⁷³ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 745, Rn. 2.

⁷⁴ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 746, Rn. 4.

⁷⁵ JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 745, Rn. 3.

⁷⁶ Gehrlein in BeckOK BGB, Hau/Poseck, 58. Edition, Rn. 1.

ვისება და დატვირთვა. საზიარო მოთხოვნის შემთხვევაში განკარგვას ასევე განეკუთვნება მისი გამოყენება ჩათვლისთვის.⁷⁷ განკარგვაა წილის ნაწილის გასხვიებაც. თუმცა, თუ ერთი პირის ხელში იყრის თავს ყველა წილი, საზიარო უფლება წყდება.⁷⁸ განკარგვას არ წარმოადგენს გაქირავება ან იჯარით გაცემა.⁷⁹

საყურადღებოა, რომ სსკ-ის 959-ე მუხლის პირველი წინადადება შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი ნაწილი განსაზღვრავს, რომ თითოეულ მონილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. ამდენად, ამ წინადადების პირველი ნაწილი განსხვავდება მეორე ნაწილისაგან და ნორმა ერთმანეთისაგან მიჯნავს ცალკეული მონილის მიერ საკუთარი წილის ინდივიდუალურად გასხვისებასა და საზიარო საგნის მთლიანად გასხვისებას მონილეთა ერთობლივი გადანყვტილებით.⁸⁰ როგორც კი განკარგვის უშუალო რეგულირების შინაარსი გასცდება საკუთარ წილზე უფლებამოსილების ფარგლებს, იგი მაშინვე საჭიროებს ყველა მონილის თანხმობას. თუ გასხვისების, დატვირთვის ან უშუალო სამართლებრივი შინაარსის შეცვლით, ხდება მთლიანად საგნის განკარგვა, მაშინ მოქმედებს სსკ-ის 956-ე მუხლის პირველი წინადადების მეორე ალტერნატივა. არსებობს განკარგვები, რომლებიც თავისი ბუნებით მთელ საგანს მოიცავს და რომელთა შეზღუდვა ცალკეულ წილებზე არ არის შესაძლებელი. ასე მაგალითად, იპოთეკის დაფარვისთვის, რომლითაც არის დატვირთული თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, აუცილებელია ყველა თანამესაკუთრის თანხმობა. საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობის გაუქმება რეალური წილების შექმნით წარმოადგენს საერთო საგნის განკარგვას. ასევე გაუყოფელ საზიარო უფლებად არსებული რეალური

წილების ნებისმიერი განკარგვა წარმოადგენს ამ საგნის მთლიანად განკარგვას.⁸¹

1. წილის განკარგვა

განკარგვის უფლებამოსილება სსკ-ის 956-ე მუხლის პირველი წინადადების პირველი ნაწილის მიხედვით, ეფუძნება მონილის პირად უფლებრივ კომპეტენციას. ყოველ მონილეს შეუძლია თავისი წილის, როგორც მხოლოდ მისი კუთვნილი სამართლებრივი საგნის განკარგვა. საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობაში არ არსებობს საერთო საკუთრების ნაწილების „საზიარო“ სანივთო ურთიერთდამოკიდებულება. გარიგების საფუძველზე არ შეიძლება განხორციელდეს გასხვისებადი უფლების განკარგვის შესაძლებლობის მთლიანად გამორიცხვა.⁸² ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც საერთო საკუთრების ნაწილზე უფლების მქონე პირებმა მათ საერთო საკუთრებაში არსებული საგნის ერთობლივი მართვისთვის მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი შიდა საზოგადოება ჩამოაყალიბეს (ერთობლივი საქმიანობა - ამხანაგობა). განკარგვის ასეთი აკრძალვის არსებობა შეიძლება პირდაპირი შეთანხმების გარეშეც, მონილეთა შიდა ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს, თუმცა რეალური ეფექტი საკამათოა, რადგან, მაგალითად, ასეთი აკრძალვის რეგისტრაცია, არ ხდება.⁸³ სსკ-ის 961-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის გამორიცხვას სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, როგორც ასეთს, ასევე არ გააჩნია გასხვისების აკრძალვის მასშტაბები. მონილის უფლებამოსილება მისი წილის განკარგვასთან დაკავშირებით არც იმით შეიზღუდება, რომ სხვა მონილეს მის წინააღმდეგ საზიარო უფლებაზე დაფუძნებული მოთხოვნა გააჩნია. მონილეს სსკ-ის 964-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია თავისი წილის განკარგვა მაშინაც, როდესაც ეს საზიარო უფლე-

⁷⁷ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 747, Rn. 2.

⁷⁸ შეად. JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 747, Rn. 2.

⁷⁹ Staudinger/Eickelberg, 2015, Rn. 10.

⁸⁰ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 747, Rn. 5.

⁸¹ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 747, Rn. 3.

⁸² შეად. ზარანდია, სანივთო სამართალი, გვ. 224 და შემდგ.

⁸³ შეად. JurisPK-BGB/Ehlers, 2015, § 747, Rn. 3.

ბის დასრულებას იწვევს, გაყოფის პროცედურის დროსაც კი.⁸⁴

2. საზიარო საგნის განკარგვა

საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. ყოველმხრივი უფლებრივი კომპეტენციის პრინციპი არ შეიძლება შეიცვალოს სსკ-ის 957-ე მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. განკარგვა უნდა განახორციელოს ყველა მონილემ. თუ ერთი ყველას სახელით განკარგავს, მაშინ ყოველმა დანარჩენმა მონილემ უნდა მიანიჭოს მას შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სსკ-ის 103-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად, ან მოიწონოს იგი სსკ-ის 111-ე მუხლის შესაბამისად იმისათვის რათა, ამ გარიგებას ჰქონდეს იურიდიული ძალა და წარმოშვას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. მონილეებს შორის არსებული შეთანხმებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს განკარგვების შემთხვევაში თანამონაწილეობის ვალდებულებით-სამართლებრივი მოვალეობა. თუ განკარგვები სათანადო მართვისა და სარგებლობის ფარგლებში ხორციელდება, მაშინ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს თანამონაწილეობის ვალდებულება. მონილების კანონისმიერი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 956-ე მუხლის მეორე ნაწილიდანაც.

სსკ-ის 959-ე მუხლის პირველი წინადადებით გათვალისწინებული განკარგვის სამართლებრივი კონსტრუქცია სადავოა. ერთი მხრივ, ყველა მენილეს შეუძლია განკარგოს საკუთარი წილი, მეორე მხრივ, კი საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. შესაძლოა მივყვეთ კანონის ტექსტს და ვთქვათ, რომ განკარგვის საგანს ამ წინადადების პირველი ნაწილით წარმოადგენს წილი, ხოლო მეორე ნაწილის შემთხვევაში კი საზიარო საგანი, რომლის განკარგვაც მხოლოდ ერთობლივად ხდება. ეს შეესაბამება კანონის ტექსტს და ერთი შეხედვით, პროცესის რეალობასაც. აღნიშნულის თანახმად, ყველა ერთობლივად განკარგავს ერთ საგანს, რომელიც ცალკეულად არც ერთ კონკრეტულ მონილეს არ ეკუთვნის. ამდენად, საზიარო საგნის განკარგვა წარმოადგენს ყველა მონილის მიერ თანასაკუთრებაში თავისი წილის კოორდინირებულ განკარგვას, და არა ჯგუფის მიერ მთლიანად საზიარო საგნის განკარგვას. განკარგვის მიზანს წარმოადგენს საგნის გასხვისება ან დატვირთვა ერთიანობაში, მაგრამ ეს მიზანი მიიღწევა თანაზიარი უფლების მქონე ყველა პირის ინდივიდუალური განკარგვების შეკრების (ჯამის) საშუალებით. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევების დასარეგულირებლად, რომლებშიც ერთი მონილის განკარგვა ბათილია. ყველა მონილის განკარგვა ამ ნორმის მიხედვით, ჩვეულებრივ მიბმულია მათი ნამდვილობის ერთმანეთის მიმართ მოქმედ პირობაზე.

⁸⁴ შეად. Schmidt in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 747, Rn. 11.

ჩუქების უკუქცევა

პროფ. დოქ. ზურაბ ძლიერიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

I. ჩუქების დაუშვებლობა

1. ზოგადი მიმოხილვა

მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით),¹ არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.²

მესაკუთრე უფლებამოსილია³ მოექცეს ქონებას თავისი შეხედულებისამებრ.⁴ ამასთან, იგი ამ ქონების ბედს განაგებს მასზე მესამე პირების ზემოქმედების გამორიცხვის თვალსაზრისითაც.⁵ საკუთრება ქონებაზე „სრული ბატონობის“ გამომხატველი აბსოლუტური უფლებაა.⁶

„საქართველოს კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ საკუთრება, არამედ მისი შექმნაც და გასხვისებაც. საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს განსაზღვრავს არა კანონი, არამედ სამართლებრივი წესრიგი“.⁷ „საკუთრების უფ-

ლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება არა მარტო ინდივიდის არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“.⁸ საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი.“⁹

„საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას.“¹⁰ „საქართველოს კონსტიტუციით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება. საკუთრება კანონიერად მაშინ ჩაითვლება, თუ ის შექმნილია კანონის მოთხოვნათა დაცვით.“¹¹ „საკუთრების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების არსი უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს“.¹²

სკ-ის 170-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლება შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში შე-

¹ ზარანდია, სანივთო სამართალი (მეორე გამოცემა), 2019, გვ. 210.

² ზოიძე, საკუთრების ცნება ქართულ სამოქალაქო კოდექსში, ქსმ, 1998 (1), გვ. 87.

³ თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხლი 170, ველი 3.

⁴ სუსგ № ას-402-2021, 4 ნოემბერი, 2021, პ.139-142.

⁵ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 220.

⁶ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 80.

⁷ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ. 97.

⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/384, 2 ივლისი, 2017.

⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/411, 19 დეკემბერი, 2008.

¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2/384, 2 ივლისი, 2007.

¹¹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/5/309, 13 ივლისი, 2005.

¹² ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ. 105.

იზღუდოს, როგორც ხელშეკრულებით, ასევე კანონით. კანონმდებლობა ცალკეულ შემთხვევებში ზღუდავს მჩუქებელს (მესაკუთრეს) ქონების განკარგვის უფლების განხორციელებაში. ეს ძირითადად დაკავშირებულია გასაჩუქებელი ქონების სამართლებრივ სტატუსთან. მაგალითად, თუ ჩუქების ობიექტია ისეთი ქონება, რომელიც საერთო თანაზიარ საკუთრებაშია, მისი გაჩუქება შესაძლებელია თანამესაკუთრის ნებართვით. თუ ხდება მოთხოვნის უფლების გაჩუქება, საჭიროა იმ წესების დაცვა, რომლებიც ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლასთანაა დაკავშირებული. იგივე შეიძლება ითქვას მესამე პირებთან ურთიერთობისას დასაჩუქრებულის ვალის მჩუქებლის მიერ თავის თავზე აღების შემთხვევაში. ამ დროს ვალდებულებაში მოვალის შეცვლა ხდება და გათვალისწინებულ უნდა იქნეს დასაჩუქრებულის კრედიტორის ინტერესები.¹³

საჩუქრის ობიექტის ოდენობასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვაა გათვალისწინებული საქართველოს კანონით „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“.

ჩუქების შეზღუდვასთან ერთად კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩუქების დაუშვებლობასაც. თუ ჩუქების შეზღუდვა ძირითადად დასაჩუქრებულისა და მესამე პირის ინტერესების დაცვას გულისხმობს, ჩუქების დაუშვებლობა მჩუქებლის ინტერესებითაა განპირობებული.¹⁴

2. ჩუქების დაუშვებლობის წინაპირობები

პირის სურვილი - მადლიერება ან სხვა მორალური მოტივებით გამოწვეული კეთილგანწყობა გამოხატოს სხვა პირის მიმართ, უარყოფითად არ უნდა აისახებოდეს მის მატერიალურ კეთილდღეობაზე. სწორედ ეს პრინციპია ასახული 526-ე მუხლში, რომლითაც კანონმდებელი გამჩუქებლის მატერიალურ მდგომარეობას იმდენად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს ჩუქების ხელშეკრულების დადებისათვის,

¹³ ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეო რჩენა, 2018, გვ. 391.

¹⁴ ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 232.

რომ დაუშვებლად მიიჩნევს მჩუქებლის მხრიდან განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებას, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

„სკ-ის 526-ე მუხლი ჩუქების დაუშვებლობის წინაპირობას ადგენს და საარსებო წყაროს მოსპობის საფრთხის კონტექსტში, როგორც მჩუქებელს, ისე, მის კმაყოფაზე მყოფ პირებს უდგენს მოთხოვნის წარდგენის კანონით გათვალისწინებულ წანამძღვარს“.¹⁵ „საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა სკ-ის 526-ე მუხლის გამოყენების წინაპირობების არსებობა.“¹⁶

„საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 526-ე მუხლის მიზნებისათვის, ქონების გაჩუქების დაუშვებლობას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასაჩუქებელი ქონება არის მჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო, ანუ ამ ქონების მეშვეობით მჩუქებელი შემოსავალს უნდა იღებდეს და ჩუქების შემდეგ აღარ უნდა რჩებოდეს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც მისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. სკ-ის 526-ე მუხლის საფუძველზე ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება გააჩნია არა მხოლოდ მჩუქებელს, არამედ მის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც“.¹⁷

კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს ასევე სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადებას, კერძოდ, 1296-ე მუხლის თანახმად, „სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება“. სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონების გაჩუქება არ დაიშვება მეურვის ან მზრუნველის მიერ მაშინაც კი, როცა ამაზე თანა-

¹⁵ სუსგ №ას-1155-2018, 13 ოქტომბერი, 2021, პ.27.

¹⁶ სუსგ №ას-1150-2019, 10 ივნისი, 2021, პ.1.4; სუსგ №ას-228-218-2016, 3 ივნისი, 2016; სუსგ №ას-325-310-2015, 20 მაისი, 2015; სუსგ №ას-384-363-2012, 4 ივნისი, 2012; სუსგ №ას-1087-1116-2011, 13 ოქტომბერი, 2011; სუსგ №ას-385-358-2010, 14 ივნისი, 2010.

¹⁷ სუსგ №ას-1155-2018, 13 ოქტომბერი, 2021, პ.25-26; სუსგ №ას-1150-2019, 10 ივნისი, 2021, პ.1.4; სუსგ №ას-634-605-2016, 03 ივნისი, 2016, პ.50; სუსგ №ას-471-450-2015, 20 ნოემბერი, 2015, პ.1.8.

ხმაა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.¹⁸ ეს აკრძალვა წარმოადგენს სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის გარანტიას.¹⁹ ასეთ აკრძალვას საფუძვლად უდევს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონებრივი ინტერესების შელახვის²⁰ თავიდან აცილების აუცილებლობა.²¹

3. სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. მაგრამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ არჩეული საშუალებები ან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები ზოგჯერ არ არის სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ადეკვატური და ექვივალენტური.²² პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი ნების გამოვლენა (გარიგება) იწვევს დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი - არა. ამ განსხვავებათა აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს ნამდვილი გარიგებისა (ხელშეკრულების) და ბათილი გარიგების (ხელშეკრულების) ცნებებს.

ნამდვილად მიიჩნევა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც იწვევს მისი მონაწილე მხარეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. ხელშეკრულება მიიჩნევა ბათილად, თუკი მას შედეგად არ მოსდევს დასახული მიზნის მიღწევა იმის გამო, რომ კანონი განხორციელებულ ნების გამოვლენას სამართლებრივად არანამდვილად მიიჩნევს.²³

54-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. აქ,

ერთი მხრივ, მხედველობაშია, როგორც ყველა ის გარიგება, რომელთაც გააჩნია ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი, ისე ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები.²⁴

გარიგების ნამდვილობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია იმ კანონის ხელყოფას, რომელიც სამართლებრივ შედეგად უშუალოდ ითვალისწინებს გარიგების ბათილობას. თუ აკრძალვა მოქმედებს ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ, გარიგება, როგორც წესი, ბათილია. მხედველობაშია მისაღები, რომ გარიგების ბათილობა, ჩვეულებრივ გამომდინარეობს არა ზოგადი მუხლიდან, არამედ უშუალოდ შესაბამისი სპეციალური ნორმიდან ან მისი სათანადოდ განმარტებიდან.²⁵ სწორედ ასეთ სპეციალურ ნორმას წარმოადგენს სკ-ის 526-ე მუხლი, რომლის დანაწესის დარღვევაც გამოიწვევს ჩუქების ხელშეკრულების ბათილობას შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით.²⁶

II. პირობაზე დამოკიდებული ჩუქება და შეწირულობა

1. ზოგადი მიმოხილვა

მოქმედების თუ ნების გამოვლენის (გარიგების) შედეგები შეიძლება პირობაზე იყოს დამოკიდებული.²⁷ ხელშეკრულების მხარეები, როგორც წესი, ხელშეკრულების დადებისთანავე იწყებენ მის შესრულებას, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების დადგომას მხარეები უკავშირებენ განსაზღვრული გარემოებების არსებობას. ვინაიდან ხელშეკრულების (გარიგების) შედეგების დადგომა ამ გარემოებების არსებობაზეა დამოკიდებული, სამოქალაქო სა-

¹⁸ *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 381.
¹⁹ *შენგელია*, *ჭანტურია* / *ზოიძე* / *ნინიძე* / *შენგელია* / *ხეცურიანი* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, 1296-ე მუხლი, გვ. 346.
²⁰ *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი (მესამე გამოცემა), 2013, გვ. 382.
²¹ სუსგ №ას-316-299-2017, 3 ივლისი, 2017.
²² *ძლიერიშვილი*, ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2004, გვ. 32.
²³ *ზოიძე*, *ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 54-ე მუხლი, გვ. 177.

²⁴ *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 275.
²⁵ *Medicus*, AT des BGB, 2006, §43, Rn. 644 ff.
²⁶ *ძლიერიშვილი*, ჩუქება და სამისდღემო რჩენა, 2018, გვ. 431.
²⁷ *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 392.

მართალი ასეთ გარიგებებს პირობით გარიგებებს უწოდებს.²⁸

პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ან გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის დადგომისთანავე. შესაბამისად, პირობა არის ისეთი „სამომავლო“ გარემოება, რომლის დადგომასაც უკავშირდება სამართლებრივი შედეგების არსებობა.²⁹ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა შეიძლება რამდენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. ეს პირობები შეიძლება იყოს როგორც კუმულატიური, ასევე ალტერნატიული.³⁰

პირობის სამართლებრივი ინსტიტუტი კერძო ავტონომიის ღირსშესანიშნავი საშუალებაა. იგი გარიგების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადადონ იმით,³¹ რომ იგი დაუკავშირონ რალაც მოვლენას, რომლის დადგომაში მეორე მხარეც იქნება დაინტერესებული.³² როდესაც პირობით გარიგებებზეა საუბარი, იგულისხმება სკ-ის 90-ე-98-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები და არა გარიგების ნამდვილობის პირობები.³³

2. პირობის სახეები, რომლებიც შეიძლება დაედოს ჩუქებას

ჩუქება, როგორც უსასყიდლო ხელშეკრულება, არ უნდა შეიცავდეს ისეთ პირობას, რომელიც დასაჩუქრებულის მხრივ ქონებრივი ვალდებულებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად, ბინის გაჩუქებისას არ შეიძლება დასაჩუქრებულისაგან ბინაში ჩატარებული რემონტის ღირებულების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება უსასყიდლო

ხასიათს კარგავს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩუქების ხელშეკრულებით არ შეიძლება რაიმე პირობის გათვალისწინება.³⁴

ამის საფუძველს წარმოადგენს 528-ე 1-ელი ნაწილის შინაარსი. პირობა შეიძლება ეხებოდეს საჩუქრად მიღებული ქონების სარგებლობის ან მართვის წესს. „სკ-ის 528-ე მუხლის თანახმად, ჩუქება გარკვეული პირობითაც შეიძლება განხორციელდეს, თუმცა ეს პირობა უშუალოდ ნაჩუქარი ქონებიდან უნდა გამომდინარეობდეს და გამჩუქებელი სანაცვლო სარგებელს არ უნდა იღებდეს“.³⁵

ჩუქების ხელშეკრულების დადება ისეთი პირობით, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, დაუშვებელია.³⁶ კანონსაწინააღმდეგო, უზნეო და შეუძლებელი პირობები³⁷ იწვევენ გარიგების ბათილობას იმის მიუხედავად, ეს პირობები გადადებითა თუ გაუქმებითი, ანდა თვით გარიგება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო.³⁸

„სასამართლომ განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება ისეთი პირობის დათქმით, როგორცაა მოდავე მხარეთა შორის ოჯახური ურთიერთობის მოწესრიგება, ეწინააღმდეგება სკ-ის 528 I მუხლის დანაწესს, რის გამოც მითითებული საფუძველით - დასაჩუქრებულის მხრიდან პირობის შეუსრულებლობის გამო - ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.“³⁹

3. შეწირულობის სამართლებრივი ბუნება

ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ასევე რაიმე მიზნის მისაღწევად. მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც. ასეთ ჩუქებას შეწირულობა ეწოდება. მის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ დასაჩუქრებული არის პირთა გარკვეული ჯგუფი ან იურიდიული პი-

²⁸ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 410.

²⁹ *Medicus*, Allgemeiner Teil des BGB, 2006, § 52, Rn. 828 f.

³⁰ *ზოიძე*, *ჭანტურია/ზოიძე/ნიშიძე/შენგელია/ხეცურიანი* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, 90-ე მუხლი, გვ. 67.

³¹ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 412.

³² სუსგ №ას-1105-1132-2011, 13 ოქტომბერი, 2011.

³³ *ზარანდია*, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, გვ. 37.

³⁴ *MüKoBGB/Koch*, 7. Aufl., 2016, § 525, Rn. 2; *HK-BGB/Saenger*, 10. Aufl., 2019, § 525, Rn. 2.

³⁵ სუსგ №ას-151-143-2017, 02 აგვისტო, 2017, პ.22.

³⁶ *ძლიერიშვილი*, ჩუქება და სამისდღემო რჩენა, 2018, გვ. 460.

³⁷ *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 394.

³⁸ *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 414.

³⁹ სუსგ №ას-325-310-2015, 15 მაისი, 2015.

რი, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია. შენირულობის მიზანია კეთილი საქმის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის ნახალისება, ქველმოქმედების განხორციელება. ამიტომ ქონების ჩუქება სახელმწიფოსათვის, ქალაქისათვის, სასწავლო ან სამედიცინო დაწესებულებისათვის, ბავშვთა სახლისათვის, რელიგიური დაწესებულებისათვის და ა.შ. ჩაითვლება შენირულობად.⁴⁰

შენირულობის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომლის განკარგვა თავისუფლად შეაძლებელი. შენირულობისთვისაც საჭიროა მათი თანხმობა, ვის მიმართაც კეთდება იგი. შენირულობით სარგებლობა უნდა შეესაბამებოდეს ამ მიზნებს, რისთვისაც გაკეთდა იგი. შენირულობის მიზნობრივი პრინციპის დარღვევა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

„საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, სკ-ის 524-ე, 528.1, 528.3, მუხლებიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხემ დაარღვია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაფორმებული სამმხრივი შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნობრიობა, შესაბამისად, სკ-ის 528.3 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემადგენლობაც განხორციელებულია.“⁴¹

პირობის შესრულება, ჩვეულებრივ, გამჩუქებელმა უნდა მოითხოვოს და გააკონტროლოს. ეს უფლება შეიძლება იმ პირმაც განახორციელოს, რომლის ინტერესებშიც იქნა იგი დათქმული. მჩუქებლის ან დაინტერესებული პირის კონტრაგენტად ყოველთვის გამოდის დასაჩუქრებული, სწორედ მან უნდა უზრუნველყოს პირობის შესრულება. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, ეს ჩაითვლება

ხელშეკრულების დარღვევად და გასვლის საფუძველად.⁴²

„სასამართლომ აღნიშნა, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს ნაჩუქარი ქონების საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენების აუცილებლობაზე, ფაქტობრივად სადავო ქონებას ანიჭებს სკ-ის 528-ე მუხლით გათვალისწინებული შენირულობის სტატუსს, რაც არ იკვეთება მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებიდან.“⁴³

„თანადაფინანსების ფარგლებში, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება გამოირიცხება, თუკი მოპასუხე დაამტკიცებს, რომ თანხა მიზნობრივად გახარჯა. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სკ-ის 528.1, 528.3-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.“⁴⁴

III. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ზოგადი მიმოხილვა

529-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.⁴⁵ მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს ნაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა. „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში, ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ

⁴⁰ შენგელია, ჭანტურია / ზოიძე / ნინიძე / შენგელია / ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 528-ე მუხლი, გვ. 75.

⁴¹ სუსგ №ას-1775-2019, 21 ივლისი, 2020, პ.18-19.

⁴² ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 235.

⁴³ სუსგ №ას-501-475-2015, 31 მარტი, 2016, პ.21.

⁴⁴ სუსგ №ას-1069-2021, 23 დეკემბერი, 2021, პ.99.

⁴⁵ ძლიერიშვილი, ჩუქების გაუქმების საფუძველები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, გვ. 106.

ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის“.⁴⁶

ნაჩუქრობა წარმოადგენს სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გამოვლინებას. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ უკავშირდება დასაჩუქრებულის მხრიდან, მართალია, არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივი ქცევის ვალდებულებას.⁴⁷ სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს.⁴⁸ „დასაჩუქრებულის არაზნეობრივი მოქმედება ძირს უთხრის ნაჩუქრობის, როგორც მორალურ-სამართლებრივი ხასიათის ინსტიტუტის, არსებობას.“⁴⁹ სკ-ის 529-ე მუხლი საზოგადოდ უსასყიდლობის საფუძველზე წარმომოხილი საკუთრების მოშლის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.⁵⁰

„ჩუქების ხელშეკრულებით კონტრაჰენტი იღებს საკუთრების უფლებას, რომელიც „აღამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლითაა გარანტირებული. ნორმით დაცული სიკეთით სარგებლობის მიმართ კონვენცია წევრ სახელმწიფოებს შეფასების ფართო ზღვარს უდგენს, თუმცა, საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ლეგიტიმურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს და დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, რათა მესაკუთრის გარანტირებული უფლებები არ დაირღვეს. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე წარმომოხილი საკუთრების გაუქმების საკანონმდებლო რეგლამენტაციათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სკ-ის 529-ე მუხლი.“⁵¹

2. ისტორიული მიმოხილვა

ჩუქების გაუქმება და ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართალში. ჩუქების გაუქმების ინსტიტუტთან მიმართებით იუსტინიანე აღნიშნავდა: „ჩვენ ზოგადად დავადგინეთ, რომ ყოველი კანონიერი ჩუქების ხელშეკრულება ძალაში რჩება და არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგენილი იქნება დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ აშკარა უმადურობა“. ასეთი უმადურობის გამოხატვას წარმოადგენდა დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლისათვის მძიმე შეურაცხოფის მიყენება (iniunice atroces),⁵² მჩუქებლის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენება.⁵³

„ბექა-აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით, ჩუქება განიხილება, როგორც საკუთრების შექმნის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი. ბექა მანდატურთუხუცესის დადგენილებით, „მოყვრობისა და კარგი დამოკიდებულებისათვის ნაჩუქარ ქონებას („გინა სამამულო, გინა სასაქონლო და გინა რაა“) გამჩუქებელი, თუნდაც დროთა განმავლობაში რომ გაღარიბებულიყო, უკან ვერ გამოართმევდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში კი, როცა მხარეებს შორის მოყვრობა და კეთილი განწყობილება მოიშლებოდა დასაჩუქრებულის ბრალით, დასაჩუქრებულს საჩუქარი უკლებლივ უნდა დაებრუნებინა“.⁵⁴

3. ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები

ნაჩუქრობა, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა გარკვეულწილად ავალდებულებს დასაჩუქრებულს. ეს ვალდებულება სკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემუ-

⁴⁶ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ. 29.

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/2/215, 01 აპრილი, 2003.

⁴⁸ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 530, Rn. 3.

⁴⁹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძველები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, 2017, გვ. 250.

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/2/215, 01 აპრილი, 2003.

⁵¹ სუსგ №ას-1183-2018, 05 აპრილი, 2019, პ.29, პ. 38.

⁵² Zimmermann, The Law of Obligations - Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Clarendon, Oxford University Press, 1996, 792.

⁵³ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, 2002, გვ. 74-75.

⁵⁴ დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 153.

ლი, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს.⁵⁵ ეს ვალდებულება მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა.

ჩუქების გაუქმებას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რომლებიც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ზნეობრივ საფუძვლებს. ასეთად კი 529 I მუხლი მიიჩნევს მძიმე შეურაცხყოფასა და დიდ უმადურობას. ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სასამართლო ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას. ის, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება დასაჩუქრებულის მხრიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი გასაკიცხი მოქმედების განხორციელება, ეს კონკრეტული ფაქტის საქმეა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა დადგინდეს. „მხედველობაშია მისაღები, რომ ვინაიდან ნაჩუქრობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა, დასაჩუქრებულისათვის წინასწარვეა ცნობილი სკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. რადგანაც დასაჩუქრებული თანახმაა მიიღოს საჩუქარი, ივარაუდება, რომ ჩუქების გაუქმების შედეგებიც მისთვის მოულოდნელი არაა“.⁵⁶ მისი ნება ფორმალურად თანხმობაშია ხელშეკრულების შინაარსთან.

„გამჩუქებლის მიერ გაღებული ქონებრივი სიკეთის სანაცვლოდ დასაჩუქრებულის მიერ ზნეობრივი სიკეთის გამოვლენის ვალდებულება ამართლებს სკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებულ ჩუქების გაუქმებისა და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის უფლებას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთრების უფლების შელახვად“.⁵⁷

„დასაჩუქრებულს ქონება საკუთრებაში გადაეცემა მისი თანხმობით, შესაბამისად, ყველა თანამდევ შედეგზე დასაჩუქრებული თავისი ნებით გამოთქვამს თანხმობას. ამდენად, იგი წინასწარვე აცნობიერებს, რომ შესაძლებელია კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას მოხდეს ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი, რაც განპირობებულია მხარეთა შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობით. სწორედ ეს წარმოადგენს კიდევ ჩუქების მოტივს. დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სპობს იმ საფუძველს, რომელმაც ჩუქება წარმოშვა. დასაჩუქრებულის მხრიდან ზნეობრივი ვალდებულების იგნორირება სავსებით სამართლიანად იწვევს მჩუქებლის მხრიდან ჩუქების გაუქმების შესაძლებლობას. ამიტომაც უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ სკ-ის 529-ე მუხლით ილახება დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის ინტერესები“.⁵⁸

4. გამოყენების წინაპირობები

ჩუქების გაუქმების წინაპირობებია: მძიმე შეურაცხყოფის მიყენება (529 I), დიდი უმადურობის გამოვლენა (529 I), მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა (529 II) და ერთნაირი ვადის დაცვა მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას ანიჭებს (529 III)

4.1. მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა

529 I მუხლი ადგენს მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელ პირობებს, ნორმის შემადგენლობას: მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის მიერ ხორციელდება „მძიმე შეურაცხობის მიყენება“ ან „დიდი

⁵⁵ სუსგ №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021, პ.34; №ას-1050-2019, 09 სექტემბერი, 2019, პ.41.

⁵⁶ ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 242.

⁵⁷ ნინუა, უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობა ჩუქებით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №1, 2008, გვ. 92.

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/2/215, 01 აპრილი, 2003.

უმაღურობის გამოჩენა“. აღნიშნული წინაპირობების არსებობისას მჩუქებელი 529 II მუხლის საფუძველზე უფლებამოსილია ნამდვილი და, შესაბამისად, უკვე მოქმედი ხელშეკრულება „გააუქმოს“ დასაჩუქრებულისათვის შესაბამისი შეტყობინებით (ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს გსკ-ის 530-ე პარაგრაფი -Widerruf der Schenkung).⁵⁹

529 I მუხლით გათვალისწინებული დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ „მძიმე შეურაცხოფის მიყენება“ ან „დიდი უმაღურობის გამოჩენა“, როგორც ხელშეკრულების „გაუქმების“ საფუძველები, ჩამოყალიბებულია ალტერნატიული წინაპირობების სახით.⁶⁰ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530-ე პირველი პარაგრაფი ამ წინაპირობებს ადგენს კუმულაციურ და არა ალტერნატიულ წინაპირობებად).⁶¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს, თუ რა შედის უმაღურობის ცნებაში ან ვინ წარმოადგენს მჩუქებლის ახლო ნათესავს. სასამართლო პრაქტიკაში კი მიღებულია, რომ დასაჩუქრებულის უმაღურობად ითვლება: ა) არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან აღმავალი და დაღმავალი ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების, თავისუფლების ან საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ; ბ) განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას; გ) კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე - არჩინოს მჩუქებელი, უარის თქმა და სხვა.

მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ შეურაცხყოფა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ფიზიკური ქმედებით, მაგალითად, მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისათვის⁶² ან ქონებისათვის საფრთხის შექმნით, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფით.

„სკ-ის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელის განსაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმაღურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმაღურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძველად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმაღურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი.“⁶³

„მძიმე შეურაცხყოფა“ და „დიდი უმაღურობა“, ანუ უმაღურად ქცევა, შეფასებითი კატეგორიაა, რასაც განსაზღვრავს სასამართლო გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად“⁶⁴. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც მჩუქებლის მიერ გარემოებების აღქმა, ე.წ. სუბიექტური თვალსაწიერი,⁶⁵ ასევე მოსამართლის მიერ იმის შეფასება, თუ როგორ აღიქვამდა ამ გარემოებებს იმავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი.⁶⁶ „საკაცაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მსჯელობა, რომ საჩუქრის გამოთხოვისათვის სავალდებულო იყო, მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ჩუქების დადების შემდეგ განხორციელებულიყო და განმარტა, რომ გარიგების დადებამდე ამ ფაქტის (დასაჩუქრებული მეუღლის მხრიდან ცოლქმრული ღალატი) ცოდნის შემთხვევაში, მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულებას აღარ გააფორმებდა“⁶⁷.

⁵⁹ Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl. 2004, §18, Rn. 15.

⁶⁰ ჩანავა, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 83.

⁶¹ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 530, Rn. 2; Palandt/Weidenkaff, 74. Aufl. 2015, § 530, Rn. 8.

⁶² BGH, Urteil vom 22. Oktober 2019 – X ZR 48/17.

⁶³ სუსგ №ას-1155-2018, 13 ოქტომბერი, 2021, პ.22; №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021, პ.40-41; №ას-359-2020, 03 თებერვალი, 2021, პ.28; №ას-1050-2019, 09 სექტემბერი, 2019, პ.44-45; №ას-744-2019, 05 ივლისი, 2019, პ.74-75; №ას-1011-954-2015, 18 მარტი, 2016, პ.25.1; №ას-887-848-2014, 24 ივლისი, 2015, პ.1.8; №ას-1235-1176-2014, 24 თებერვალი, 2015, გვ. 3.

⁶⁴ სუსგ №ას-290-276-2016, 25 მაისი, 2016.

⁶⁵ სუსგ №ას-157-153-2016, 15 აპრილი, 2016.

⁶⁶ ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეო რჩენა, 2018, გვ. 468.

⁶⁷ სუსგ №ას-887-848-2014, 24 ივლისი, 2015.

მოსარჩელემ (მჩუქებელმა) დასაჩუქრებულის (მოპასუხე) მხრიდან შეურაცხოვისა და უმადურობის გამოხატულებად მიიჩნია დასაჩუქრებულის მიერ მის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება, რის გამოც მჩუქებელი ცნობილი იქნა დამნაშავედ სკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, და განმარტა, რომ პირის სისხლის სამართლის პროცესში ჩვენების მიცემა, რა დროსაც იგი „თანამონაწილედ“ (თანამსრულებლად) ასახელებს მჩუქებელს (განთქმას), არ შეიძლება უმადურობად ჩაითვალოს.⁶⁸ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მოთხოვნა და განმარტა, რომ დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის მიერ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ქონების იპოთეკით დატვირთვა, არ შეიძლება შეფასდეს 529-ე მუხლით გათვალისწინებულ უმადურობად მჩუქებლის მიმართ, რამეთუ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გარიგების დადება მესაკუთრის უფლებამოსილებაა.⁶⁹ „საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან ადგილი აქვს მჩუქებლის მიმართ უმადურობის გამოვლენას.“⁷⁰ „სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის (დასაჩუქრებულის) მიერ მეორე ოჯახის შექმნა, არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ იმ გარემოებას, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას.“⁷¹ „მოპასუხის (დასაჩუქრებული) ქმედებები, რაც გამოიხატა სადავო ფართში თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში, წარმოადგენს იმ უფლებას, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით“⁷². „მხოლოდ ოჯახურ თანაცხოვრებაზე უარის თქმა ვერ იქნებოდა მიჩნეული იმგვარ მძიმე შეურაცხყოფად ან დიდ უმადურობად,

რასაც შეეძლო გამოენვია ჩუქების გაუქმება.“⁷³ „დაუშვებელია დასაჩუქრებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არამართლზომიერი შეზღუდვა გამჩუქებლის სურვილითა და ჩუქების გაუქმების შესაძლებლობის არაკეთილსინდისიერად რეალიზებით.“⁷⁴

529-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმების საფუძველად განსაზღვრულია არა მხოლოდ მჩუქებლის, არამედ მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. ამ დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ეს მჩუქებლის მიერ იქნება მოთხოვნილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავისებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართალურთიერთობას.⁷⁵

ჩუქების შემთხვევაში არ უნდა გამოირიცხოს 316 II მუხლით გათვალისწინებული „გულისხმიერების ვალდებულება.“ იმის მიუხედავად, გულისხმიერება კეთილსინდისიერების პრინციპიდან ნაწარმოებ, მისგან დამოუკიდებელ თუ მხოლოდ მის დამაკონკრეტებელ ინსტიტუტად განიხილება,⁷⁶ სკ-ის 316 II მუხლის დანაწესიდან უდავოდ გამომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი მონაწილის ვალდებულება, გაუფრთხილდეს „მეორე მხარის უფლებებსა და ქონებას“ და შესაბამისი ურთიერთობის „შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით“, არ დაუშვას მათი არათანაზომიერი ხელყოფა.⁷⁷

⁶⁸ სუსგ №ას-256-581-09, 11 ივნისი, 2009.

⁶⁹ სუსგ №ას-826-775-2010, 22 ნოემბერი, 2010.

⁷⁰ სუსგ №ას-1122-2021, 24 თებერვალი, 2022, გვ. 4;

სუსგ №ას-289-2019, 31 ივლისი, 2020, პ.1.4; სუსგ

№ას-68-65-2016, 15 აპრილი, 2016, პ.44.4; სუსგ

№ას-1275-1295-2011, 21 ნოემბერი, 2011.

⁷¹ სუსგ №ას-195-617-2006, 10 ივლისი, 2006.

⁷² სუსგ №ას-325-310-2015, 20 მაისი, 2015.

⁷³ სუსგ №ას-910-860-2015, 17 თებერვალი, 2016.

⁷⁴ სუსგ №ას-1067-1006-2015, 29 დეკემბერი, 2015.

⁷⁵ სუსგ №ას-1733-2019, 28 ივლისი, 2020, პ.6-10; №ას-1333-2019, 27 ნოემბერი, 2019, პ.42-45.

⁷⁶ ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007, გვ. 18.

⁷⁷ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 92.

4.2. მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა

529 II მუხლი ადგენს სამართლებრივ შედეგს, რომელიც მჩუქებელს ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ანიჭებს უფლებას, „გააუქმოს“ ჩუქების ხელშეკრულება და მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება.⁷⁸ სკ-ის 529-ე მუხლი განსაზღვრავს მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს და ასევე ამ წინაპირობების არსებობისას დამდგარ შესაბამის სამართლებრივ შედეგს.⁷⁹

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება ხორციელდება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით დასაჩუქრებულის მიმართ.⁸⁰ ჩუქების გაუქმების შეტყობინება ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი ნების გამოვლენა მოექცევა მიმღების (დასაჩუქრებულის) ძალაუფლების სფეროში და მას რეალური შესაძლებლობა ექნება გაეცნოს აღნიშნულს.⁸¹ ჩუქების გაუქმება კანონმდებლის მიერ პირისათვის მინიჭებული შესაძლებლობაა, ცალმხრივად, ანუ მეორე მხარის თანაქმედების გარეშე, გამოიწვიოს სასურველი სამართლებრივი შედეგი.⁸² მასში მითითებული უნდა იყოს ჩუქების გაუქმების საფუძველი.⁸³

გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა, როგორც წესი, ხორციელდება ფორმის დაცვის გარეშე განხორციელებული ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის მეშვეობით.⁸⁴ აგრეთვე შესაძლოა ამგვარი ნების გამოვლენა სა-

რჩელის აღძვრაშიც მდგომარეობდეს.⁸⁵ საკმარისია, თუ გამოთხოვის შესახებ განცხადება შინაარსობრივად შეცნობის შესაძლებლობას იძლევა.⁸⁶ გამოთხოვიდან ნათლად უნდა გამომდინარეობდეს გამოთხოვის საფუძველი.⁸⁷ აღნიშნული მითითება შესაძლებელია მოგვიანებით პროცესზე დაზუსტდეს.⁸⁸ დიდი უმადურობის შემადგენლობა⁸⁹ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში⁹⁰ ყველა გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს.⁹¹ თუ ჩუქება გაუქმებული იქნება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დასაჩუქრებულის უმადურობის ან მძიმე შეურაცხყოფის მოტივით, მჩუქებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება. ნაჩუქარ ქონებაზე მესამე პირების მიერ მოპოვებული უფლება ჩუქების გაუქმებით არ ირღვევა.

გერმანიის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გამოთხოვის საგნად გვევლინება ვალდებულებით სამართლებრივი ჩუქების ხელშეკრულება. სანივთო სამართლებრივი ხელშეკრულების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ხორციელდება § 812 I 2 და § 531-ე პარაგრაფის მეორე აბზაცის მიხედვით.⁹² ვინაიდან გამოთხოვის გაცხადების შედეგად გადაცემის სამართლებრივი საფუძველი ქრება, § 812 I 2 პარაგრაფის შესაბამისად წარმოიშობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა (*Condictio ob causam finitam*).⁹³ აღნიშნული ნათლადაა გამოსატყუი § 531-ე მე-2 აბზაცში, რომელიც არა სამართლებრივ შედეგებს, არამედ სამართლებრივ საფუძველზე მი-

⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემათურ საკითხებზე, 2007, 87.

⁷⁹ ჩაჩავა ს., მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2010, 85, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofio_chachava.pdf>.

⁸⁰ Prutting, Wegen, Weinreich (Hrsg.), Hoppenz, BGB Komm., 5. Aufl. 2010, § 531, Rn. 1.

⁸¹ Wendtland, in Bamberger, Roth (Hrsg.), BGB Komm., 3. Aufl. 2012, §130, Rn. 9.

⁸² Larenz, Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl. 2004, §18, Rn. 7. Koch, in MüKo zum BGB 7. Aufl. 2016, § 530-1, Rn. 2.

⁸³ Gehrlein, in Bamberger/Roth(Hrsg.) BGB Komm., 3. Aufl. 2012, § 531, Rn. 1.

⁸⁴ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 2.

⁸⁵ Chiusi, in Staudinger Neuberarbeitung, 2013, § 531, Rn. 2.

⁸⁶ BGH NJW 1952 S20; Hermann in Ermann BGB Kommentar 14. Aufl., §13 Rn. 1; Chiusi, in Staudinger Neuberarbeitung, 2013, § 531, Rn. 2.

⁸⁷ Hermann, in Ermann BGB Kommentar 14. Aufl. § 531 Rn. 1; Chiusi, in Staudinger Neuberarbeitung, 2013, § 531, Rn. 2.

⁸⁸ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 3.

⁸⁹ Jülicher, ZEV 1998, S. 203.

⁹⁰ BGHZ NJW 1999, S. 1626; Chiusi, in Staudinger Neuberarbeitung, 2013 § 531 Rn. 17, Hermann, in Ermann BGB Kommentar, 14. Aufl. § 531, Rn. 3., MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 9.

⁹¹ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 9.

⁹² BGHZ NJW 1990, S. 2616; Palandt/ Weidenkaf, 74. Aufl., 2015, § 531, Rn. 3.

⁹³ BGHZ NJW 1996, S. 1626.

თითებას შეიცავს.⁹⁴ აღნიშნულს, უნინარეს ყოვლისა, ის შედეგი აქვს, რომ მჩუქებლის წინააღმდეგ § 817-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს, თუ მჩუქებელი და დასაჩუქრებული ჩუქების ფარგლებში ნივთის გადაცემით ერთობლივად კანონის ანდა ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო მიზნის მიღწევას ცდილობდნენ.⁹⁵ თუ ჩუქება არ იყო ჯერ განხორციელებული, მაშინ შესრულების უფლება წყდება. § 812-ე მუხლის 1-ელი აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, ნაჩუქარი ნივთი, მათ შორის მიღებულ სარგებელთან ერთად უკან უნდა დაბრუნდეს.⁹⁶ დიდი უმადურობის შემთხვევაში გაჩუქებული მიწის ნაკვეთის უკან გამოთხოვისას აუცილებელია ამ უკანმოთხოვნის უფლების მიწის ნაკვეთთა რეგისტრაციის წიგნში მონიშვნა.⁹⁷ იმ შემთხვევაში, თუ გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება შეუძლებელია ანდა მიმღებისაგან, რაიმე სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, აღნიშნული ნივთის მიღება შეუძლებელია § 818-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მაშინ ღირებულება უნდა ანაზღაურდეს.⁹⁸ § 818-ე მუხლის მეორე ნაწილი იძლევა ეკონომიკური შეფასების შესაძლებლობას. ამიტომაც ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების შეუძლებლობას უნდა გაუთანაბრდეს ის შემთხვევა, როდესაც დასაჩუქრებული მიწის ნაკვეთის გადაცემის შემდეგ დასაჩუქრებული მასზე შენობას ააშენებს ან აშენებულ შენობას ისე მნიშვნელოვნად გადააკეთებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით იგი სხვა ნივთად იქცევა (ფუნქციის ცვლილება),⁹⁹ ანდა ეკონომიკური თვალსაზრისით სიტუაციის შეფასებისას, დასაჩუქრებულს არ შეიძლება მოეთხოვოს

გადაცემული ნივთის ნატურით დაბრუნება.¹⁰⁰ მაგალითად, გადაცემული შპს-ის წილის უკან დაბრუნება, შესაძლოა სამართლებრივად იმიტომ იყოს შეუძლებელი, რომ კანონის ანდა წესდების თანახმად, მისი ნამდვილობა სხვა პარტნიორთა თანხმობაზე იყოს დამოკიდებული და მათ მიერ აღნიშნული თანხმობის გაცემაზე კი უარი იქნეს გაცხადებული.¹⁰¹ ამ შემთხვევაში დასაჩუქრებულმა, § 818 მე-2 ნაწილისა და § 531 მე-2 ნაწილის თანახმად, ღირებულება უნდა აანაზღაუროს.¹⁰² იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი ამ უკანასკნელმა იპოთეკით დატვირთა, მაშინ მჩუქებელს არა აღნიშნული ჩანაწერის ნაშლა, არამედ ასევე მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.¹⁰³ დასაჩუქრებულს შეუძლია გარემოებების გათვალისწინებით § 818 მესამე აბზაცის თანახმად, უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლის არარსებობას დაეყრდნოს.¹⁰⁴ ამასთან, დასაჩუქრებულის სხვა ქონებიდან განეულ ხარჯებსაც, რომლებიც ქონების შემცირებას განაპირობებენ, ასევე შეუძლია უსაფუძვლო გამდიდრების შემცირებაზე იქონიოს გავლენა, თუ ეს ხარჯები ჩუქების არსებობის ნდობით განხორცილდა და ჩუქების გარეშე არ განხორცილდებოდა.¹⁰⁵ აღნიშნული უსაფუძვლო გამდიდრების ოდენობის შემამცირებელი ხარჯები პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული და განაპირობებენ იმას, რომ დასაჩუქრებულმა საჩუქრად მიღებული ნივთი მხოლოდ Zug um Zug¹⁰⁶ ამ ხარჯე-

⁹⁴ BGHZ NJW 1996 S. 1411; OLG Koblenz NJW-RR 2006, S438; *Hermann*, in *Ermann BGB Kommentar*, 14. Aufl. 2014, § 531, Rn 2; *Chiusi*, in *Staudinger Neuberarbeitung*, 2013, § 531, Rn. 1.

⁹⁵ BGHZ NJW 1961, S. 1458; OLG Hamm NJW 1978, S. 224; *Hadding*, in *FS Mühl*, 1981, S. 236.

⁹⁶ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 4-5.

⁹⁷ BGHZ NJW 2002, S. 2461 mit zust. Anm. *W. Schubert* JR 2003, S. 110 f, *Wacke*, JZ 2003, S. 179 ff.; *BayObLG NJW-RR* 2001, S. 1529 mit zust. Anm. *Böhringer*, ZEV 2002, S. 33f, *Schippers*, DnotZ, 2001, S. 758f., S767.

⁹⁸ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 6.

⁹⁹ BGH NJW 1981, S. 2688; *Chiusi*, in *Staudinger Neuberarbeitung*, 2013, § 531, Rn. 10.

¹⁰⁰ BGH NJW 1981, S. 2688; NJW-RR 1988, S. 585.

¹⁰¹ BGHZ NJW 1990, S. 2616; *Hueck*, DB 1966, S. 1046; *Klump* ZEV 1995, S. 385; *Wiedemann/Heinemann*, DB 1990, S. 1655; *Chiusi*, in *Staudinger Neuberarbeitung*, 2013, § 531, Rn. 7.

¹⁰² *Jülicher*, ZGR 1996, S. 86; *Klump*, ZEV 1995, S. 390; *Wiedemann/Heinemann*, DB 1990, S. 1655

¹⁰³ BGHZ NJW 1991, S. 917; OLG Hamm FamRZ 2001, S. 546.

¹⁰⁴ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 7.

¹⁰⁵ BGH NJW 1980, S. 1790; NJW –RR 1988, S. 585; BGHZ NJW 1989, S. 2122; BGH NJW 1992, S. 184; BGHZ NJW 1999, S. 1612; *Hermann*, in *Ermann BGB Kommentar* 14. Aufl. 2014, § 531, Rn. 3.

¹⁰⁶ Zug um Zug გერმანულ ვალდებულებით სამართალში გულისხმობს შესრულებას, რომლის თანახმადაც, მოვალე კრედიტორის წინაშე აუცილებლად, უპირობოდ ვალდებული კი არ არის, არამედ მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა კრედიტორის მხრიდან შესრულებაზე დამოკიდებული.

ბის ანაზღაურების სანაცვლოდ უნდა გადასცეს.¹⁰⁷ გარდა ამისა, დასაჩუქრებულს შესაძლებელია, ამ ხარჯების გარდა, ასევე მის მიერ განეული ხარჯებიდან გამომდინარე დამოუკიდებელი ანაზღაურების მოთხოვნა გააჩნდეს § 812 1-ელი აბზაცის მეორე წინადადების ანდა § 994 და შემდგომი მუხლებიდან გამომდინარე.¹⁰⁸ აღნიშნული მოთხოვნები შესაძლოა ასევე ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოშობილ ფინანსურ ხარჯებსაც მოიცავდეს, რომლებიც უსაფუძვლო გამდიდრებისას გაუთვალისწინებელი დარჩა.¹⁰⁹ ნაჩუქარის გამოთხოვის უფლებისაგან განსხვავებით, გამოთხოვის შედეგად უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა (§ 812 I, § 531 II) სრულად გადაცემადი, დაგირავებადი და მემკვიდრეობით გადაცემადია. მხარეებს შეუძლიათ ამ მოთხოვნის თაობაზე უარი თქვან, მაგალითად, ვალის პატივებით ანდა სახელშეკრულებო ცვლილებით.¹¹⁰ მოთხოვნის შინაარსის ამგვარი ცვლილება შესაძლებელია თავიდანვე იქნეს შეთანხმებული.¹¹¹

გერმანული სამართლის მსგავსად, ქართულ სინამდვილეშიც გაჩუქებული ქონების დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე.¹¹² „სკ-ის 529-ე მუხლის შემადგენლობის არსებობისას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება დასაშვებია მაშინაც, როდესაც აღნიშნული მუხლის რეგულირების მიზანი - მჩუქებლის ინტერესების დაცვა - სხვაგვარად ვერ მიიღწევა დასაჩუქრებულის მიერ კანონის გვერდის

ავლის ან უფლების ბოროტად გამოყენების გამო“.¹¹³

„თუ დასაჩუქრებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომლის შედეგადაც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება და ნაჩუქარი ნივთის ამოღება (ნივთის გასხვისება, განადგურება, მოხმარება და ა.შ.), მისი ღირებულება შეიძლება ამოღებული იქნას დასაჩუქრებულისაგან უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად. საგნის ღირებულების კომპენსაციის მოთხოვნის არსებობის აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული და დასაშვები, თუ გამდიდრების ნიშნები კვლავ არსებობს, კერძოდ, ნაჩუქარი ნივთის განკარგვა მოხდა სანაცვლო უპირატესობის მიღებით“.¹¹⁴

5. ხანდაზმულობის ვადა

529 III მუხლი ითვალისწინებს, რომ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

128 I მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა

¹⁰⁷ BGHZ NJW 1999, S. 1626; *Chiusi*, in Staudinger Neuberarbeitung, 2013, § 531, Rn. 12.

¹⁰⁸ *Chiusi*, in Staudinger Neuberarbeitung, 2013, § 531, Rn. 13., *Hermann*, in Ermann BGB Kommentar 14. Aufl., 2014, § 531, Rn. 3.

¹⁰⁹ ანუ არ მოხდა მათი უსაფუძვლო გამდიდრების თანხაში გათვალისწინება და შესაბამისად უსაფუძვლო გამდიდრების თანხისათვის გამოკლება. BGHZ NJW 1999, S. 1626.

¹¹⁰ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 531, Rn. 8-10.

¹¹¹ *Hermann*, in Ermann BGB Kommentar 14. Aufl. 2014, § 531, Rn. 3.

¹¹² სუსგ-ები: №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021, პ.43; №ას-1733-2019, 28 ივლისი, 2020, პ.6; №ას-1333-2019, 27 ნოემბერი, 2019, პ.47; №ას-1011-954-2015, 18 მარტი, 2016, პ.26. №ას-710-675-2015, 22 სექტემბერი, 2015, პ.17.

¹¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 86-87.

¹¹⁴ MüKoBGB/Schwab, 7. Aufl. 2016, § 818, Rn. 160.

და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას.¹¹⁵

ხანდაზმულობის საერთო ვადაა ათი წელი, რომელიც დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომლისთვისაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას.¹¹⁶ სპეციალური ხანდაზმულობის ვადების დადგენა კი შესაძლებელია კანონით. ამასთან, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ მხარის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.¹¹⁷

დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით მოქმედებს ხანდაზმულობის შემცირებული სპეციალური ვადა. მართალია, 129 I მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს, მაგრამ 129 III მუხლი ითვალისწინებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადაც. სწორედ კანონით გათვალისწინებულ სხვა ვადებთან გვაქვს საქმე 529-ე მუხლით გათვალისწინებულ ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით, კერძოდ, 529 III თანახმად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში. (ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 532-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი).¹¹⁸

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, საიდან აითვლება ჩუქების გაუქმების შესახებ მო-

თხოვნის ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მოთხოვნის შემოწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას.¹¹⁹

130-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.¹²⁰ თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.¹²¹

¹¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 63.

¹¹⁶ ძლიერიშვილი, ხანდაზმულობის ვადების ზეგავლენა სარჩელზე, 1997, გვ. 5.

¹¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 64.

¹¹⁸ Prütting/Wegen/Weinreich/(Hrsg.), BGB, 16. Aufl. 2021, Titel 4, § 532, Rn. 1; MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 532, Rn. 2; Mansel, in Jauerling BGB, 15. Aufl. 2014, § 532, Rn. 2. HK-BGB/ Saenger, 10. Aufl. 2019, § 532 Rn. 1; BGH NJW 67, 1081 (BGH Urteil vom 23.01.1967 – II ZR 166/65).

¹¹⁹ კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 130, ველი 2.; ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 123.

¹²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 64.

¹²¹ კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 130, ველი 5.

ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ მომენტთან გვაქვს საქმე დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით,¹²² კერძოდ, ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა აითვლება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. „პალატამ მიიჩნია, რომ დასაჩუქრებულის წარმომადგენლის მითითება ხანდაზმულობაზე, არ წარმოადგენს განსახილველ შემთხვევაში საკმარის საფუძველს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის შეფასებისათვის“.¹²³

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში დადგება 144 I მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების (ხანდაზმულობა) შემონიშნება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემონიშნების ეტაპზე. ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაუქმებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევას, თუმცა უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევს.¹²⁴

529 III მუხლით გათვალისწინებული ჩუქების გაუქმების ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადის დენა იწყება არა ნივთის გაჩუქების მომდევნო დღიდან, არამედ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენების ან აშკარა უმადურობის ფაქტის გამოვლენიდან.¹²⁵ „საკასაციო სასამართლომ სკ-ის 529 III და 130-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელი, სკ-ის 529 III მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ხანდაზმულია.“¹²⁶

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 532-ე პარაგრაფის თანახმად, ჩუქების გაუქმება გამორიცხულია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გასულია ერთწლიანი ვადა იმ დღიდან, როდესაც ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილმა პირმა შეიტყო თავისი უფლების რეალიზაციის წინაპირობების დადგომის შესახებ,¹²⁷ არამედ მაშინაც, თუკი მჩუქებელი აპატიებს დასაჩუქრებულს გამორჩენილ უმადურობას.¹²⁸

6. საპროცესო-სამართლებრივი ასპექტები ჩუქების გაუქმებისას

6.1. სათანადო მოსარჩელე

ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, თუ ვის შეუძლია მოითხოვოს ჩუქების გაუქმება. ამ საკითხის სწორად გადანყვეტას არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, რამეთუ მას უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა სათანადო მხარე. არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო

¹²² ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა, 2018, გვ. 525.

¹²³ სუსგ №ას- 1509-1517-2011, 12 იანვარი, 2012.

¹²⁴ ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, გვ. 170; შმიტი/რიჰტერი, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდი, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, 2013, გვ. 20.

¹²⁵ სენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 144, ველი 1.

¹²⁶ სუსგ №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018, პ.25; სუსგ №ას-62-59-2013, 5 ნოემბერი, 2013.

¹²⁷ HK-BGB/ Saenger, 7. Aufl. 2013, S. 756.

¹²⁸ Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.)/ BGB, 16. Aufl., 2021, § 532, Rn. 3; MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 532, Rn. 3; BGH Urteil vom 22.10.2019 – X ZR 48/17, NJW 2020, 775; MDR 2020, 153; BGH Urteil vom 10.01.1999 – X ZR 42/97; BGH FamRZ 1961, 437; Tonner, Schuldrecht, 3. Aufl. 2013, §14, S. 133.

მოსარჩელე, განისაზღვრება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

„ნაჩუქარი ქონების გამოთხოვის უფლება, როგორც არადამოუკიდებელი აღმჭურველი უფლება, არც გადაცემადია და არც მისი დაგირავებაა შესაძლებელი. მისი პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე იგი ასევე არც მემკვიდრეობით გადაცემადია. დაზარალებულ მჩუქებელს მხოლოდ თვითონ შეიძლება ჰქონდეს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება“.¹²⁹ (მსგავსი მოწესრიგებაა გათვალისწინებული გერმანიის კანონმდებლობით).¹³⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდება გსკ-ის 530-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მსგავსი მოწესრიგება (ჩუქების გაუქმების უფლება მჩუქებლის მემკვიდრეებს გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა ან ხელი შეუშალა მჩუქებელს ჩუქების გაუქმებაში¹³¹).

529-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს,¹³² ეს უფლება არ გადადის მემკვიდრეობით და, სკ-ის 1330-ე მუხლის თანახმად, ეს უფლება არ შედის სამკვიდროში. კერძოდ, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ

კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით.¹³³

სასურველია, რომ 529 II მუხლში საკანონმდებლო დონეზე განხორციელდეს დამატება, კერძოდ, ჩუქების გაუქმებისა და გაჩუქებული ქონების გამოთხოვის უფლება მჩუქებლის მემკვიდრეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააჩნიათ, თუკი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა.

529-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველით ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით, მნიშვნელოვან საპროცესოსამართლებრივ საკითხს წარმოადგენს ასევე საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. მაშასადამე, უფლებამონაცვლეობის საფუძველია არა საქმიდან, არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა.¹³⁴

საპროცესო უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძველია მოქალაქის გარდაცვალება. საპროცესო უფლებამონაცვლეობა მთლიანად დამოკიდებულია მატერიალურ სამართალზე.¹³⁵ თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.¹³⁶

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სა-

¹²⁹ სუსგ №ას-1050-2019, 09 სექტემბერი, 2019, პ.49-50; №ას-241-228-2015, 26 აპრილი, 2016, პ.18; საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 85.

¹³⁰ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 530, Rn. 15.; Harke, in BeckOGK BGB, § 530, Rn. 26.; Teichmann in Soergel/Mühl, § 530, Rn. 12 ; Chiusi , in Staudinger Neuberarbeitung, 2013, § 530, Rn. 54.

¹³¹ Bamberger/Roth (Hrsg.)/ Gehrlein, BGB Komm.3. Aufl. 2012, § 530, Rn. 8.; Prutting/Wegen/Weinreich (Hrsg.)/ Hoppenz, BGB Komm., 5. Aufl. 2010, § 530, Rn. 9.; Dendorfer-Ditges/Wilhelm, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, 4. Aufl. 2021, § 530., Rn 14.

¹³² სუსგ №ას-1039-2020, 3 თებერვალი, 2022.

¹³³ შენგელია/შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, 2011, გვ. 29.

¹³⁴ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, გვ. 137.

¹³⁵ ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 6.

¹³⁶ ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 41.

მართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლებას, ხოლო სსკ-ის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლება.

„რაც შეეხება სკ-ის 529-ე მუხლის შესაბამისად ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ მჩუქებელი გარდაიცვალა, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში საპროცესო უფლებამონაცვლება დასაშვებია, რადგან სამკვიდროს აქტივში შედის ქონებრივი უფლებები, მათ შორის ჩუქების გაუქმების მოთხოვნაც და, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები საბოლოოდ დადასტურდება, მაშინ ის სამართლებრივი შედეგი მიიღება, რომლის მიღწევაც გარდაცვლილ მჩუქებელს სარჩელის აღძვრით სურდა- ნაჩუქარ უძრავ ქონებაზე უფლება, სამკვიდრო ქონებაში (აქტივი) შევა (სკ-ის 1328-ე, 1424-ე, 1421 I და 1433-ე მუხლები).“¹³⁷

„უკვე გაცხადებული გამოთხოვიდან გამომდინარე უფლებები არ გვევლინებიან პერსონალური ხასიათის უფლებებად და შესაბამისად გადადიან მჩუქებლის მემკვიდრეებზე“.¹³⁸

6.2. ჩუქების გაუქმების შესაძლებლობა დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, შეიძლება თუ არა 529-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ. მაგალითად, მხარეთა შორის დადებული იქნა ჩუქების ხელშეკრულება. დასაჩუქრებულმა მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მჩუქებელს. მჩუქებელმა გადაწყვიტა სარჩელით მიემართა სასამართ-

ლოსათვის ჩუქების გაუქმებისა და გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ სარჩელის შეტანამდე დასაჩუქრებული გარდაიცვალა (ვარიაცია - სარჩელის შეტანის შემდეგ დასაჩუქრებული გარდაიცვალა).

დასაშვებია თუ არა 529-ე მუხლით გათვალისწინებული გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლების განხორციელება დასაჩუქრებულის მემკვიდრეების მიმართ? ვფიქრობ, რომ არა. ამგვარი დასკვნის საფუძველს ჩუქების უსასყიდლო ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს 453-ე, 1306-ე, 1330-ე მუხლების ანალიზი. თუმცა კი ამ საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტის მიზნით, უმჯობესი იქნება, თუკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მომწესრიგებელ ნორმებს დაემატება დებულება, რომ „დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“. (ამგვარ მონესრიგებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 532 II პარაგრაფი - „დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“).¹³⁹

IV. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

1. ზოგადი მიმოხილვა

ზოგჯერ ჩუქების გაუქმება გამონვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით.¹⁴⁰ დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია.¹⁴¹ მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ გააჩნია. იგი ნებაყოფ-

¹³⁷ სუსგ №ას-1050-2019, 09 სექტემბერი, 2019, პ.49-50; №ას-241-228-2015, 26 აპრილი, 2016, პ.18; სუსგ №ას-1039-2020, 3 თებერვალი, 2022.

¹³⁸ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 530., Rn. 15; Harke in BeckOGK BGB § 530., Rn. 26; Teichmann in Soergel/Mühl Rn. § 530 12.

¹³⁹ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 530.Rn. 4.; HK-BGB/Saenger, 10. Aufl. 2019, § 530.Rn. 2; Bamberger/Roth (Hrsg./) Gehrlein, BGB Komm. 4. Aufl. 2019, § 532, Rn. 7.

¹⁴⁰ ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა, 2018, გვ. 505.

¹⁴¹ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 528, Rn. 3; Staudinger BGB/ Chiusi, 2013, § 528, Rn. 1; Prütting/Wegen/Weinreich, (Hrsg./) BGB, 16. Aufl. 2021, § 528, Rn. 1; Zeranski, Der Ruckforderungsanspruch des verarmten Schenkers, 1998, S. 21ff Seyfarth, Schenkungsruckforderung wegen Notbedarfs, 1998, S. 31ff..

ლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას საკუთრებაში. გაჩუქების შემდეგ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როცა არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება.¹⁴²

2. გამოყენების წინაპირობები

სკ-ის 530-ე მუხლის შესაბამისად ნივთის გამოთხოვა შესაძლებელია, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე (530); აღარ შეუძლია თავისი თავის ან თავის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა (530 I 1); გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულთან (530 I 2) და გაჩუქებული ნივთის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში (530 I 3).

2.1. ჩუქების შემდეგ მჩუქებლის ჩავარდნა მძიმე მდგომარეობაში მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე

530 I მუხლის შესაბამისად, ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვა დასაშვებია, როდესაც მჩუქებელი ჩუქების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა.¹⁴³ საკასაციო პალატამ აღნიშნა, „რომ ზოგჯერ ჩუქების გაუქმება გამონვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. გაჩუქების შემდეგ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომლის პირობებშიც არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება.“¹⁴⁴

ბულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება.¹⁴⁴

იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოსთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოემოხება, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სასამართლომ.¹⁴⁵

„დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ჩუქების შემდეგ დასაჩუქრებული მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და აღარ შეუძლია თავისი თავის რჩენა, ვინაიდან მას არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ბინა და ასევე შრომის უნარის დაქვეითების გამო საყოფაცხოვრებო პირობებს ვერ შეიქმნის. მართალია, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენა არ არის გამონვეული დასაჩუქრებულის ბრალეული ქმედებით, მაგრამ სკ-ის 530-ე მუხლი მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობის შექმნაში არ მოითხოვს დასაჩუქრებულის ბრალის არსებობას.“¹⁴⁶

„საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელეს რაიმე სახის საჭიროებებზე არ მიუთითებია. ის იღებს გარკვეულ მატერიალურ შემოსავალს, შრომისუნარიანი პირია, რაც, დამატებით გამორიცხავს, მითითებული საფუძვლით გარიგების გაუქმებასა და სადავო ქონების გამოთხოვას დასაჩუქრებულისგან.“¹⁴⁷ „პალატის მითითებით, საქმეში არსებული მტკიც-

¹⁴² ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 254.

¹⁴³ ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 254.

¹⁴⁴ BGH NJW 00, 3488; 03, 1384 (BGH Urteil vom 05.11.2002 – X ZR 140/01); BGH NJW19, 1074 (BGH Urteil vom 20.02.2019 – XII ZB 364/18; NJW 19, 1439 (BGH Urteil vom 20.03.2019 – XII ZB 365/18).

¹⁴⁵ სუსგ №ას-1333-2019, 27 ნოემბერი, 2019, პ.48; №ას-744-2019, 05 ივლისი, 2019, პ.76.

¹⁴⁶ სუსგ №ას-73-419-07, 7 ივნისი, 2007.

¹⁴⁷ სუსგ №ას-1155-2018, 13 ოქტომბერი, 2021, პ.28; სუსგ №ას-1150-2019, 10 ივნისი, 2021, პ.1.4; სუსგ №ას-634-605-2016, 03 ოქტომბერი, 2016, პ.27-28, 50.

ცვლულებებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობა ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ გაუარესდა და მას არ აქვს საკუთარი თავის რჩენისათვის საარსებო საშუალება.¹⁴⁸

თუ დასაჩუქრებულმა გაჩუქებული ნივთი უკვე გაასხვისა ან სხვაგვარად გამოიყენა, მაშინ მჩუქებელს მისი მესამე პირისაგან გამოთხოვის ან დასაჩუქრებულისაგან მისი ღირებულების კომპენსაციის მიღების უფლება არ გააჩნია,¹⁴⁹ ვინაიდან ჩუქება პირადი ხასიათის ურთიერთობაა უშუალოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის.

მჩუქებელს 530-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. ე.ი. დასაჩუქრებულთან ნაჩუქარი ნივთის რეალურად არსებობის მარტო ფაქტი საკმარისი არ არის. აუცილებელია კანონის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის დაცვა - დასაჩუქრებული არ უნდა ჩავარდეს დაახლოებით იმავე მდგომარეობაში, რამაც მჩუქებელს წარმოუშვა საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება. ამით კანონი იცავს დასაჩუქრებული პირის ინტერესებს.¹⁵⁰ ამგვარად, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელიც მჩუქებელს საფუძველს უქმნის მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება, უფლებას აძლევს დასაჩუქრებულს უარი თქვას საჩუქრის უკან დაბრუნებაზე. ორ ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ პირს შორის კანონი უპირატესობას მაინც დასაჩუქრებულს ანიჭებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩუქება აუნაზღაურებელი და რეალური გარიგებაა. საჩუქრის უკან გამოთხოვა ასეთ შემთხვევაში ზნეობრივადაც გაუმართლებელია.¹⁵¹

გსკ-ის 528-ე პარაგრაფის თანახმად,¹⁵² დასაჩუქრებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს საჩუქრის დაბრუნებაზე იმ პირობით, რომ გადაუხდის მჩუქებელს იმ ოდენობის ფულად თანხას, რაც საჭიროა მჩუქებლის ან მის კმაყოფიზე მყოფი პირების სარჩენად.¹⁵³

2.2. მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების გამოთხოვა

530 I მუხლი ადგენს სამართლებრივ შედეგს, რომელიც მჩუქებელს ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ანიჭებს უფლებას, „გააუქმოს“ ჩუქების ხელშეკრულება და მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება.¹⁵⁴

გერმანული სამართლის მსგავსად,¹⁵⁵ ქართულ სინამდვილეშიც გაჩუქებული ქონების დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე.¹⁵⁶ „ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა და სადავო ნივთის კვლავ მჩუქებლის საკუთრებაში აღრიცხვის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა სკ-ის 530-ე, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარეობს, ამასთან სარჩელი წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი შესრულებული იქნება ამ ნორმებით გათვალისწინებული წინაპირობები და დავაზე არ გამოიკვეთება მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხველი ან შემაფერხებელი გარემოებები.“¹⁵⁷

„საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სკ-ის 530-ე მუხლის პირ-

¹⁴⁸ სუსგ №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021, პ.17.44.

¹⁴⁹ *ძლიერიშვილი*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 254.

¹⁵⁰ *ძლიერიშვილი*, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა, 2018, გვ. 505.

¹⁵¹ *ძლიერიშვილი*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 254.

¹⁵² BGH, Beschluss vom 20. Februar 2019 – XII ZB 364/18.

¹⁵³ *Schippers*, Ruckforderungsanspruch des verarmten Schenkers (§§ 528, 529 BGB), RNotZ 2006, S. 42. HK-BGB/ Saenger, 7. Aufl., S. 753. *Rundel*, Ruckforderung wegen Verarmung des Schenkers bei mehreren Beschenkten, Mitt-BayNot 2003, S. 177.

¹⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 87.

¹⁵⁵ BeckOK BGB/ Gehrlein, 56. Ed, 2020, § 528, Rn. 2; BGH, Urteil vom 3.10.2013, Az. IV ZR 54/13.

¹⁵⁶ *ძლიერიშვილი*, ჩუქების გაუქმების საფუძველები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, გვ. 113.

¹⁵⁷ სუსგ №ას-572-572-2018, 28 თებერვალი, 2019, პ.7.

ველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობები ვლინდებოდა: მოსარჩელე (მჩუქებელი) ხანდაზმულია (87 წლისაა), იგი საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას (დაცემის შედეგად მოიტეხა ბარძაყი). მას არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის საშუალებები დამოუკიდებლად მოიპოვოს. ქონების გასხვისებით იგი უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განკარგოს ქონება. ამიტომაც მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გაჩუქებული უძრავი ქონება ისევ გამჩუქებლის საკუთრებად უნდა აღირიცხოს.“¹⁵⁸

2.3. 530 I და 398-ე მუხლების ურთიერთმიმართება

530-ე მუხლი განსაზღვრავს როგორც ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ასევე ითვალისწინებს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის უფლება არ წარმოიშობა.

530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წინაპირობაა ისეთ გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომელთა გათვალისწინება გამორიცხავდა ხელშეკრულების დადებას. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სადავო იყოს 398-ე და 530-ე მუხლების ურთიერთმიმართება. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლის მომწესრიგებელი 530-ე მუხლი, ძირითადად გამომრიცხავ კონკურენციაშია 398-ე მუხლთან, ვინაიდან ის გარემოებები, რომელთა შეცვლაც შესაძლოა გახდეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი, სპეციალური ნორმებით არის მოწესრიგებული და ისინი უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის

საფუძველებია 398-ე მუხლთან მიმართებით.

შესაბამისად, 398-ე მუხლის გამოყენების სფერო არ ვრცელდება ჩუქების ხელშეკრულებაზე. 530-ე მუხლის, როგორც საგამონაკლისო მოწესრიგების, მიზანი, ერთი მხრივ, დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების დაცვა და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული, კანონით ზუსტად განსაზღვრული გარემოებების არსებობისას მჩუქებლის ინტერესების დაცვაა.¹⁵⁹

398-ე მუხლის გამოყენება ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით საფრთხეს უქმნის სპეციალურ მოწესრიგებათა მიზნის უზრუნველყოფას, კერძოდ, მხარეთა ინტერესების წონასწორობას. ამდენად, 398-ე მუხლი შესაძლოა ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 530-ე მუხლის მიზნების გათვალისწინებით, მასთან მჭიდრო კავშირში, რაც მის დამოუკიდებელ, უფლების დამფუძნებელ ნორმად გამოყენებას გამორიცხავს.¹⁶⁰ ანალოგიურადაა მოწესრიგებული ეს საკითხი გერმანიის სასამართლო პრაქტიკაშიც.¹⁶¹

2.4. გაჩუქებული ქონების გამოთხოვის დაუშვებლობა

გამჩუქებელს უფლება არა აქვს დასაჩუქრებულს უკან მოსთხოვოს ნაჩუქარი ნივთი, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად შექმნა. კერძოდ, თუ მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა გამონწვეულია მისი განზრახვი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყველა შემთხვევაში

¹⁵⁹ ძლიერიშვილი, ჩუქების გაუქმების საფუძველები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, გვ. 116.

¹⁶⁰ ჩაჩავა, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 93.

¹⁶¹ OLG Karlsruhe Urteil vom 09.09.1988- 10 U 32/38, NJW 1989, 2136.

¹⁵⁸ სუსგ №ას-1011-954-2018, 18 მარტი, 2016, პ.18.1.

უნდა განსაზღვროს სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.¹⁶²

530-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

თითქმის ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 529-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, რომლის თანახმადაც, გამჩუქებელს არ წარმოეშობა ნივთის უკან გამოთხოვის უფლება, თუ მან თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით,¹⁶³ ან თუ მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის დადგომის მომენტისათვის ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გავიდა ათი წელი.¹⁶⁴

2.5. გაჩუქებული ქონების გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა

ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა 530-ე მუხლში მითითებული წინაპირობების გარდა, დამატებით შეზღუდვას უნდა დაექვემდებაროს და განხორციელებადი იყოს მხოლოდ განსაზღვრული ვადის განმავლობაში.¹⁶⁵ ამასთან, დასაფიქრებელია, 530-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის მიმართ უნდა გავრცელდეს 128-ე მუხლით დადგენილი საერთო ხანდაზმულობის ვადა თუ 129-ე მუხლით დადგენილი ვადები (3 ან 6 წელი).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 529-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მოწესრიგებისაგან განსხვავებით (ნაჩუქარის უკან გამოთხოვა გამოირიცხებულია, თუ ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გასულია ათი წელი),¹⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ გან-

საზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის განხორციელება 530-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. მიუხედავად ასეთი ფორმულირებისა, ცხადია, რომ კანონმდებლის ნება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში წარმოშობილი ჩუქების საგნის გამოთხოვის მოთხოვნა დროში არ არის შეზღუდული. ასეთი ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებული და გაუმართლებელია კერძო სასამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისა და საკუთრების უფლების დაცვის მიზნების გათვალისწინებით.¹⁶⁷

530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის განხორციელების დროში შეზღუდვა სწორედ იმითაა განპირობებული, რომ მოთხოვნის განხორციელება ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული ვადის შემდეგ გამოირიცხოს, მაშინაც კი, თუ მისი გაუქმების საფუძველი სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ დგება. 530-ე მუხლით მოწესრიგებულ შემთხვევაში კი დაბრუნების წინაპირობად მხოლოდ გაჩუქებული ნივთის რეალური არსებობა და დაბრუნებით დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობაში არჩაყენება სახელდება. ეს წინაპირობები კი ვერ ჩაითვლება საკმარის დაცვად ხანდაზმულობის სხვა მიზნებიდან, მაგალითად, კერძო სასამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობიდან გამომდინარე. „შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადანყვეტა სამოსამართლო სამართლის მეშვეობით უნდა მოხდეს. კერძოდ, სკ-ის 128 III მუხლი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ სკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ხანდაზმულად იქნეს მიჩნეული, თუკი ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან ათი წელი გავიდა.“¹⁶⁸

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე: „დადგენილად იქ-

¹⁶² ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 258.

¹⁶³ Palandt / Weidenkaff, 74. Aufl. 2015, § 529, Rn. 1.f.

¹⁶⁴ MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 529, Rn. 2. HK-BGB/Saenger, 10. Aufl. 2019, § 529, Rn. 3.

¹⁶⁵ ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 258.

¹⁶⁶ NJW 2011, 3082 (BGH Urteil vom 19.07.2011 – X ZR 140/10); Tonner, Schuldrecht, 3. Aufl. 2013, §14, S. 133.

¹⁶⁷ ჩაჩავა, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თსუ, 2010, გვ. 162.

¹⁶⁸ ძლიერიშვილი, ჩუქების გაუქმების საფუძველები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, გვ. 119.

ნა მიჩნეული, რომ მხარეთა შორის სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით, მჩუქებელმა სასამართლოს ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან 21 წლის შემდეგ მიმართა. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სკ-ის 530-ე მუხლის საფუძველზე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ვადის ფარგლები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნა ხანდაზმულად იქნეს მიჩნეული, თუკი ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გასულია 10 წელი (შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ზ. ძლიერიშვილი, 24 მაისი, 2016. <http://www.gccc.ge/wpcontent/uploads/2016/05/Artikel-530.pdf>. სკ-ის 530-ე მუხლის კომენტარი). საკასაციო პალატამ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა საჩუქრის გადაცემიდან თავად სკ-ის 530-ე მუხლში გაცხადებული დანაწესისა და მისი სამართლებრივი შედეგის სპეციფიკურობიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულება დადებულია მჩუქებლის ნამდვილი ნების საფუძველზე, მას სურს ნივთის დასაჩუქრებულისათვის გადაცემა, ხოლო შემდგომში ნივთის უკუგამოთხოვის მოთხოვნა განპირობებულია არა დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის უფლების ხელყოფით, არამედ მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის იმგვარი დამძიმებით, რაც ჩუქების უსასყიდლო ბუნების გათვალისწინებით, ამართლებს ნივთის მჩუქებლის საკუთრებაში დაბრუნებას, ისიც მაშინ, თუ გამოირკვევა, რომ ნივთის მჩუქებლისათვის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. სკ-ის 130 I მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლას უფლების ხელყოფას და უფლების ხელყოფის თაობაზე კრედიტორის ინფორმირების დროს უკავშირებს, რაც სკ-ის 530-ე მუხლის შემადგენლობას არ მიესადაგება. სკ-ის 130 I მუხლით ხანდაზმულობის ვადის დენის ბმა დროსთან, როდესაც პირმა შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე, ემსახურება მიზანს - დამრღვევს ჰქონდეს მოლოდინი, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან სხვისი რომელიმე სამოქალაქო უფლების ხელყოფის შემთხვევაში მას დაეკის-

რება პასუხისმგებლობა, თუკი კრედიტორი უფლების დარღვევის თაობაზე შეტყობიდან კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის დაცვით სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა იკვეთებოდეს ერთი პირის დაცვის ღირსი იურიდიული ინტერესის წინააღმდეგ მეორე პირის მოქმედება ან უმოქმედობა. სკ-ის 530-ე მუხლით დადგენილი მონესრიგების ფარგლებში მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის სამართლებრივი მდგომარეობის წონასწორობისა და ბალანსის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის წერტილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მჩუქებლის განკარგვის სფეროდან ნივთის დასაჩუქრებულის განკარგვის სფეროში გადასვლას, ნივთის გადაცემას, უნდა დაუკავშირდეს, ვინაიდან ნივთის გამოთხოვის მიზანი ემსახურება ნივთის გაჩუქებით განცდილი დანაკლისის უკუგებას მძიმე მატერიალური ყოფის ფონზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავისი არსით, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა ერთბაშად არ ხდება, ეს ხანგრძლივი პროცესია და ერთი კონკრეტული მომენტის განსაზღვრა ამ საფუძველით ჩუქების ხელშეკრულების გასაუქმებლად ერთმნიშვნელოვნად განჭვრეტადი არაა, რაც კიდევ უფრო ასაბუთებს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივ კავშირს საჩუქრის გადაცემის აქტთან. ამასთან, გაუმართლებელია დასაჩუქრებულს მუდმივად ჰქონდეს მოლოდინი მჩუქებლის მდგომარეობის გაურესების შემთხვევაში საჩუქრის უკუგამოთხოვის თაობაზე.¹⁶⁹

„რაც შეეხება მოპასუხის მითითებას ხანდაზმულობაზე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკით 530-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების მიმართ დადგენილია ათწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აითვლება ნაჩუქარი ნივთის გადაცე-

¹⁶⁹ სუსგ №ას-572-572-2018, 28 თებერვალი, 2019, პ.9-13.

მიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.¹⁷⁰

3. საპროცესო სამართლებრივი ასპექტები

530-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასთან მიმართებით პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, თუ ვის შეუძლია მოითხოვოს ჩუქების გაუქმება.

ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა სათანადო მხარე.¹⁷¹ არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო მოსარჩელე, ეს განისაზღვრება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.¹⁷² სკ-ის 530-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს და ეს უფლება არ გადადის მემკვიდრეობით. „ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს.“¹⁷³

„სკ-ის 530-ე მუხლი მჩუქებლის და არა მის კმაყოფაზე მყოფი პირის კუთვნილი ნორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში, დასაჩუქრებულის წინააღმდეგ, მოთხოვნის წაყენების უფლება მხოლოდ მჩუქებელს აქვს და ნორმის დეფინიციის მიმართებული ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც მჩუქებლის გარდა, მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენის შეუძლებლობასაც ეხება, არ წარმოუშობს ამ უკანასკნელთ დასაჩუქრებულისაგან ნაჩუქარი ქონების მოთხოვნის უფლებას.“¹⁷⁴

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, თუკი მჩუქებელმა მძიმე მატერიალურ

მდგომარეობის გამო სასამართლო წესით მოითხოვა ჩუქების გაუქმება და ნაჩუქარი ნივთის დაბრუნება დასაჩუქრებულისაგან, მაგრამ საქმის განხილვისას (ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ) მჩუქებელი გარდაიცვალა?

530-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი ჩუქების გაუქმების შესახებ საქმის განხილვისას მჩუქებელი გარდაიცვალა, საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება. „საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. მითითებული საფუძველით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზანია მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ცხადია, ეს მიზანი ვეღარ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ქონებრივი უფლება მჩუქებლის სამკვიდროში არ შედის და, შესაბამისად, არც მის მემკვიდრეებზე გადადის. შესაბამისად, რადგან მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში არ დაიშვება, დაუშვებელია ასევე საპროცესო უფლებამონაცვლეობაც (სკ-ის 530-ე, 1330-ე მუხლები).“¹⁷⁵ „ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს.“¹⁷⁶

დასაშვებია თუ არა 530-ე მუხლით გათვალისწინებული გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლების განხორციელება დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრეების მიმართ? ვფიქრობ, რომ არა. ამგვარი დასკვნის საფუძველია 453-ე, 529-ე, 1306-ე, 1328-ე, 1330-ე მუხლების ანალიზი. თუმცა კი ამ პრობლემის ცალსახად გადაწყვეტის მიზნით სასურველი იქნება, თუკი საქართვე-

¹⁷⁰ სუსგ №ას-1150-2019, 10 ივნისი, 2021, პ.1.4.

¹⁷¹ სუსგ №ას- 1411-1426-2011, 20 ოქტომბერი, 2011.

¹⁷² ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 257.

¹⁷³ სუსგ №ას-359-2020, 03 თებერვალი, 2021, პ.32.

¹⁷⁴ სუსგ №ას-1155-2018, 13 ოქტომბერი, 2021, პ.27; სუსგ №ას-228-218-2016, 03 ივნისი, 2016, პ.39-40.

¹⁷⁵ სუსგ №ას-1050-2019, 09 სექტემბერი, 2019, პ.52.

¹⁷⁶ სუსგ №ას-54-53-2014, 30 აპრილი, 2015, გვ. 8.

ლოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს დაემატება შემდეგი შინაარსის მქონე დებულება: „დასაჩუქრებულის გარდაც-

ვლების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“ (ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 532-ე პარაგრაფი).¹⁷⁷

¹⁷⁷ Koch, in MüKoBGB/Koch, 7. Aufl. 2016, § 532, Rn. 4.; Palandt / Weidenkaff, 74. Aufl. 2015, § 532, Rn. 3.

ფიზიკური პირების გადახდისუნარობის საკანონმდებლო რეგულაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

რაჟდენ კუპრაშვილი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

I. შესავალი

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ამის მიზეზი შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორს დაფუძვნიროთ. თუმცა, სამართლებრივი კუთხით, აღნიშნული პრობლემა უპირობოდ არის დაკავშირებული საკრედიტო ურთიერთობებში მხარეთა ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებასთან, აგრეთვე საბანკო სფეროში სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობასთან და ამ სფეროში ღიად დატოვებულ სივრცეებთან. ყოველივე აღნიშნულმა დაგვაცენა იმ გამოწვევის წინაშე, როგორც არის წარბვალთანობა. განსაკუთრებით კი ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც სესხებზე ხელმისაწვდომობა საგრძნობლად გაიზარდა.

დღეს საქართველოში ფიზიკური პირების გადახდისუნაროდ ცნობის შესაძლებლობა არ არსებობს. პირველი კანონი, რომელიც ამ მიმართულებით ამოქმედდა იყო საქართველოს კანონი „გაკოტრების შესახებ“, რომელიც 1996 წელს შევიდა ძალაში. კანონის თანახმად, გადახდისუნარობის რეჟიმი ვრცელდებოდა, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. ამის შემდგომ მიღებულ იქნა კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელმაც გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობა იურიდიულ პირებსა და ინდივიდუალურ მენარმეებს მისცა. დღეს უკვე მოქმედებს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედი-

ტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური რეჟიმის გავრცელებას მხოლოდ იურიდიული პირებისთვის. როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე, ფიზიკური პირები მოკლებული არიან გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობას. ეს შესაძლოა, ქვეყანაში წარბვალთანობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად მივიჩნიოთ. ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთი გზა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების ამოქმედებაში მდგომარეობს.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადახდისუნარობის საკანონმდებლო რეგულირების შედარებით სამართლებრივ ქრილში განხილვა. შესაბამისად, წინამდებარე სტატია ეძღვნება გადახდისუნარობის კანონმდებლობის მიმოხილვასა და ანალიზს როგორც კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, ძირითადად კი გერმანიაში, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში.

წინამდებარე სტატიის ფარგლებში წარმოგვნილია ფიზიკური პირების გადახდისუნარობის საერთაშორისო მოდელების ზოგადი მიმოხილვა და მათი ძირითადი მახასიათებლების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ამ მიზნით სტატიაში განხილული იქნება ანგლო-ამერიკული (აშშ, ინგლისი და უელსი) და აგრეთვე ევროპული (გერმანია და ბალტიისპირეთი) ქვეყნები. ამასთან მოყვანილი იქნება საერთაშორისო კვლევა, რომლის თანახმადაც, გაზომილია ევროპული ქვეყნების მოვალის შემწყნარებლობის ინდექსი.

II. ფიზიკური პირების გადახდისუნარობის საერთაშორისო მოდელები

უნარო მოვალის სამართლებრივ მდგომარეობას.¹

1. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში მოქმედი „ახალი დასაწყისის“ დოქტრინა

1.1. გაკოტრების კოდექსი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში გადახდისუნარობის კანონმდებლობა ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევა და მხარს უჭერს ე. წ. „ახალი დასაწყისის“ დოქტრინას. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც აღნიშნულ სისტემას ახასიათებს, პირველ რიგში, არის ის, რომ იგი ყურადღებას არ ამახვილებს მოვალის კეთილსინდისიერებაზე იმდენად, რამდენადაც ამას კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში ვხვდებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ანგლო-ამერიკული მიდგომის თანახმად, ინდივიდს შეუძლია თავად შეარჩიოს გადახდისუნარობის სტრატეგია, მაშინ როდესაც გერმანულ მოდელებში კანონით განსაზღვრული სტანდარტული წესია დადგენილი. აქვე ხაზი უნდა გავესვათ იმასაც, რომ ინგლისსა და უელსში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდივიდუალური ნებაყოფლობითი შეთანხმებები (Individual Voluntary Agreements - IVA), რომლებიც წარმოადგენს გადახდისუნარობის პროცედურის ალტერნატივას.

აშშ-ში ფიზიკური პირების გაკოტრების რეჟიმს არეგულირებს გაკოტრების კოდექსი, რომლის მე-7 და მე-13 თავებში შემოთავაზებულია გაკოტრების ორი რეჟიმი. აღნიშნული კოდექსის მე-7 თავით განსაზღვრული რეჟიმი ეხება მოვალის არასაგამონაკლისო ქონების ლიკვიდაციას. აქვე უნდა განიმარტოს, რომ კოდექსი ადგენს საგამონაკლისო ქონების ცნებას. კერძოდ, ეს არის ქონება, რომლის დაცვაც მოვალეს შეუძლია ლიკვიდაციისგან. როგორც წესი, საგამონაკლისო ქონებას განეკუთვნება: საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები, ტანსაცმელი, ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები და ავეჯი, სამკაულები, პენსია და სხვა მსგავსი.² აშშ-ის კანონმდებლობა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შტატებმა საგამონაკლისო ქონების ნუსხა თავად დაადგინონ და ასევე თავად განსაზღვრონ ის ღირებულება, რომლის ფარგლებში ქონება მიიჩნევა საგამონაკლისოდ.

დღეს ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში შეინიშნება გარკვეული გადახრა ევროპული მოდელებისკენ. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის გადახდისუნარობის კოდექსის მე-13 თავი, რომელიც ითვალისწინებს გადახდისუნარობის გეგმის შედგენისა და გადახდისუნარობის პერიოდის გასვლის შემდეგ დარჩენილი ვალდებულებების ჩამონერის შესაძლებლობას. გარდა ამისა, აშშ-ში მოქმედებს 2005 წლის გადახდისუნარობის ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტი (Bankruptcy Abuse Prevention and Consumer Protection Act - BAPCPA), რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპის წინ წამოწევით აბალანსებს კრედიტორისა და გადახდისუ-

რაც შეეხება კოდექსის მე-13 თავით დადგენილ გაკოტრების წარმოებას, მას მოიხსენიებენ, როგორც „მუშაკის გეგმას“ (a wage earner's plan). ეს გეგმა მუდმივი შემოსავლის მქონე პირს აძლევს საშუალებას, გადახდის გეგმის მიხედვით, სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს ფულადი ვალდებულებები. იმ შემთხვევაში, თუ მოვალის თვითური შემოსავალი ნაკლებია სახელმწიფოს მიერ დადგენილ საშუალო მაჩვენებელზე, დგება სამწლიანი გეგმა. ხოლო, თუკი მოვალის თვითური შემოსავალი აჭარბებს სახელმწიფოში არსებულ საშუალო მაჩვენებელს, სტანდარტულად, დგება ხუთწლიანი გეგმა. ამასთანავე, კანონით აკრძალულია 5 წელზე გრძელვადიანი

¹ Ramsay, Towards an International Paradigm of Personal Insolvency Law: A Critical View, 17 QUT L. REV. 15 (2017), 25-29, 38.
² https://www.bankruptcyinfo.com/chapter-7_pc/exempt-vs-non-exempt-3-chapter-7_pc/.

გეგმის განერა.³ აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გეგმის ხანგრძლივობის განმავლობაში ცხადდება ასევე მორატორიუმი მოვალის ქონების რეალიზაციაზეც.⁴

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურის მიზანს წარმოადგენს, უზრუნველყოს მოვალის სწრაფი ახალი დასაწყისის შესაძლებლობა მისი ქონების რეალიზაციის გზით.⁵

რაც შეეხება გაკოტრების კოდექსის მე-13 თავით გათვალისწინებულ პროცედურას, იგი მეტად განელილია დროში, მაგრამ მე-7 თავით გათვალისწინებულ პროცედურასთან შედარებით, ამ შემთხვევაში უფრო მაღალია მოვალის ქონების გადარჩენის შანსი. შესაბამისად, ამ თავის ძირითადი მიზანია მოვალის ფულადი ვალდებულებების გადახდის გეგმის შედგენა და ამ გეგმის აღსრულების მეშვეობით მოვალის რეაბილიტაცია.

ინდმენარმის შემთხვევაში, თუკი იგი, ქონების ლიკვიდაციის, ანუ მე-7 თავით გათვალისწინებული პროცედურის ნაცვლად, აირჩევს ბიზნესის შენარჩუნებას, მას გარდა მე-13 თავით დადგენილი რეჟიმისა, შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მე-11 თავით დადგენილი ალტერნატივა. მთავარი განსხვავება მდგომარეობს მოვალის ქონების მმართველი პირის, მეურვის, ნაწილში. კერძოდ, თუ მე-13 თავით განსაზღვრულია მოვალის ქონების მართვა მეურვის მიერ, მე-11 თავი ეხება თვითადმინისტრირებას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეურვის ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებს თავად მოვალე, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა, რომ განაგრძოს ბიზნეს-საქმიანობა და ისესხოს ფული. რაც შეეხება რეორგანიზაციის გეგმას, ის ძალაში შედის კრედიტორთა კრების კენჭისყრის და სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შედეგად.⁶

1.2. ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეჟიმი დიდ ბრიტანეთში

ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარო ფიზიკური პირებისთვის არსებობს გადახდისუუნარობის რეჟიმის სამი ალტერნატივა: გაკოტრება, ვალის პატიების ორდერი (Debt Relief Order - DRO) ინგლისსა და უელსში და ინდივიდუალური ნებაყოფლობითი შეთანხმება (Individual Voluntary Arrangement - IVA). გაკოტრებისა და ვალის პატიების პროცედურა ბრიტანეთში ნორმატიულ დონეზეა განერილი, რაც შეეხება ინდივიდუალურ ნებაყოფლობით შეთანხმებას, აღნიშნული უმეტესწილად დამოკიდებულია მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმებაზე.

ფიზიკური პირის გაკოტრების პროცედურა, რომელიც 1986 წლის გადახდისუუნარობის აქტის მე-9 თავით არის მონესრიგებული,⁷ გარკვეულწილად მსგავსია აშშ-ის გაკოტრების კოდექსის მე-13 თავით გათვალისწინებული პროცედურისა. ხოლო, ვალის პატიება (DRO), რომელიც გათვალისწინებულია შემოსავლისა და აქტივების არმქონე პირებისთვის, ახლოს დგას ამერიკის გაკოტრების კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებულ პროცედურასთან. მთავარი მახასიათებელი, რომელიც DRO-ს გააჩნია არის ის, რომ თუკი მოვალე აკმაყოფილებს კანონმდებლობით დაწესებულ მოთხოვნებს, 12 თვის გასვლის შემდგომ ხდება მისი ვალდებულებების სრულად ჩამონერა. ამ მოთხოვნებს მიეკუთვნება შემდეგი: ა) მოვალის ფულადი ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს £ 30,000-ს; ბ) მას არ უნდა გააჩნდეს რაიმე დამატებითი შემოსავალი; გ) არ უნდა ფლობდეს უძრავ ქონებას ან მანქანას, რომლის ღირებულებაც აღემატება £ 2,000-ს; დ) ბოლო 3 წლის მანძილზე უნდა ცხოვრობდეს ინგლისში ან უელსში; ე) არ უნდა ფიქსირდებოდეს მოვალის მხრიდან ბოლო 6 წლის მანძილზე DRO პროცედურის გამოყენების შემთხვევა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვალის პატიების ორდერის მიღება მოვალეს არ ათავისუფლებს ისეთი ფულადი ვალდებულებების

³ 11 U.S.C. § 1322(d).

⁴ <https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-13-bankruptcy-basics>.

⁵ <https://www.law.cornell.edu/uscode/text/11/chapter-7>.

⁶ <https://www.uscourts.gov/services-forms/bankruptcy/bankruptcy-basics/chapter-11-bankruptcy-basics>.

⁷ <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1986/45/part/IX>.

გან, როგორც არის, მაგალითად, სტუდენტური სესხი, სასამართლო ბაჟი ან ქირის გადასახადი. კანონმდებლობით დადგენილია DRO-ს გაუქმების შემთხვევებიც, კერძოდ, თუკი მოვალის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება ან მოვალე სათანადოდ არ ითანამშრომლებს სასამართლო ოფიცერთან, მაგალითად, არ მიანდის დროულ და ამომწურავ ინფორმაციას მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუ პირი ახალ ვალს აიღებს DRO-ის პერიოდში, მის მიმართ დაიწყება გაკოტრების პროცედურა, ხოლო თუ ახალი ვალის შესახებ ის არ შეატყობინებს კრედიტორებს, მოვალე შესაძლოა აღმოჩნდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ.⁸

2. ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის ევროპული მოდელი - „დამსახურებული ახალი დასაწყისის“ დოქტრინა

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გადახდისუნარიანობის კანონმდებლობას „დამსახურებული ახალი დასაწყისის“ მოდელის სახელით მოიხსენიებენ.⁹ ანგლო-ამერიკული მოდელისგან განსხვავებით ევროპული კანონმდებლობა, დიდ ყურადღებას ამახვილებს მოვალის კეთილსინდისიერებაზე. შესაბამისად, მხოლოდ კეთილსინდისიერ მოვალეს ანიჭებს პრივილეგიას, ისარგებლოს გადახდისუნარიანობის პროცედურით და გადახდისუნარიანობის გეგმით დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში გათავისუფლდეს ფულადი ვალდებულებებისგან.

2.1. გადახდისუნარიანობის პროცესის წარმოება გერმანიაში

გერმანიაში გადახდისუნარიანობის პროცესი რეგულირდება ერთი საკანონმდებლო აქტით,

⁸ <https://www.gov.uk/options-for-paying-off-your-debts/debt-relief-orders>.

⁹ Arvydas/Neringa, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, Bankruptcy of Natural Persons in Lithuania: Reasons and Problems, 522.; ასევე Gruodyte/Kirsiene, Application of “Fresh start” Doctrine for Individual Debtors in Lithuania: EU and US perspective, Inzinerine Ekonomika-Engineering Economics, 2010, 21(3), p 266.

კერძოდ, გერმანიის გაკოტრების კოდექსით (Insolvenzordnung „InsO“), რომელიც სრულად აწესრიგებს გაკოტრების წესებს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის. აღნიშნული კოდექსი გერმანიაში 1999 წელს იქნა შემოღებული და მისმა ამოქმედებამ გადახდისუნარიანობის ფიზიკურ პირებს მისცა შესაძლებლობა გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან.¹⁰ გარდა აღნიშნული კანონისა, გერმანიაში მოქმედებს სპეციალური კანონები, თუმცა ისინი ძირითადად იურიდიული პირების გაკოტრებისა და სპეციფიკური შემთხვევებისთვის გამოიყენება.¹¹

გერმანიის გადახდისუნარიანობის კოდექსი თანაბრად ეხება იურიდიული პირებს, ინდივიდუალურ მენარმეებსა და სხვა ფიზიკურ პირებს. ამასთანავე, უშუალოდ ფიზიკურ პირებზე დამატებით ვრცელდება კოდექსის 304-ე-311-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ კრედიტორებსა და მოვალეს შორის ფულადი ვალდებულების შესრულების გეგმაზე შეთანხმებას. გერმანული გადახდისუნარიანობის კოდექსის პრიორიტეტს წარმოადგენს ის, რომ იგი შესაძლებლობას აძლევს მოვალეს, გადახდისუნარიანობის აღდგენის გეგმით დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში მოხდეს მისი ფულადი ვალდებულებების ჩამონერა. გერმანიაში გადახდისუნარიანობის პროცესის საბოლოო ზედამხედველობის ფუნქცია გადახდისუნარიანობის სასამართლოს გააჩნია.¹²

¹⁰ Fossen/König, Personal Bankruptcy Law and Entrepreneurship, 2015, p.1; ხელმისაწვდომია: <https://www.ifo.de/DocDL/dice-report-2015-4-fossen-koenig-december.pdf>, უკანასკნელად ნანახია 01.07.2022.

¹¹ მაგალითად, Limited Liability Companies Act (Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung, GmbHG) or section 92 of the Stock Corporation Act (Aktiengesetz, AktG); Bond Act (Schuldverschreibungsgesetz, SchVG); Act on the Reorganisation of Credit Institutions (Gesetz zur Reorganisation von Kreditinstituten, KredReorgG); the Restructuring and Liquidation Act (Sanierungs- und Abwicklungsgesetz, SAG).

¹² Braun, German Insolvency Code - Article-by-Article Commentary Second Edition, 2017, paras. 2-6, https://www.schultze-braun.de/fileadmin/en/Schultze_Braun_German-Insolvency-Code_k2.pdf?_=1569241778

იმ შემთხვევაში, თუ მოვალე აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შეუძლებელი ხდება მისი ყველა კრედიტორის დაკმაყოფილება, ინდივიდუალური იძულებითი აღსრულების ნაცვლად, ირთვება გადახდისუუნარობის კოლექტიური აღსრულების მექანიზმი, რომელიც აწესრიგებს, როგორც მოვალის, ასევე კრედიტორების სამართლებრივ პოზიციებს. მოვალის ფულადი ვალდებულებების დასაფარად მისი აქტივები გადადის მართვის სპეციალურ რეჟიმში. ეს ნიშნავს იმას, რომ მოვალის აქტივებს ედება ყადაღა, ანუ მას ჩამოერთმევა აქტივებთან მიმართებით ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება, რათა მოხდეს კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება აღსრულების ეტაპზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია როგორც მოვალის ქონების რეალიზაციის, ასევე გადახდისუუნარობის გეგმაში არსებული ალტერნატიული შეთანხმების გზით, რომლის მიზანია მოვალის რეაბილიტაცია და ქონების შენარჩუნება.

2.2. ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის რეგულირება საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით

ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირების გაკოტრების ორი სახის წარმოება არსებობს: მოვალის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოვალის რეაბილიტაციის წარმოება.¹³ ფრანგული მოდელის თანახმად, თუკი გამოიკვეთება, რომ მოვალის ფინანსური მდგომარეობა რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, გადახდისუუნარობის კომისია საქმეს სასამართლოში შეიტანს. პროცედურა ითვალისწინებს ორ შემთხვევას: ა) როდესაც მოვალეს გააჩნია აქტივები, რომელთა რეალიზაციის ან ლიკვიდაციის გზით ხდება კრედიტორთა ნაწილობრივი დაკმაყოფილება, ხოლო დანარჩენი ვალდებულებები ჩამოინერება; ბ) როდესაც მოვალეს არ გააჩნია აქტივები, რაც იწვევს ვალდებულებებისგან გათავისუფლებას. პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მოვალის მოთხოვნით, კომისიას შეუძ-

ლია მოსთხოვოს სასამართლოს მოვალის მიმართ აღსრულების ნებისმიერი ღონისძიების შეჩერება. ასევე, მიმართოს სასამართლოს აღსრულებაზე მორატორიუმის მოთხოვნით, მაგალითად, იძულებითი გამოსახლების შეჩერების მიზნით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოვალეს არ აქვს ქონების განკარგვის უფლება სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვის გარეშე, ხოლო თუ მეურვე არ არის დანიშნული, მას ქონების განკარგვისთვის ესაჭიროება სასამართლოს თანხმობა.¹⁴

2.3. გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ბალტიისპირეთის ქვეყნებში

როდესაც ვსაუბრობთ ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოქმედ ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის პროცედურებზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ლიეტუვის გაკოტრების კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნების რეგულაციებისგან. ლიეტუვაში ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის პროცესის სუბიექტებისთვის საერთო მახასიათებელს წარმოადგენს იურიდიული პირის სტატუსის არარსებობა. შესაბამისად, სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობით ისარგებლონ, იყოფა სამ ჯგუფად: ფიზიკურ პირები, ფერმერები და სხვა ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ინდივიდუალურ საქმიანობას (ინდემნარმეები).¹⁵ თავისთავად, ლიეტუვისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ ისევე, როგორ ევროპის სხვა ქვეყნებში, ამ შემთხვევაშიც, კანონი ყურადღებას ამახვილებს ფიზიკური პირის კეთილსინდისიერებაზე, რაც განისაზღვრება სხ-

¹³ <https://e-justice.europa.eu/447/EN/insolvencybankruptcy?FRANCE&member=1>.

¹⁴ *Hetes-Gavra/Avram/Avram*, The Models of Personal Bankruptcy in Western Europe, "Ovidius" University Annals, Economic Sciences Series Volume XVI, Issue 1/2016, pp. 546-547 https://stec.univ-ovidius.ro/html/anale/RO/wp-content/uploads/2015/03/ANALE-vol-16_issue_1_site.pdf.

¹⁵ *Schihalejev et al.*, Conditions for the Bankruptcy of Natural Persons: Which Baltic State Is the Most Attractive for Bankruptcy, International Comparative Jurisprudence 2021 Volume 7 Issue 1, p. 103 <http://dx.doi.org/10.13165/j.icj.2021.06.008>.

ვადასხვა კრიტერიუმის შეფასებით. მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობა გამონვეული ხომ არ არის მისი არაკეთილსინდისიერი ქცევით ან იჩენდა თუ არა იგი სათანადო გულისხმიერებას იმისათვის, რომ არ დაგროვებულიყო დავალიანება. მეტიც, კანონით განსაზღვრულია ისიც, რომ სასამართლო უარს იტყვის ფიზიკური პირის გაკოტრების საქმის წარმოებაზე, თუ დადგინდება, რომ ფიზიკური პირი გადახდისუუნარო გახდა მისი დამოკიდებულების, მათ შორის ალკოჰოლის, ნარკოტიკული და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების, აზარტული თამაშების გამო და ა. შ.¹⁶

გადახდისუუნარობის კანონმდებლობა მოქმედებს ლატვიაშიც, სადაც ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონი ძალაში 2008 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული კანონით მოცემული გადახდისუუნარობის რეგულირება უფრო მეტად კორპორაციულ სტრუქტურას შეეფერებოდა, ამიტომ იგი 2010 წლის 1 ნოემბრიდან ჩანაცვლდა გადახდისუუნარობის ახალი კანონით, რომელმაც გაზარდა ფიზიკური პირებისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხელმისაწვდომობა.

რაც შეეხება ესტონეთის გადახდისუუნარობის კანონს, იგი აღიარებს ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ორ განსხვავებულ ვარიანტს: ვალის რესტრუქტურიზაციას და გაკოტრებას. ვალის რესტრუქტურიზაციის პროცედურები რეგულირდება ვალის რესტრუქტურიზაციისა და ვალების დაცვის აქტით (DRDPA, 2010), რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ფიზიკური პირის ვალების რესტრუქტურიზაციას გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. მეორე მხრივ, გაკოტრების საქმის წარმოება რეგულირდება გაკოტრების შესახებ კანონით (BA, 2004) და ტარდება იმ შემთხვევაში, თუ მოვალე გადახდისუუნაროა. ესტონეთის BA-ს 1(2) მუხლის თანახმად, მოვალე გადახდისუუნაროა, თუ ის ვერ აკმაყოფილებს კრედიტორ(ებ)ის მოთხოვნას და ამგვარი ფინანსური

მდგომარეობა დროებითი არ არის, ე. ი. არ იკვეთება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა ახლო მომავალში.

ესტონეთის BA-ს მე-2 მუხლის თანახმად, მოვალეს, რომელიც არის ფიზიკური პირი, ასევე ეძლევა შესაძლებლობა, გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან გაკოტრების საქმის წარმოების გზით. ესტონეთის მოქმედი გაკოტრების კანონი არ იძლევა კონკრეტულ განმარტებას, თუ ვინ მოიაზრება ფიზიკური პირის ქვეშ და ვისზე ვრცელდება ესტონეთის BA. მხოლოდ ესტონეთის DRDPA მუხლი 4 (1)–(2) იძლევა განმარტებას, რომ მოვალე ექვემდებარება ვალის რესტრუქტურიზაციის პროცესს, მიუხედავად მათი მენარმეობის სტატუსისა. ვალის რესტრუქტურიზაციას შეიძლება მიმართოს მოვალემ, რომლის საცხოვრებელი ადგილი ესტონეთშია და რომელიც ცხოვრობდა ესტონეთში ვალის რესტრუქტურიზაციის პეტიციის წარდგენამდე არანაკლებ ორი წლის განმავლობაში.¹⁷

III. დასკვნა

ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საკითხზე მსჯელობისას თავისთავად ყურადსაღებია ისეთი ფაქტორები, როგორც არის თავად ამ რეგულაციის ფოკუსი სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური მარკეტების, მენარმეობის და შრომითი ბაზრის მიმართ. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედი, ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში შეგვიძლია განვიხილოთ 2021 წელს ჩატარებული საერთაშორისო კვლევა, რომლითაც შეფასდა ევროკავშირის 25 სახელმწიფოს კანონმდებლობა და გაიზომა ამ ქვეყნების შემწყნარებლობის ინდექსი აშშ-ის გაკოტრების კანონმდებლობასთან მიმართებით. კვლევის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ქვეყნების საკანონმდებლო მოდელზე, კანონის ასაკსა და ამ ქვეყნებში საკანონმდებლო რეგულირების შემოღების ძირითად მიზეზებზე.

¹⁶ Republic of Lithuania, Law on Personal Bankruptcy, 10 May 2012 No XI-2000.

¹⁷ იქვე, გვ 106.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის შესახებ მეტად ჰეტეროგენულია. ევროკავშირის ქვეყნებში კანონმდებლობა თავდაპირველად კრედიტორთა ინტერესებისკენ საგრძნობლად იყო გადახრილი, თუმცა, ეტაპობრივად ხდება მოვალის ინტერესების პრიორიტეტულობის წინა ფლანგზე წამოწევა.¹⁸

როგორც კვლევიდან ჩანს, აშშ-ის შემწყნარებლობის ინდექსი გაცილებით მაღალია ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობის ინდექსზე. სწორედ ამერიკულმა მოდელმა შემოგვთავაზა პირველად ვალის ჩამონერის იდეა, რაც ლიბერალური¹⁹ და საბაზრო²⁰ ბანაკების ერთგვარ სინთეზს ქმნის და საბოლოოდ, ინდივიდის ინტერესებს ანიჭებს პრიორიტეტულობას.²¹

რაც შეეხება ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობას, იგი მეტად ორიენტირებულია საფინანსო და საბანკო სექტორების დაცვაზე.²² მარტივად რომ ვთქვათ, მეტად ფრთხილია. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, შვედეთში, დანიასა და პოლონეთში, შეინიშნება ამერიკული მოდელების გავლენა და საკანონმდებლო რეფორმების ლიბერალური ხასიათი. აქვე

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ 2005 წელს ამერიკის „გაკოტრების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მომხმარებელთა დაცვის აქტის“ ამოქმედებით ამერიკული მოდელიც გარკვეულწილად დაუახლოვდა ევროპულ მოდელს.²³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების საკანონმდებლო ანალიზის შედეგად ჩანს, მსოფლიოში ქვეყნების უმრავლესობა იცნობს ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესაძლებლობას და ეს, თავისთავად, ნორმატიულ დონეზეა მონესრიგებული. შესაბამისად, ვინაიდან, ჩვენს ქვეყანაში ჭარბვალიანობა დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონკვევად რჩება, საჭიროა, საზოგადოებას შევთავაზოთ მოქნილი მექანიზმი, რომელიც ადამიანების ფინანსურ მდგომარეობას გარკვეულწილად შეამსუბუქებს, შესაძლებლობას მისცემს დაუბრუნდნენ ნორმალურ სოციალურ მდგომარეობას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ერთადერთი ოპტიმალური გზა სწორედ რომ ევროპული და ანგლო-ამერიკული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაშია.

¹⁸ https://www.researchgate.net/publication/354404359_The_Leniency_of_Personal_Bankruptcy_Regulations_in_the_EU_Countries.

¹⁹ *Efrat*, Global trends in personal bankruptcy. *American Bankruptcy Law Journal* 76: 81–110.

²⁰ *Heuer*, Rules and Norms of Consumer Insolvency and Debt Relief: A Comparison and Classification of Personal Bankruptcy Systems in 15 Economically Advanced Countries. Ph.D. thesis, University of Bremen, Bremen, Germany; https://media.suub.uni-bremen.de/bitstream/elib/4657/7/PhD-Thesis_Jan-OckoHeuer_SubmittedVersion.pdf.

²¹ *Jia*, The impact of personal bankruptcy law on entrepreneurship. *Canadian Journal of Economics* 48: 464–93; <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/caje.12133>.

²² *Ramsay*, Between neo-liberalism and the social market: Approaches to debt adjustment and consumer insolvency in the EU. *Journal of Consum Policy* 35: 421–41.

²³ https://www.researchgate.net/publication/354404359_The_Leniency_of_Personal_Bankruptcy_Regulations_in_the_EU_Countries

გორა მამულაშვილი, ნონა თოდუა (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი 2019; წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბილისი 2020

რეცენზია*

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

თსუ, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

63. სსკ-ის 260-ე მუხლს ერთვის შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, თუ ნარკოტიკულ ნივთიერებას ნებაყოფლობით ჩააბარებს. ამავე შენიშვნის მიხედვით, ნებაყოფლობით ჩაბარება გულისხმობს ისეთ ქმედებას, როცა პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას. მოცემული საკანონმდებლო დებულება სახელმძღვანელოში ისეა განმარტებული, რომ ნებაყოფლობით ჩაბარებისთვის, პირმა შესაბამის ორგანოს ჯერ უნდა შეატყობინოს ამ ნივთიერების შესახებ და შემდეგ ხელი უნდა შეუწყოს მის ამოღებას. მაშასადამე, ავტორის თვალსაზრისით, კანონმდებელმა შეზღუდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარების პრაქტიკული განხორციელების ფორმები და პირს უკრძალავს თავად წარადგინოს ეს ნივთიერება სათანადო ორგანოში¹. აღნიშნული განმარტება არ

შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, ვინაიდან იგი წარმოადგენს კანონის ტექსტის მეტად ვიწრო ინტერპრეტაციას და არ იძლევა საკითხის ისე გადაწყვეტის შესაძლებლობას, რაც კანონმდებლის ნამდვილ მიზანს შეესაბამება. არ შეიძლება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა გამოირიცხოს იმის გამო, რომ ნარკოტიკული საშუალება პირმა სამართალდამცავ ორგანოში თვითონ მიიტანა წინასწარი შეტყობინების გარეშე. არსებით გარემოებად უნდა ჩაითვალოს პირის მოქმედების ნებაყოფლობითობა და ნარკოტიკული საშუალების ჩაბარება გამოძიების დაწყებამდე.

64. სსკ-ის 264-ე მუხლით ისჯება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებით, მაშინ ითვლება დამთავრებულად, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება აღნიშნულ საგანს². თუმცა, ჩნდება კითხვა, დაუფლების დროს რამდენად შეიძლება განხორციელებულად ჩაითვალოს მისაკუთრება, ვინაიდან სამართლებრივად დაუფლება და მისაკუთრება არ არის ერთი და იგივე. სისხლის სამართალში დაუფლება და მისაკუთრება რომ არ არის ერთი

* რეცენზიის პირველი და მეორე ნაწილები გამოქვეყნებულია ჟურნალის 2021 წლის მე-2 და მე-3 ნომრებში.

¹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, გვ. 45.

² მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 61.

და იგივე, ამაზე მიუთითებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მიზნით დაფუძნებული დელიქტები. ქურდობა და ძარცვა ხორციელდება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თუმცა დამთავრებულია დაუფლების მომენტში და არ არის აუცილებელი მისაკუთრების მიზნის მიღწევა. თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში დაუფლება და მისაკუთრება არ არის ერთი და იგივე, ჩნდება კითხვა, საკითხი რატომ უნდა განიმარტოს სხვაგვარად ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით?

65. სსკ-ის 272-ე მუხლით ისჯება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს ნაქეზებას, რითაც იგი ემსგავსება დანაშაულში თანამონაწილეობას (ნაქეზებას). თუმცა, კანონმდებელმა ნაქეზების აღნიშნული შემთხვევისთვის ცალკე შემადგენლობა გამოყო. ყველანაირი ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ არის დასჯადი. მაგალითად, მარიხუანის მოხმარება არ ისჯება, მას შემდეგ, რაც მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად. ამიტომ ჩნდება კითხვა, ისჯება თუ არა ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება 272-ე მუხლით. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დანაშაულში დაყოლიებისგან განსხვავდება, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ადმინისტრაციული გადაცდომაა³. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, თუ მას ჩადის იმავე დანაშაულისთვის ნასამართლევი ან ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი, ისჯება სსკ-ის 273-ე მუხლით. ადმინისტრაციულ გადაცდომას წარმოადგენს პირველად მოხმარება. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც პირველად მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, არამედ იმის მიმარ-

თაც, ვინც უკვე არის ნასამართლევი ან ადმინისტრაციულსახდელდადებული. ჩნდება კითხვა, 272-ე მუხლით უნდა დაისაჯოს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიების ისეთი შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარება მომხმარებლისთვის სისხლისსამართლებრივად დასჯადია, თუ ასევე ის შემთხვევა, როცა საქმე ეხება დაყოლიებას ისეთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე, რომლის მოხმარებაც არ ისჯება? თუ მოხდა დაყოლიება მარიხუანის მოხმარებაზე, ვინაიდან მარიხუანის მოხმარება არ ისჯება, ადგილი ექნება არადასჯად ქმედებაზე დაყოლიებას, რაც არ შეიძლება ინვევედეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარიხუანის მოხმარება ზოგჯერ ინვევეს ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა საქმე ეხება მარიხუანის მოხმარებას წინასწარ განსაზღვრული წესების დარღვევით⁴. მორიგი კითხვა, რომელიც დაისმის 272-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე, ეხება იმას, შეიძლება თუ არა დაისაჯოს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიების ისეთი შემთხვევა, როცა მოხმარება ისჯება არა სისხლისსამართლებრივად, არამედ ადმინისტრაციულსამართლებრივად? მაგალითად, 21 წლის ასაკს მიუღწევლის დაყოლიება მარიხუანის მოხმარებაზე. ვინაიდან სსკ-ის 171-ე მუხლით ისჯება არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, სისტემური განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიების დასჯადობას სსკ-ის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური საფუძველი. ზოგადად, სისხლისსამართლებრივად უნდა ისჯებოდეს მხოლოდ ისეთ ქმედებაზე დაყოლიება, რომლის ამსრულებელიც სისხლისსამართლებრივად ისჯება, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, როცა გარკვეული ქმედება არ ისჯება სისხლისსამართლებრივად, მაგრამ სისხლისსამართლებრივად არადასჯად ქმედებაზე დაყოლიება ქმნის სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შე-

³ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 119.

⁴ იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹-ე მუხლი.

მადგენლობას. ეს წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როცა დაყოლიებული პირი განსაზღვრულ ასაკს მიუღწეველია, არასრულწლოვანია და, შესაბამისად, იმ ქმედებამ, რომელზეც ხდება მისი დაყოლიება, შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ჯანმრთელობაზე, განვითარებაზე ან შეიძლება შექმნას სხვა სახის საფრთხეც.

როდესაც ხდება მარიხუანის მოხმარებაზე დაყოლიება იმ პირისა, რომელსაც არ აქვს აკრძალული მარიხუანის მოხმარება, შეიძლება დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გასაღებისთვის (273¹-ე მუხ., მე-8 ნაწილი), თუ ადგილი არ ჰქონდა მხოლოდ დაყოლიებას და იმან, ვინც დაიყოლია, თვითონ გადასცა აღნიშნული ნივთიერება დაყოლიებულ პირს. მარიხუანის მოხმარება არ ისჯება, მაგრამ დასჯადია ის ქმედებები, რომლებიც წინ უძღვის ხოლმე მარიხუანის მოხმარებას, რაც მართებულობის თვალსაზრისით იურიდიულ ლიტერატურაში კამათის საგანს წარმოადგენს.

66. სახელმძღვანელოში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოტყუება არ შეიძლება იყოს 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ხერხი, ვინაიდან მოტყუებული პირი ვერ ჩაითვლება დაყოლიებულად⁵. მოტყუებული პირი მაშინ ვერ ჩაითვლება დაყოლიებულად, თუ მოტყუებულს ეგონა, რომ მას სხვა სახის საშუალებას აწვდიდნენ. თუმცა, მოტყუება შეიძლება სხვა სახითაც განხორციელდეს. შეიძლება მოტყუებულმა პირმა იცოდეს, რომ ის იღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ მოტყუება ეხებოდეს აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების თვისებებს და იმ ზეგავლენას, რომელიც შეიძლება მოახდინოს მოხმარებელზე. ასეთ დროს არ შეიძლება გამოირიცხოს 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

67. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას შეიძლება მოჰყვეს მოხმარებლის (დაყოლიებული პირის) სიცოცხლის მოსპობა, მაგრამ ასეთ დროს რამდენად შეიძლება დამყოლიებულს ობიექტურად შეერაცხოს დამდგარი შედეგი? სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსა-

ზრებით, დამყოლიებლის ქმედება მოცემულ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით - სსკ-ის 272-ე და 116-ე ან 124-ე მუხლებით⁶. საკითხის ასეთი გადაწყვეტა საკამათოა. ნარკოტიკების მოხმარებაზე დაყოლიება არ გამოირიცხავს დაყოლიებული პირის გადაწყვეტილების და ნების თავისუფლებას, შესაბამისად, მოხმარებით გამოწვეული ლეტალური შედეგისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება დამყოლიებელს. აღნიშნული შეხედულების სასარგებლოდ შეიძლება შემდეგი არგუმენტის მოშველიება: დაყოლიება რომ გამოირიცხავდეს დაყოლიებული პირის გადაწყვეტილების და ნების თავისუფლებას, დაყოლიებული პირის დასჯადობა სისხლისსამართლებრივად თუ ადმინისტრაციულსამართლებრივად, შეუძლებელი იქნებოდა, ისევე როგორც შეუძლებელი იქნებოდა იმ ამსრულებლის დასჯადობა, რომელიც დანაშაულზე ნამქვზებელმა დაიყოლია. ვინაიდან დაყოლიებული პირი დაყოლიების მიუხედავად იღებს თავისუფალ გადაწყვეტილებას იმ შედეგზე, რომელიც თავისუფალი გადაწყვეტილების პირობებში განხორციელებულ ქმედებას მოჰყვება სიცოცხლის ხელყოფის თუ ჯანმრთელობის დაზიანების სახით, პასუხი დამყოლიებელს არ დაეკისრება⁷. დამყოლიებელს მაშინ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა დაყოლიებული პირის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის ან სიცოცხლის მოსპობისთვის, თუ ადგილი ექნება მცირეწლოვნის ან შეურაცხის დაყოლიებას ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე⁸.

ლეტალური შედეგისთვის ან ჯანმრთელობის დაზიანებისთვის პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენს შეიძლება დაეკისროს მაშინაც, როცა საქმე ეხება ნარკოტიკული საშუალების გაკეთებას სხვა პირისთვის მისი ნების საწინააღმდეგოდ ან ნარკოტიკული საშუალების მიცემას მოტყუებით, როცა საკვებში ნარკოტიკულ საშუალებას გაურევენ, რის შესახებაც არ იცის მსხვერპლმა.

⁵ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 120-121.

⁶ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 122-123.

⁷ იხ. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 235.

⁸ ტურავა მ., დასახ. ნაშრ., გვ. 236.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიების თუ ნარკოტიკული საშუალების გადაცემის დროს მომხმარებლის გარდაცვალებისას დამდგარი ლეგალური შედეგის შერაცხვას იმ პირისთვის, ვინც მომხმარებელი დაიყოლია ან მომხმარებელს ნარკოტიკული საშუალება გადასცა, მხარს უჭერდა სისხლის სამართლის ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ადრე დამკვიდრებული შეხედულება, რომელიც დღეს თანამედროვე სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ სარგებლობს მხარდაჭერით⁹. 260-ე და 272-ე მუხლები მაკვალიფიცირებელ შედეგად არ ითვალისწინებენ სიცოცხლის გაუფრთხილებლობით ხელყოფის გამოწვევას, რის მიზეზად შეიძლება დასახელდეს კანონმდებლის ნება, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებით გამოწვეული ლეგალური შედეგი გამსაღებელს ან ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დამყოლიებელს არ შეიძლება შეერაცხოს.

ნარკოტიკული საშუალების მიმწოდებელს ნარკოტიკული საშუალების გასაღების გარდა უმოქმედობისთვისაც შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგად მომხმარებელი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა და ნარკოტიკული საშუალების მიმწოდებელმა დახმარება არ აღმოუჩინა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ექნება დაუხმარებლობას (129-ე მუხ.) თუ განსაცდელში მიტოვებას (128-ე მუხ.) საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს. უმოქმედობის კვალიფიკაცია 128-ე მუხლით იმ არგუმენტით შეიძლება გამართლდეს, რომ, მართალია, მომხმარებელმა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებით თავის თავს თვითონ შეუქმნა საფრთხე, მაგრამ წინარე ქმედება - ნარკოტიკული საშუალების გადაცემა წარმოადგენს სამართლებრივად გასაკიცხ ქმედებას (გასაღება).

68. 272-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით წარმოიშობა კითხვა, მისი მსხვერპლი არის მხოლოდ ის, ვინც აცნობიერებს, რომ მისი დაყოლიება ხდება ნარკოტიკულ საშუალებაზე თუ მსხვერპლი შეიძლება

იყოს ისეთი პირიც, რომელსაც არ შეეძლო გაეცნობიერებინა, თუ რა ქმედებაზე იყოლიებდნენ მას? სახელმძღვანელოში, ერთი მხრივ, მსხვერპლად არ მიიჩნევა ისეთი პირი, რომელიც ვერ აცნობიერებს, რომ თანხმდება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას (თუნდაც მოტყუების შემთხვევაში)¹⁰, ხოლო, მეორე მხრივ, 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განხორციელებულად მიიჩნევა მაშინაც, როცა ხდება იმ პირის დაყოლიება, რომელსაც თავისი ავადმყოფური მდგომარეობის გამო არ ჰქონდა უნარი, გაეცნობიერებინა, თუ რა ქმედებაზე იყოლიებდნენ მას¹¹. აღნიშნული მსჯელობა არათანმიმდევრულია, ვინაიდან არ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს იმას, თუ რა გარემოების გამო იყო პირი მოკლებული უნარს, გაეცნობიერებინა, რომ იყოლიებდნენ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე.

69. ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების დროს მომხმარებელმა ნარკოტიკული საშუალება შეიძლება თავის ორგანიზმში თვითონ შეიყვანოს, რა დროსაც, სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, დამხმარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება¹², მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ დახმარება შეიძლება განხორციელდეს ნარკოტიკული საშუალების მიწოდებითაც. შესაბამისად, ვინც მომხმარებელს ნარკოტიკულ საშუალებას გადასცემს და ამ გზით გაუწევს დახმარებას, უნდა დაისაჯოს რეალიზაციისთვის. რაც შეეხება ინტრავენული საშუალებით მოსახმარი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში დახმარებას შპრიცის მიწოდებით, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი თავისი ნებით მოიხმარს, შპრიცის მიმწოდებლის სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხიც საკამათოა, ვინაიდან, თუ საქმე ეხება სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოხმარების შემთხვევას, ჩნდება კითხვა, რატომ არ უნდა დაისაჯოს დამხმარეც? თუ ნარკოტიკული საშუალების მოხმა-

⁹ Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006, S. 404.

¹⁰ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 120-121.

¹¹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 123.

¹² მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 126.

რებაზე დაყოლიება ისჯება (272-ე მუხლით), რატომ არ უნდა ისჯებოდეს დახმარება? მართალია, დაყოლიება, ისევე, როგორც ნაქეზება, უფრო საშიში ქმედებაა, ვიდრე დახმარება, მაგრამ ეს არ უნდა მივიჩნიოთ დამხმარის სასჯელისაგან გათავისუფლების მიზეზად. 273-ე მუხლით ისჯება ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება იმის მიერ, ვინც იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციულსაბედელშეფარდებული ან ამ დანაშაულისთვის ნასამართლევია. როგორც ვხედავთ, საქმე ეხება სპეციალური ამსრულებლობით ჩასადენ დანაშაულს, თუმცა იგი არ გამოირიცხავს მასში თანამონაწილეობის შესაძლებლობას დამხმარის სახით. შპრიცის მიმწოდებელს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება მოხმარებით გამოწვეული ლეტალური შედეგისთვის, მაგრამ ეს სრულად არ გამოირიცხავს მის პასუხისმგებლობას.

70. ნარკოტიკების მოხმარებას, როგორც წესი, წინ უძღვის ისეთი ქმედებები, როგორებიცაა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა. სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებით, მოხმარება შთანთქავს წინარე ქმედებებს და ქმედება მხოლოდ 273-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს¹³, როგორც მოხმარება, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. მოხმარება კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ქმნიდეს ნაკლებ საშიშროებას, ვიდრე შექმნა, შენახვა, ვინაიდან არ არის გამოირიცხული, რომ ადგილი ჰქონდეს იმ ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნასა და შენახვას, რაც ქმნის იმის საშიშროებას, რომ მისი გასაღება მოხდეს სხვა პირებზეც. შესაბამისად, უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებები. კერძოდ, რა ოდენობით მოხდა შექმნა, შენახვა, შექმნის ან დამზადების დროს პირს ხომ არ ჰქონდა იმის მიზანი, რომ ის ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შეიძინა და ინახავდა, მოეხმარა და რა დროის ინტერვალი არსებობს აღნიშნულ ქმედებებს შორის. გარდა ამისა, მოხმარე-

ბასთან ერთად ხომ არ ჰქონდა ადგილი იმ ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შენახვას, რომელიც ქმნიდა გასაღების საფრთხეს. მაშასადამე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შექმნის, შენახვისა და მოხმარების ისეთ შემთხვევას, როდესაც მხოლოდ მოხმარებით ქმედების კვალიფიკაცია მისაღებია და ისეთ შემთხვევასაც, როცა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაცია აუცილებელია, რაზეც მეტყველებს ქართული სასამართლო პრაქტიკაც.

71. ვინაიდან მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ნაწილობრივი ლეგალიზაციის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვეულ შემთხვევებში არანებადართულად გამოაცხადა მარიხუანის მოხმარება (როცა მოხმარებელი 21 წლის ასაკს მიუღწეველია, მოხმარება ხდება სამუშაო ადგილას ან არასრულწლოვნის თანდასწრებით და სხვა), სახელმძღვანელოში დასმულია კითხვა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი დასახელებულ შემთხვევებში, ავტორი ასევე მიუთითებს საკითხის საკანონმდებლო მონესრიგების აუცილებლობაზე¹⁴, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ აღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹-ე მუხლით.

72. 273¹-ე მუხლით ისჯება მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. აღნიშნულ ნორმაზე სახელმძღვანელოში კრიტიკული თვალსაზრისით აღნიშნულია, რომ განსახილველი მუხლის დანარჩენ ნაწილებში ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში არ არის გათვალისწინებული უკანონო დამზადება ან წარმოება¹⁵, თუმცა ავტორს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ამავე კოდექსის 265-ე მუხლით ისჯება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება.

¹³ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 127-128.

¹⁴ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹⁵ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 138.

73. 273¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ისჯება მცირე ოდენობით მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, თუ ქმედების ჩამდენი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული ან იმავე დანაშაულისთვის ნასამართლევი. სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებით, ნასამართლობასთან დაკავშირებით საკამარისად უნდა ჩაითვალოს ასევე ნასამართლობა 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, ვინაიდან 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უფრო საშიშია და თუ საქმე ეხება უფრო საშიში ქმედებისთვის ნასამართლევი პირს, ქმედება მაინც შეიძლება დაკვალიფიცირდეს 273¹ მუხლით, მუხედავად იმისა, რომ საქმე ეხება სხვა მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით ასეთი დასკვნა გამომდინარეობს განმარტების იმ სახიდან, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „სვლა მცირედან დიდისკენ“¹⁶. საკითხის ასეთი გადანყვეტა შეიძლება საკამათოდ ჩაითვალოს, ვინაიდან საკითხის გადანყვეტა ხდება ანალოგიის წესით. ანალოგიის წესით სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმის განმარტება, როცა საქმე ეხება პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას და არა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, გაუმართლებელია. ანალოგიის წესით სისხლის სამართლის ნორმა მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ უნდა განიმარტოს, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თვალსაზრისით. გარდა ამისა, საკამათო შეიძლება იყოს ისიც, თუ რამდენად შეიძლება 273-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა ქმედება უფრო მძიმედ და საშიშად ჩაითვალოს, ვიდრე 273¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, როცა განხორციელებული ქმედებით მოხმარებული სხვა პირებისთვის, საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნაზე მეტად, საკუთარ თავს უფრო აზიანებს.

¹⁶ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 139.

74. სსკ-ის 276-ე მუხლის განმარტებაში აღნიშნულია, რომ ზოგჯერ რთულია იმის დადგენა, მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა მოქმედებით მოხდა თუ უმოქმედობით. აღნიშნულთან დაკავშირებით მოყვანილია შემთხვევა, როცა მძღოლი არ წყვეტს მოძრაობას და კვეთს გზას წითელ შუქზე, როცა ევალეზა მოძრაობის შეჩერება. განსახილველ საკითხზე ავტორი მიუთითებს, რომ საკითხის გარკვევას არ აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისთვის¹⁷. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საკითხი იმის შესახებ, მოქმედებით არის ჩადენილი დანაშაული თუ უმოქმედობით, მნიშვნელობას იძენს მე-8 მუხლის მიხედვით მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, ვინაიდან უმოქმედობის მიზეზობრიობა მოითხოვს არა იმავე, არამედ სხვა წინაპირობების დადგენას მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

75. დელიქტების კლასიფიკაციაში ერთ-ერთია შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები, რომელზეც არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს სისხლის სამართლის ლიტერატურაში. თუ, ერთ-ერთი მოსაზრებით, განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია მხოლოდ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებშია შესაძლებელი¹⁸, მეორე მოსაზრებით, განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას ადგილი ქმედების ძირითად შემადგენლობაშიც შეიძლება ჰქონდეს¹⁹. ამ უკანასკნელი მოსაზრების მიხედვით, ასეთი შემადგენლობები გვხვდება სატრანსპორტო დანაშაულებში. მოცემული შეხედულების წარმომადგენლები განზრახვად განიხილავენ ავტომანქანის მართვას, რომელიც ერთი მხრივ, შეგნებულ ქმედებას გულისხმობს, მაგრამ არ არის მიმართული მართლსაწინააღმ-

¹⁷ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 154.

¹⁸ უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 42; გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989, გვ. 106-107; ბაბილაშვილი ჯ., სატრანსპორტო დანაშაულის პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2004, გვ. 151-152; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 262 და შემდგომი.

¹⁹ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 603.

დეგო შედეგის გამოწვევისკენ. ავტორები, რომლებიც განზრახვა-გაუფრთხილებლობას მხოლოდ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში უშვებენ, სატრანსპორტო დანაშაულებში გამოირიცხავდნენ ასეთ დელიქტებს. როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას უჭერს მხარს განსახილველი სახელმძღვანელოს ავტორი²⁰, მაგრამ გათვალისწინებული არ არის ის, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად 276-ე მუხლის 1-ელ ნაწილში გაჩნდა ახალი ქმედების შემადგენლობა, რომელიც გულისხმობს ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართვას. ხოლო თუ აღნიშნული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს წინდახედულების ნორმის დარღვევას შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვა, ქმედება იმავე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირდება. ეს უკანასკნელი შემადგენლობა კი არ გამოირიცხავს განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციის შესაძლებლობას, ვინაიდან ნარკოტიკული ან დისპოზიციაში მითითებული სხვა ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვა, როგორც უკვე ითქვა, დამოუკიდებელ შემადგენლობას აფუძნებს (1-ელი ნაწილი), არ მოითხოვს შედეგის გამოწვევას და გულისხმობს განზრახ ქმედებას, მაგრამ მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგისადმი გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას მოიაზრებს. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე ეხება განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას.

76. სსკ-ის 314-ე მუხლით ისჯება ჯაშუშობა. დასახელებული მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, იგი გულისხმობს „უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისთვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვებას, შენახვას ან გადაცემას ანდა გამოძალვას ან გატაცებას მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთ-

ვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვებას ან გადაცემას“. როგორც ვხედავთ, დისპოზიცია შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. დისპოზიციის მეორე ნაწილში საუბარია უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით (სხვა) ინფორმაციის შეგროვებაზე ან გადაცემაზე, ხოლო პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედება არ უკავშირდება უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით მოქმედებას. აქედან გამომდინარე, საკამათოდ უნდა ჩაითვალოს სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრება, რომ სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა საკუთარი ინიციატივით, ანუ დავალების გარეშე, უნდა დაკვალიფიცირდეს არა ჯაშუშობად, არამედ 319-ე მუხლით (უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება)²¹. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ან უცხოეთის ორგანიზაციის“.

სხვა ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა საკუთარი ინიციატივით შეესაბამება დისპოზიციის პირველ ნაწილში აღწერილ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს სხვისი (უცხოეთის ორგანიზაციის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის) დავალებით მოქმედებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დისპოზიციის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საგანს წარმოადგენს როგორც საიდუმლოების შემცველი ნივთი, დოკუმენტი, ისე ცნობა ან სხვაგვარი მონაცემი. ხოლო ქმედება გამოიხატება როგორც შეგროვებაში ან შენახვაში, ისე გადაცემაში, გამოძალვაში ან გატაცებაში.

77. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის განზრახვა (313-ე მუხ.) პირს მას შემდეგ შეიძ-

²⁰ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 161.

²¹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 281.

ლება წარმოემდგინება, რაც იგი მართლზომიერად დაეუფლება ამ ცნობებს, ხოლო ჯამში სპეციალურად აგროვებს მონაცემებს უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისათვის გადასაცემად²². 314-ე მუხლის დისპოზიციაში მართლაც არის საუბარი უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისათვის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემის მიზნით განხორციელებულ ქმედებაზე, მაგრამ ჩნდება კითხვა, ეს ეხება თუ არა დისპოზიციაში ჩამოთვლილ ყველა ქმედებას. დისპოზიციის პირველ ნაწილში საუბარია საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვებაზე, შენახვაზე, ან გადაცემაზე ანდა გამოქვეყნებაზე ან გატაცებაზე გადაცემის მიზნით. გადაცემის მიზნით მოქმედება სწორედ ბოლოს დასახელებულ ქმედებებს ეხება (გამოძალვა ან გატაცება), ხოლო მანამდე ჩამოთვლილი ქმედებები შეიძლება (უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისთვის) გადაცემის მიზნის წინასწარჩამოყალიბებული განზრახვის გარეშე იყოს განხორციელებული. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა ის, რომ დისპოზიციაში მონაცემების გადაცემა ცალკე ქმედებად არის გამოყოფილი. შესაბამისად, როდესაც მონაცემების გადაცემა ხდება ეს უკვე საკმარისი წინაპირობაა ქმედების 314-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის. ენობრივი თვალსაზრისითაც შეუძლებელია სიტყვები „გადაცემის მიზნით“ მიემართებოდეს „გადაცემას“, ვინაიდან გადაცემის დროს მიზანი განხორციელებულია. გადაცემის მიზანი შეიძლება მიემართებოდეს ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა გამოძალვა და გატაცება. აღნიშნული მიზნით შეიძლება განხორციელდეს მონაცემების შეგროვება და შენახვა, მაგრამ დისპოზიციის გულდასმით ნაკითხვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ არც დასახელებული ქმედებები მოითხოვს გადაცემის წინასწარჩამოყალიბებული განზრახვით მოქმედებას.

78. 315-ე მუხლის განმარტებისას ავტორი მიუთითებს, რომ შეთქმულება გულისხმობს სა-

ქართველოს ხელისუფლებაში პოლიტიკური პარტიების, მოძრაობებისა და სხვა პოლიტიკური ძალების არაკონსტიტუციური გზით მოსვლის მცდელობას²³. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ამავე სახელმძღვანელოშია აღნიშნული, შეთქმულება დამთავრებულია პირთა ჯგუფის საიდუმლო შეთანხმების მომენტიდან, რასაც თან ახლავს სამოქმედო გეგმის შემუშავება²⁴. დასახელებული ქმედება კი წარმოადგენს მომზადების და არა მცდელობის სტადიას. ე. ი. მომზადების ეტაპიც დასჯადია დამთავრებული დანაშაულის სახით.

79. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, 321-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა) მხოლოდ გაუფრთხილებლობით ხორციელდება²⁵. თუმცა, 321-ე მუხლის დისპოზიციაში საუბარია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის როგორც გაუფრთხილებლობით, ისე განზრახ დარღვევაზე.

80. 320-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, მხოლოდ განზრახ ხორციელდება და ეს მიჩნეულია 321-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან გამმიჯნავ ერთ-ერთ კრიტერიუმად. თუმცა, 320-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საილუსტრაციოდ მოხმობილია შემთხვევა, როცა პირი კარგავს დღიურს, რომელშიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ამონაწერი იყო გაკეთებული, რამაც სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება გამოიწვია²⁶. მოცემული მსჯელობა წინააღმდეგობრივია, ვინაიდან დოკუმენტის დაკარგვა გაუფრთხილებლობის სფეროს წარმოადგენს და არა განზრახვის. შეუძლებელია, დანაშაული მხოლოდ განზრახ ჩასადენად განიხილებოდეს და მას ადგილი ჰქონდეს დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში, რომელიც გაუფრთხილებლობას გულისხმობს და

²² მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 282.

²³ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 283.

²⁴ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 283.

²⁵ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 302.

²⁶ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 301.

განზრახვას გამორიცხავს. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის დაკარგვა შეიძლება მოაზრებულ იქნას 320-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ქვეშ, მაგრამ არა იმის გამო, რომ ის განზრახ ქმედებას წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ 320-ე მუხლით დასჯადი დანაშაული გულისხმობს სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურებას ან გახმაურებას იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს. როგორც ვხედავთ, დისპოზიციაში ერთმანეთისგან არის გამიჯნული განზრახ გახმაურება და გახმაურება სპეციალური სუბიექტის მიერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, მაგრამ თუ განზრახ სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება სპეციალურ ამსრულებელს არ მოითხოვს, გაუფრთხილებლობით სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური ამსრულებელი.

81. 327-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ერთი მხრივ, გამიზვნით დელიქტადაა განხილული, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ დისპოზიციაში მოტივზე და მიზანზე არაფერია ნათქვამი²⁷. თუ დისპოზიციაში მოტივზე და მიზანზე არაფერია ნათქვამი, როგორ შეიძლება განსახილველი დანაშაული გამიზვნით დელიქტებს მიეკუთვნოს?

82. სკ-ის 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ისჯება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისთვის ანდა ექსპერტისა და სკვინის მიცემისათვის, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით იგივე ქმედება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ის, რომ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს იყენებს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქმე ეხება კონკრეტული საფრთხის

დელიქტს? სახელმძღვანელოში დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხია გაცემული და აღნიშნული, რომ აქ საქმე ეხება მიზნით დაფუძნებულ კონკრეტულ საფრთხის დელიქტს²⁸. გამოთქმული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტებში აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის (სკ-ის მე-8 მუხლი), თუმცა განსახილველი ნორმის კონსტრუქცია არ მიუთითებს იმაზე, რომ ქმედების კვალიფიკაციის დროს მოსამართლეს მოეთხოვებოდეს მიზეზობრივი კავშირის დადგენა. როგორც ყარალოვის შემთხვევაში, აქაც საქმე ეხება ფორმალურ, შედეგგარეშე დანაშაულს. დანაშაულის განხორციელების დროს გამორიცხული არ არის კონკრეტული საფრთხის შექმნა, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციისთვის მოსამართლეს მოეთხოვება არა შექმნილი კონკრეტული საფრთხის, არამედ იმის დადგენა, რომ ბოროტმოქმედის მხრიდან ადგილი ჰქონდა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ხერხის გამოყენებას.

83. ქრთამის აღების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს არამართლზომიერი უპირატესობა (338-ე მუხ.), მაგრამ სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, ქრთამად არ შეიძლება განხილულ იქნას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ არაქონებრივი ხასიათის სიკეთის მიღება²⁹, რაც ასევე საკამათო და ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტაციას შეიძლება წარმოადგენდეს.

84. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მისი მიღების შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ქრთამის მიცემა (339-ე მუხ.) განხორციელებულად ითლება დისპოზიციაში ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელების მომენტში. კერძოდ, ესენია: მოხელისთვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპი-

²⁷ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 334.

²⁸ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 383.

²⁹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 391.

რატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება დისპოზიციაში დასახელებული ერთ-ერთი მიზნით. ვინაიდან დანაშაული აღნიშნული ქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელებისას ჩადენილად ითვლება, ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა ქრთამის მიცემას მცდელობის სტადია? სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებით, ქრთამის მიცემის მცდელობას ადგილი აქვს ცრუ შუამავლობის დროს³⁰, რაც საკამათო შეიძლება იყოს, ვინაიდან დანაშაული განხორციელებულია დაპირების, შეთავაზების მომენტში. იმისთვის რომ დაპირება ან შეთავაზება განხორციელებულად მივიჩნიოთ, რამდენად აუცილებელია მეორე მხარის (ქრთამის ამღების) მხრიდან ადგილი ჰქონდეს საპასუხო მოქმედებას (დაპირების ან შეთავაზების მიღების სახით)? დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ ქრთამის აღების შემადგენლობა, რომლის მიხედვითაც, ქრთამის აღებისთვის საკმარისად მიიჩნევა ისეთი მოქმედება, როგორცაა მოთხოვნა (ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა არამართლზომიერი უპირატესობის). ისევე, როგორც ქრთამის აღებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა მოთხოვნა დაკმაყოფილებული ან ქრთამის მიმცემის მიერ თუნდაც მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობა მიცემული, არც ქრთამის მიცემის განხორციელებისთვის უნდა იყოს არსებითი მნიშვნელობის, დაპირების ან შეთავაზების შემთხვევაში იქნება თუ არა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დაპირება ან შეთავაზება მიღებული. მართალია, დისპოზიცია მიუთითებს ქრთამის აღების და მიცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით განხორციელებაზე, მაგრამ ვინაიდან პირდაპირი გზით განხორციელების დროს დანაშაულის განხორციელებისთვის ირელევანტურია მეორე მხარის საპასუხო ქმედების განხორციელება დაპირების ან შეთავაზების მიღების სახით, ქრთამის მიცემის შემადგენლობის განსახორციელებლად არც იმას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, შუამავალი ცრუმავიერი იქნება თუ რეალური. მთავარია ის, რომ ქრთამის მიმცემმა განახორციე-

ლა დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედება. მოცემული მსჯელობის სასარგებლო არგუმენტად შეიძლება ითქვას განსახილველ სახელმძღვანელოშივე გამოთქმული აზრი, რომ ქრთამის მიცემა და აღება, სსკ-ის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენ დანაშაულს³¹.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ქრთამის მიცემა ხომ არ უნდა შევადაროთ ყაჩაღობის შემადგენლობას, ხოლო ქრთამის მიცემის დროს ცრუმავიერი შუამავლის შემთხვევა კი ყაჩაღობის უფარგის მცდელობას (თავდასხმა უფარგის ობიექტზე)? მართალია, როგორც ყაჩაღობის, ისე ქრთამის მიცემის ან აღების დროს დანაშაული განხორციელებულია დისპოზიციაში დასახელებული ქმედების ჩადენისას, მაგრამ ყაჩაღობის დროს ადგილი უნდა ჰქონდეს სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, რის გამოც, მიუხედავად ფორმალური, უშედეგო დანაშაულისა, დანაშაულის სრულად განხორციელებისთვის მნიშვნელობა ენიჭება მეორე მხარის, დაზარალებულის მდგომარეობას. დაზარალებული კი ამ შემთხვევაში გულისხმობს იმ ცოცხალ ადამიანს, რომელზეც თავდასხმა ხორციელდება. მაშინ, როცა ყაჩაღობა არ არსებობს თავდასხმის და შესაბამისად, დაზარალებულის გარეშე, ქრთამის მიცემა შეიძლება არსებობდეს დაზარალებულის გარეშე³². ქრთამის აღება და მიცემა წარმოადგენს დანაშაულებს, რომლებიც გულისხ-

³¹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 388.

³² ეს არის ის შემთხვევა, როცა ქრთამის მიცემის ინიციატივა მოდის ქრთამის მიმცემისგან და თან ისეთ ქმედებაზე, რომლის განხორციელების ვალდებულება ქრთამის ამღებს არ ეკისრებოდა. შეხედულებაზე, რომელიც უშვებს დანაშაულის არსებობას მსხვერპლის გარეშე იხ. Kiefl/Lamnek, *Soziologie des Opfers*, München, 1986, S. 32; Röhl K., Röhl H., *Allgemeine Rechtslehre, Einl Lehrbuch*, 3. Auflage, Köln. München, 2008, S. 269; Streng F., *Strafrechtliche Sanktionen, Die Strafzumessung und ihre Grundlagen*, 3. Auflage, 2012, S. 286, Rn. 581. საწინააღმდეგო მოსაზრებაზე, რომლის თანახმადაც დანაშაული ყოველთვის იწვევს მსხვერპლს იხ. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011, გვ. 18.

³⁰ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 407.

მობს ქმედების დასჯადობას ნების გამოხატვის შემთხვევაში, ნების გამოხატვა დანაშაულის განხორციელების ეტაპად არის გამოცხადებული. ნების გამოხატვას ორივე შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ცალმხრივი ხასიათი და ამიტომაც არ ითვლება აღნიშნული დანაშაულები კლასიკური გაგებით აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენად. ის, რაც სსკ-ის თავდაპირველ რედაქციაში ქრთამის აღების თუ მიცემის მცდელობად ითვლებოდა, დღეს მოქმედ რედაქციაში დანაშაულის იურიდიულად განხორციელების ეტაპია.

85. სახელმძღვანელოში ქურდობა (177-ე მუხ.) განხილულია აქტიური მოქმედებით ჩასადენ დელიქტად³³. 177-ე მუხლის დისპოზიცია კი აღნიშნული თვალსაზრისით არ გვაძლევს კონკრეტულ მითითებას. დისპოზიციაში საუბარია იმაზე, რომ ქურდობა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებაა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაუფლება, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ძირითადად, მართლაც აქტიური მოქმედებით ხორციელდება. თუმცა, ჩნდება კითხვა, რამდენად მართებულია გამოვრიცხვით ქურდობის შესაძლებლობა უმოქმედობით და როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა სხვის მოძრავ ნივთს ეუფლება მცირეწლოვანი და მას ხელს არ უშლის ის, ვისაც მასზე გარანტის ფუნქცია გააჩნია?

დასახელებულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მცირეწლოვანს, არამედ გარანტს, რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულება, ხელი შეეშალა მისთვის და ხელი არ შეუშალა³⁴. დანაშაული განხორციელებულია უმოქმედობით, ვინაიდან საქმე ეხება ხელის არშეშლას, რის შედეგადაც სხვისი ნივთის მფლობელი გარანტი ხდება.

86. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობაა განხორციელებული მა-

შინ, თუ პირი წინასწარი დაუფლების გარეშე ყიდის სხვის ნივთს, როცა ნივთის გაყიდვამდე დამნაშავე არ იყო მას დაუფლებული. მოცემულ შემთხვევაში ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საფუძველია ის, რომ შემძენი ზარალდება, ვინაიდან ვალდებულია მესაკუთრეს დაუბრუნოს ამგვარად შეძენილი ქონება (მაგალითად, სასტუმროდან ხალიჩის გაყიდვა სასტუმროს ვიზიტორის მიერ და მიღებული თანხის მისაკუთრება)³⁵. აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა თაღლითობად, საკამათოა, ვინაიდან 186-ე მუხლით კვალიფიცირდება წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღება, რაც ასევე გულისხმობს შემძენის მიერ ქონების შეძენას ისეთი გამსაღებლისგან, რომელიც არ იყო მისი მესაკუთრე ან პირი, რომელსაც ჰქონდა ქონების განკარგვის უფლება. თაღლითობის დროს მოტყუების შედეგად ზარალდება ქონების კანონიერი მფლობელი ან მესაკუთრე. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ადგილი არ ჰქონია იმ ქონების მესაკუთრის მოტყუებას, რომლის განკარგვაც მოხდა. მოტყუების ხერხი გამოყენებულ იქნა არა მესაკუთრის, არამედ შემძენის მიმართ. თაღლითობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემძენის მოტყუებას, მაგალითად, როცა ოქროს სამკაულის ნაცვლად შემძენს მოტყუებით გადასცემენ სამკაულს, რომელსაც ოქროს შემცველობა საერთოდ არ გააჩნია. თუმცა, შემძენის მოტყუების ყველა შემთხვევა თაღლითობად ვერ დაკვალიფიცირდება და ამაზე მიუთითებს სსკ-ის როგორც 186-ე, ისე სხვა მუხლებიც (მაგალითად, 219-ე მუხლი - მომხმარებლის მოტყუება და სხვა). სახელმძღვანელოში მოყვანილ მაგალითთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ხომ არ იქნება უმჯობესი ქმედება ქურდობად დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევის ანალოგიურად, როცა ნაქურდალის რეალიზაცია ადგილზე ხდება ისე, რომ ბოროტმოქმედს სივრცეში გადაადგილება არ სჭირდება (თუ ქმედება ფარულობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს, თუნდაც სუბიექტური თვალსაზრისით)? ნივთის დაუფლებისთვის

³³ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 469.

³⁴ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 354, 358; Kindhäuser/Böse, Strafrecht, Besonderer Teil II, Straftaten gegen Vermögensrechte, 11. Auflage, 2021, S. 50, §2 Rn. 60.

³⁵ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 454.

ყოველ-თვის არ არის საჭირო სივრცეში გადაადგილება. ამის დასტურია საკვების ქურდობის შემთხვევა, როცა ნაქურდალის რეალიზაცია ადგილზე ხდება. სივრცეში გადაადგილების გარეშე ნივთის დაუფლების შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ავტობუსში ჯიბის ქურდობის დროსაც, როცა ქურდი დაზარალებულის ჯიბიდან დაუფლებულ ფულს მის თანამზრახველს გადაანვდის და ავტობუსიდან ჩადის არა თვითონ, ვინც დაზარალებულს ფული ჯიბიდან ამოაცალა, არამედ თანამზრახველი. მიუხედავად იმისა, რომ ავტობუსიდან არც ჩასულა ის, ვინც დაზარალებულს ფული ამოაცალა, სხვისი ნივთის დაუფლება, შესაბამისად, ქურდობა განხორციელებულია. სახელმძღვანელოში მოყვანილი მაგალითი უნდა გავმიჯნოთ მითვისებისგანაც, როდესაც ადგილი აქვს მართლ-ზმიერ მფლობელობაში არსებული ნივთის მისაკუთრებას.

87. ქურდობის და მიზნით დაფუძნებული სხვა დელიქტების ჩადენა, სახელმძღვანელოში გამოთქმული³⁶ და ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული³⁷ მოსაზრებით, შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საპირისპირო შეხედულებაც, რომელიც არ გამოორიცხავს არაპირდაპირი განზრახვით ქურდობის შესაძლებლობას³⁸.

88. ქურდობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, მნიშვნელოვანი ზიანი მაშინ არის სახეზე, როცა ნაქურდალის ღირებულება აღემატება 150 ლარს. სახელმძღვანელოში გამოთქ-

მული მოსაზრებით, თუ დაუფლებული ნივთების ღირებულება აღემატება დასახელებულ ოდენობას, მაგრამ ნივთებს ჰყავდა არა ერთი, არამედ ერთზე მეტი მესაკუთრე და თითოეულს მიადგა 150 ლარზე ნაკლები ოდენობის (მაგალითად, 80 ლარის) ზიანი, უნდა გამოირიცხოს განსახილველი მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ნივთების ღირებულების ჯამური ოდენობა 150 ლარს აღემატებოდა³⁹. გამოთქმული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ბოროტმოქმედს დანაშაულის ჩადენის დროს უნდა ჰქონდეს განზრახვა მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან დაკავშირებით, მაგრამ საკმარისია, იგი მოიცავდეს დაუფლებული ნივთის ღირებულებას. თუ ბოროტმოქმედმა ზუსტად არ იცის რა ღირებულების ნივთს ეუფლება, საკმარისია, ჰქონდეს სურვილი დაეუფლოს იმდენივე ღირებულების ნივთს, რა ღირებულებისაც აღმოჩნდება იგი. არ არის აუცილებელი მოქმედმა პირმა იცოდეს, თუ რამდენ მესაკუთრეს ეკუთვნის იგი და რომც იცოდეს, რომ დაუფლებულ ნივთს ჰყავს ერთზე მეტი მესაკუთრე, ეს კვალიფიკაციაზე ვერ მოახდენს გავლენას. ჯიბის ქურდობის დროს ქურდმა შეიძლება არ იცოდეს, რა რაოდენობის ფულია საფულეში, რომელსაც იპარავს ან ჰყავს თუ არა მას ერთზე მეტი მესაკუთრე, ქმედება დაკვალიფიცირდება იმის მიხედვით, საფულეში რამდენი თანხაც აღმოჩნდება. საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ქმედებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით რომ არსებითია არა მესაკუთრეთა რაოდენობა, არამედ ქონების საერთო ღირებულება, დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილებითაც⁴⁰, რომელიც ეხებოდა დიდი ოდენობით თაღლითობის შემთხვევას და სადაც თითოეული დაზარალებულისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი ცალკე აღებული დიდი ოდენობით თაღლითობად კვალიფიკაციის საფუძველს არ იძლეოდა.

³⁶ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 471.

³⁷ გამყრელიძე ო., ნიგნი: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაულის, თბ., 2004, გვ. 8; უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 20-21; წულაია ზ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 40.

³⁸ Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, Stuttgart 2019, S. 24, Rn. 60; Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 52, §2 Rn. 41.

³⁹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 472-473.

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე, 2012, #7-12, გვ. 10-15.

ქურდობასთან დაკავშირებით თითოეული მესაკუთრისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს მაშინ, როცა საქმე ეხება სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიმართ ახლად აღმოცენებული განზრახვით განხორციელებულ ქმედებას. ასეთ დროს სახეზე იქნება არა ერთიანი დანაშაული, არამედ დანაშაულთა ერთობლიობა (დანაშაულთა სიმრავლე) და, შესაბამისად, ქმედება ცალ-ცალკე შეფასდება და არ მოხდება ქმედებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ჯამურად შეფასება. აღნიშნული შემთხვევა უნდა გაიმიჯნოს განგრძობადი ქურდობისგანაც, სადაც ერთზე მეტ ქმედებას აერთიანებს ერთიანი განზრახვა. როგორც განგრძობადი ქურდობის დროს არ ხდება ქმედებათა ცალ-ცალკე შეფასება და ყველა ქმედება ერთ დანაშაულს წარმოადგენს, ისე ცალ-ცალკე არ უნდა მოხდეს ერთი ქმედებით სხვადასხვა მესაკუთრისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის განცალკევებით შეფასება, როცა ბოროტმოქმედმა შეიძლება (იცოდეს ან) არც იცოდეს, რომ დაუფლებულ ნივთებს სხვადასხვა მესაკუთრე ჰყავდა.

89. ქურდობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ქურდობა ბინაში უკანონო შელწევით. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, თუ როდის აქვს ადგილი ბინაში უკანონო შელწევას. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, ბინაში უკანონო შელწევით ქურდობა სახეზეა, როცა ბინაში შესვლა ხდება მოტყუებით (მაგალითად, თითქოს დეპეშის ან ამანათის გადაცემის მიზნით)⁴¹. აღნიშნული მოსაზრება მეტად საკამათოა, ვინაიდან ბინაში უკანონო შელწევა გულისხმობს შემთხვევას, როცა ბინაში შესვლისთვის ბოროტმოქმედს უნევს დაბრკოლების გადალახვა. მაგალითად, ბინის კარის შემტვრევა ან შესვლა მორგებული გასაღების გამოყენებით. ბინაში შელწევით ქურდობის დროს ირღვევა სხვისი ბინის ხელშეუხებლობა. ვერ ვიტყვით, რომ სხვისი ბინის

ხელშეუხებლობა დარღვეულია, როცა ბინაში შესვლა ხდება, მართალია, ბინის მესაკუთრის თუ მფლობელის მოტყუებით, მაგრამ მაინც მისი თანხმობით. ბინაში შელწევით ქურდობა ასევე არ იქნება სახეზე მაშინაც, როცა დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე მიწვეული სტუმარი ფარულად ეუფლება მასპინძლის კუთვნილ ნივთს. ამ ორ შემთხვევას შორის არსებობს გარკვეული სხვაობა. ერთ შემთხვევაში ბოროტმოქმედი ბინაში შესასვლელად მესაკუთრეს ატყუებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ბოროტმოქმედი ბინაში ხვდება მესაკუთრის მოტყუების გარეშე. მიუხედავად აღნიშნული სხვაობისა, ორივე შემთხვევაში გამოირიცხება ბინაში უკანონო შელწევით ქურდობა.

90. საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით ისჯება ქონებრივი დაზიანება მოტყუებით. როგორც 185-ე მუხლის დისპოზიციიდან ვიგებთ, დასახელებული დანაშაულის ჩადენის ხერხი, თაღლითობის მსგავსად, არის მოტყუება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, სად გადის ზღვარი მოტყუებით ქონებრივ დაზიანებასა და თაღლითობას შორის. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობისგან განსხვავებით, 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მესაკუთრის ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონება არ მცირდება⁴², რაც არ შეიძლება გავიზიაროთ. მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მესაკუთრის ქონების შემცირებას. მაგალითად, როცა ტაქსის მძღოლს მომსახურების საფასურს არ უნაზღაურებენ. დაზარალებული სანვაგი სხვა არაფერია, თუ არა ქონების შემცირება. იგივე ითქმის რესტორანში განეული მომსახურებისთვის მომსახურების ანაზღაურების გადაუხდელობაზეც. დასახელებულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მხოლოდ მოგების სახით შემოსავლის მიუღებლობას, არამედ იმ ქონების შემცირებასაც, რომლითაც მოხდა კლიენტებისთვის მომსახურების განევა.

⁴¹ მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 481.

⁴² მამულაშვილი გ., თოდუა ნ., (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 540.